და ესრეთ აღესრულა მამაჲ ნეტარისა ბაგრატისი და შემდგომად მცირედისა დედაჲცა მისი და დაიღუაწნა ნეტარმან თჳსნი იგი მშობელნი და დაჰმარხნა, ვითარცა შეჰგვანდა და შეურვებული იყო და იტყოდა თავსა შორის თჳსსა, ვითარმე ვისწავლნე მე საღმრთონი წერილნი, ანუ ვითარ განვემტკიცო მე სარწმუნოებასა, რამეთუ ყრმა ვარ და არა ვინ არს მოძღუარ ჩემდა, ესე ვითარისა ამის რჩულისა, რომელსა მამაჲ ჩემი მასწავებდა, არამედ ყოველნივე ესე სოფელნი სხვასა ზედა რჩულისა განმტკიცებულ არიან, რაჲმე ვყო უფალო, შემეწიე მე და ესრეთ ურვით იყოფებოდა გოდოლსა შინა მცირესა, რომელი აღეშენა თჳსსა აგარაკსა და, რავდენ ძალ ედვა, იწურთიდა სარწმუნოებასა ქრისტესსა მადლითა სულისა წმიდისაჲთა, ვითარცა იგი მამისაგან თჳსისა ესწავა.

ხოლო რაჲამს იგი ცხოველს მყოფელი ვნებაჲ ქრისტესი აღე-

სრულა და აღდგა მესამესა დღესა უფალი სიკჳდილისაჲ და ცხო-
რებისაჲ და ამალღდა ზეცად, ვინაჲ იგი არაჲ სადაჲთ განეშორა
და დაჯდა მარჯუენით მამისა და მოუელინა სული წმიდაჲ თჳსთა
მათ ყოვლად ქებულთა მოციქულთა და განიბნინეს იგინი ყოველ-
სა სოფელსა ქადაგებად სიტყვისა მის ქეშმარიტებისასა, მოჰვლიდა
რაჲ ნეტარი პეტრე მოციქული ქალაქთა და სოფელთა და ნათელ
სცემდა ერთა სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდი-
საჲთა.

შოიწია განგებითა ღვთისაჲთა კერძოთა მათცა პონტოჲსათა,
სადა იგი იყოფებოდა ნეტარი ბაგრატ და მიმართა გოდოლსა მას
და დადგა აზრდილსა ქვეშე მისსა და ასწავებდა ერთა და ჰრწმენა
ერსა მრავალსა სიტყვაჲ მისი და მოიქცეს ქრისტეს ღვთისა მო-
ნებად.

მსე რაჲ იხილა ნეტარმან ბაგრატ, შეიმოსა სამოსელი ბრწყინ-
ვალე, რათა სულისა მისებრ მისისა წმიდისა გარეშეთცა შეუენი-
რებაჲ ქრისტეანობისაჲ აჩუენოს, რამეთუ ოდეს გოდოლსა შინა
არნ, მცირე კუართი კმა არნ სამოსლად მისა, ხოლო მაშინ წმიდაჲ
იგი სამოსელი შეიმოსა და განვიდა და და(დ)გა ერსა შორის და
ისმენდა სიტყუათა მოციქულისათა და, ვითარცა აღასრულა სწავ-
ლაჲ იგი და ერი განიყარა, მირბიოდა იგი და შეუვრდა ფერკთა
მოციქულისათა და ამბორს უყოფდა მათ, ჰრქვა მას წმიდამან პეტ-
რე: კეთილად გზოე შვილი ეგე ეკლესიისაჲ, რამეთუ სულითა იცნა
იგი. შიუგო და ჰრქვა მას ბაგრატ: მოციქულო და მოწაფეო ქრის-
ტესო, ნუ უღირს იჩინებ შემოსლვად სახლსა ჩემსა მოწაფეთა შენ-
თა თანა და მიღებად საზრდელისა, რამეთუ გხედავ, უფალო ჩემო,
ფრიად დამაშურალსა. მსმინა მისი წმიდამან მოციქულმან და შე-
ვიდა სახლსა მისსა და აღასრულა ლოცვაჲ და მოიღო პური, გან-
ტეხა და მისცა ყოველთა და ზიილეს საზრდელი და განძლიერდეს.
ხოლო ადგილსა მას მრავალი ერი მოაქცია ნეტარმან პეტრე და
ნათელ სცა სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდი-
საჲთა და მოწაფეთა მისთაგანი ერთი კაცი ღვთის მოშიში და ფრი-
ად სწავლული მოძღურებასა საღმრთოსა, სახელით მაქსიმიანოს,
აკურთხა ებისკოპოსად მის დაბისა და დაყო მუნ ორმოცი დღე
და იყო სადგური მისი სახლსა წმიდისა ბაგრატისსა და ასწავებდა
მას ყოველსავე წესსა საღმრთოსა და სთესვიდა გულსა მისსა თესლ-
სა მას ღვთის მსახურებისასა, ვითარცა იგი სუროდა ნეტარსა ბაგ-

რატს და ეტყოდა მრავალთა მათ სწავლათა თანა ამასცა: შეილო ბაგრატ, ვითარცა იგი ჩვენ დაუტევეთ ყოველი და შეუდევით ქრისტესა, ეგრეთვე შენ გიღირს ყოფად. მიუგო ბაგრატ და ჰრქუა მას: მოციქულო ქრისტეს ლეთისაო, ამას მე მრავლით ჟამითგან სურვილ ვარ, ვინაჲ დღითგან მშობელნი ჩემნი აღესრულნეს და აწ ვესაჲ ქრისტესა ღმერთსა ჩვენსა, შენთანა ყოფად ვარ ყოველთა ღმერთთა ცხორებისა ჩემისათა და ნუ მომიძაგებ უღირსსა ამას და ცოდვილსა.

მსე რაჲ ესმა წმიდასა მოციქულსა პეტრეს, თქვა: კურთხეულ არს უფალი, რომელი წმიდა ჰყოფს ყოველსა კაცსა მოქცეულსა მისსა. მაშინ ევედრა ნეტარი ბაგრატ მოციქულსა, რათა ნათელ სცეს მონათა მისთა, რამეთუ ესოდენ სახიერი კაცი იყო, რომელ მონათა თვსცა დიდად ზრუნვიდა, ხოლო მოციქულმან სიხარულით შეიწყნარა თხოვაჲ მისი და წარავლინა ნეტარმან ბაგრატ და მოუწოდა მონათა თვსთა ყოველთაგან აგარაკთა და ნათელ იღეს გულს მოდგინედ ყოველთა კელითა წმიდისა მოციქულისა პეტრესითა და შეჰვედრნა იგინი წმიდამან მოციქულმან ვედრებითა ბაგრატივითა მაქსიმინოს ებისკოპოსსა, რათა ზრუნვიდეს მათთვის და ასწავებდეს და, რომელნიცა იპოვნენ მათგანნი კაცნი ღმრთის მოშიშნი, აკურთხნეს ხუცად და დიაკონად.

ხოლო ბაგრატ ყოველივე მონაგები თვსი შეკრიბა: ოქროჲსა და ვეცხლი და მარგალიტი მრავალი და სამოსელი დიდ ფასისაჲ, საცხოვარი და სიმდიდრე ფრიადი და ბრძანებითა მოციქულთაჲთა განუყო გლახაკთა და ზოგი მისცა მონათა თვსთა და ჰრქუა: მე ესერა ამის ყოვლისაგან ვიჯმნი და ქრისტესა შეუდგები და აგარაკები ჩემი, ვენაკები და ყანები თქვენ განიყავთ, რათა გაქუნდეს საკსენებელად ჩემდა. ამას რაჲ ეტყოდა, ტირილითა მწართა ტიროდეს იგინი განშორებისა თვს მისისა და ჰრქვეს მას: უფალო ჩვენო, ჩვენცა მზათა ვართ ყოველნი ყოფად, რავდენიცა მიბრძანო, და შეგიდგეთ შენ. ჰრქვა მათ ნეტარმან ბაგრატ: თქვენ ყოველნი ქრისტესდა შედგომილ ხართ და ძმანი ხართ ჩემნი, იუვენით ებისკოპოსსა თანა და ჰმორჩილობდით მას ცხორებისა თვს სულთა თქვენთაჲსა.

ხოლო სახლი თვსი ეკლესიად განაწესა ნეტარმან ბაგრატ და შეეკდლებით გოდლისა მის აღაშენა ეკლესიაჲ, რათა იყოს გოდოლი იგი საკურტლედ ეკლესიისა და მისცა ეკლესიასა, რავდენიცა

საკმარ იყო საფასე და აკურთხა ეკლესიამ იგი წმიდამან მოციქულ-
მან პეტრე და მოუწოდა ებისკოპოსსა და აღწერით მისცა ყოვე-
ლივე წესი ეკლესიისა და ასწავა, რათა გალობდნენ ფსალმუნთა
დავითისთა წესითა ფსალმუნთა და კანონთაჲთა.

მგრეთვე განუწესა სამწუხროჲ ლოცვაჲ და საცისკროჲ და
აღსრულებაჲ წმიდათა საიდუმლოთაჲ და კურთხევაჲ მღდელთაჲ და
წესი ნათლისღებისაჲ და აღმართებაჲ ჯუარისაჲ და ესე ყოველი
ასწავა ებისკოპოსსა და ჰრქვა: იხილე, შეილო მაქსიმინე, რამეთუ
ზეცისა პატივი მოგიღებინეს, ეკრძაღე მოძღურებასა ამას, რომელ
უბიწოდ დაიმარხო დიდი ესე ნამარხევი, რომელი იძიონ შენგან
დღესა მას განკითხვისასა, ოდეს იგი კაცად კაცადისა საქმე გამო-
ცხადნეს წინაშე მართლისა მის მსაჯულისა. ზოლო ნეტარმან ბაგ-
რატ მისცა მოციქულსა ჯვარი შუენიერი ოქროსა წმიდისაჲ, შემ-
კობილი მარგალიტითა და თვალებითა ბატიოსნითა და ჰრქვა: ესე
მამამან ჩემმან ქმნა სურვილითა ქრისტეს ვნებისაჲთა და დამიტევა
მე, რამეთუ მეტყოდა, ამას სახესა ზედა დამოჰკიდეს ჰურიანთა უფა-
ლი ჩვენი, რამეთუ იყო კაცი იგი ფრიად მორწმუნე, მიიღო იგი
მოციქულმან და იხილა, რამეთუ მადლი ღვთისაჲ იყო ჯვარსა მას
ზედა და ბრძანა ქმნად ბუდე ნაძვსა და მას შინა შეთადვა და მის-
ცა ებისკოპოსსა, რათა შიშით თაყვანის-სცემდნენ მას და მოუწოდა
ყოველსა მას ერსა მორწმუნესა, რომელსა ნათელ ელო და დაად-
გინა ებისკოპოსსა თანა და ეტყოდა: იხილეთ, ძმანო, ნუ ვინ თქვენ-
განი მიდრკების გზისა მისგან ქეშმარიტისა, ნუცა ვინ უარჰყოფთ,
რაჲ იგი ისწავეთ ჩემგან, არამედ ყოველივე ჭირი და შრომაჲ თავს
იღვევით ქეშმარიტებისა თვს და მოწყალებასა გლახაკათასა ნუ უდებ
ჰყოფთ, ივლტოდეთ, შეილნო, ცრუ წინასწარმეტყველთაგან, რო-
მელნი მოვიდოდნენ თქვენდა, ვითარცა ცხოვარნი და შინაგან არიან
მგელ მტაცებელ; ნუ თანა აღერევით მათ ყოვლადვე, არამედ
რაჲ იგი ისწავეთ ჩემგან, მას ზრახედინ, მას შინა იქცეოდეთ და
ღმერთი მშველობისაჲ იყავნ თქუნ თანა.

მსრეთ განუტევა ერი იგი და ხვალისა დღე აღვიდა გოდოლ-
სა მას და დადგა მას შინა ცა საკურთხეველი და აღასრულა წმი-
და ჯამის წირვაჲ და აზიარა ყოველთა წმიდაჲ კორცი და სისხლი
ქრისტესი და ჰრქუა ებისკოპოსსა: მომართუ აქა გუჯარი ეკლესიი-
სა კურთხევისაჲ და მღდელთა კურთხევისაჲ და, მოართუა რაჲ, და-
დგა იგი წმიდასა საკურთხეველსა და უბრძანა ებისკოპოსსა მოღე-

ბად იგი მიერ, ხოლო მან შიშითა დიდითა მიყო კელი და მოიღო. მიუგო წმიდამან პეტრე და ჰრქვა მას: იხილე, შეილო, რაა ეგე მიიღე, რამეთუ სულნი ამის ერისანი შეგივედრებიან და სიტყვს მიცემაჲ თანა გაც მათ თვს; შეიმოსე უკუე მადლი ღვთისაჲ და იყავ მშვდ და მდაბალ, გლახაკთა მოწყალე და უცხოთა შემწყნარებელ, რამეთუ უაღრეს არს ყოველთა სასწაულთა მოწყალებაჲ. მსე ვითარი მრავალი ასწაფე ებისკოპოსსა მოციქულმან და მერმე მოუწოდა იოსებს მხატვარსა და ჰრქუა მას: გამომიხატე აქა ხატი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, რათა იხილონ ერთა სახს განკაცებისა მისისა და უმეტესად ჰრწმენეს და იკსენებდენ სასწაულთა ჩუენთა.

მოიღო მხატვარმან მან წამლები ცვილოანი და გამოხატა ხატი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი; ჰრქუა მას მოციქულმან: გამოხატე, შეილო, ჩემიკა ხატი და ძმისა ამის ჩუენისა ბაგრატისი, რათა იტყოდინან ამისსა შემდგომად სახსენებელად, ვითარმედ ესე არს, რომელმან ჩუენ შორის სიტყუაჲ ღვთისაჲ ქადაგა, მოწაფე მისი პეტრე და ძმისა ბაგრატის თვს სთქუან: ესე არს, რომელმან აღაშენა ეკლესიაჲ და გოდოლი ესე საქურჭლე. ხოლო მხატვარმან *) ყოველივე ყო სიტყვსა მისისაებრ და ზედა დაწერა თითუფლისა სახელი, რამეთუ ესრეთ იქმოდეს მოციქულნი იერუსალიმითგან ანტიოქიამდე და ვიდრეცა ვიდოდეს. ამისსა შემდგომად განიზრახა პეტრე, თავმან მან მოციქულთამან, გამოხატვად ყოველივე საქმე განკაცებისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, ვინაითგან ანგელოზმან გიხაროდენი უღაღადა ქალწულსა მარიამს **) და ვიდრე ამაღლებადმდე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, რამეთუ კელოვანი იყო მხატვარი იგი, რომელმანცა ყოველივე გამოსახა კეთილად; და ბრძანა მოციქულმან ამით სახითა შემკობად ეკლესიათაჲ; მიერთგან უკუე მოსწრაფე იყენეს ყოველნი მორწმუნენი გამოხატვად ესე ვითართა მათ სახეთა ფიცართა ზედა გინა ქარტათა და მიუძღვანიან ებისკოპოსთა ურთიერთას და, აღაშენნიან რაა ეკლესიანი, გამოწერიან ყოველივე იგი შევნიერად და შემკობილად და ასწაფებდიან ერსა შიშით და პატივით თაყვანისცემად და შემთხუევად სახეთა მათ ქრისტეს ღვთისა საქმეთასა.

*) 'Ο ενν πατρ ε ζωγράφος.

**) Въ греч. нѣтъ.

ხოლო რაჟამს ესე ყოველი აღასრულა წმიდამან მოციქულმან, ყო ლოცვაჲ და გარდამოვიდა გოდლისა მისგან და ჰრქუა ბაგრატს: ჟამი არს აწ წარსლვად ჩუენდა გზასა ჩუენსა, ვინაჲცა უფალმან მიმიძლუეს, ხოლო ნეტარი ბაგრატ დადგა გოდოლსა მას შინა თჳსაგან წინაშე პატიოსნისა და ცხოველს მყოფელისა ჯვარისა და ხატისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესისა, ილოცვიდა ცრემლით და იტყოდა: იესუ ქრისტე, რომელი მოხუედ წყალობით მოძიებად ნათესავსა კაცთასა, ნუ უგულებელს მყოფ მე, რამეთუ გლახაკ და დავრომილ ვარ, მოიხილე სიმაბლესა ზედა ჩემსა, რამეთუ შენდა მოვილტვი ყოვლად ძლიერისა და სახიერისა ღვთისა; და აღასრულა რაჲ ლოცვაჲ, გამოვიდა გოდლისა მისგან და მივიდა სამარხოსა მამისა და დედისა თჳსისასა, დადგა მას ზედა და თქუა ცრემლით: აჰა ესერა, მამაო კეთილო და შენ, დედაო ჩემო ტკბილო, სწავლისა და ბრძანებისაებრ თქუენისა, წარვალ შვილი ესე თქვენი შედგომად ქრისტესა შეწევნითა მისითა, ევედრენით უკუე ქრისტესა ღმერთსა ცხორებისა თჳს ჩემისა და ამბორს უყო სამარხსა მას და გამოვიდა მიერ და შევიდა სახლსა, რომელსა შინა მონანი მისნი იყვნეს და პოვნა ყოველნი მძინარენი, რამეთუ ღამე იყო; და ვითარ იხილეს იგი, ყოველნი ზე აღდგეს და დაუტევა მათ მშვიდობაჲ და მოიკითხა, ხოლო იგინი მოეხზნეს მას და მწარითა ცრემლითა ვოდებდეს და იტყოდეს: ვაჲ ჩუენდა, უფალო ჩუენო, რამეთუ ობოლნი და უუფლონი დავშთებით, ოდესმე უკუე ვიხილოთ პირი შენი. ცრემლოდა ნეტარი ბაგრატცა და ჰრქუა: ნუ მწუხარე ხართ, ძმანო, რამეთუ დაღაცათუ კორცითა განგეშორები, არამედ სულითა თქუენთანა ვარ და ესრეთ მოიკითხნა იგინი და განვიდა და მრქუა მე: შვილო ევაგრე, შემომიდეგ მე, რამეთუ მე ხოლო წარმიყვანს მის თანა სახლეულთა მისთაგან.

და ესრეთ მივედით წმიდისა მოციქულისა პეტრესსა და ვპოეთ იგი აღასრულებდა რაჲ გალობასა ცისკრისასა და, აღასრულა რაჲ ლოცვაჲ, ჰრქუა ნეტარსა ბაგრატს: კეთილ არს მარადის მღვიძარებაჲ და ლოცვაჲ ამას ზედა უკუე მოსწრაფე იყავ მარადის და გალობდი ფსალმუნთა დავითისთა ღღე და ღამე და ლოცვათა შესწირედი ღვთისა და, ვითარცა მოოდენ ახდა ჟამი განთიადისაჲ, განვედით დაბისა მისგან და დადგა მოციქული აღმოსავალით კერძო, მუკლნი მოიდრიკნა და თქვა: ოჴფალო იესუ ქრისტე, დაიცვე დაბაჲ ესე და მას შინა მყოფნი მორწმუნენი დაუარენ საფარველსა

შენსა ქვეშე, რამეთუ კურთხეულ ხარ უკუნითი უკუნისამდე ამინ. და მოვიკითხეთ მაქსიმიანოს ეპისკოპოსი და წარვემართენით და ვითარცა ვლეთ ოციოდენ უტევანი მოვიწიენით ზღვს პირსა და ვპოეთ ნავი და შევედით მას შინა და წარვედით ანტიოქიამდე ქადაგებითა სიტყვისა ღვთისასა. ხოლო მოვლინებულ იყო მუნ იერუსალიმით მოციქულთაგან კაცი მისვე ქალაქისაგან ყოფილი ნათესავით, სახელით მარკიანოს, სწავლად ერისა; ამას ვითარცა ესმა მოსლვამ მოციქულისა პეტრესი, აღძრა ყოველი სიმრავლე მორწმუნეთა და მოვიდეს მიგებებად მისდა რამეთუ იგინი ასწავლიდეს, ხოლო მოციქულნი ნათელ სცემდეს და მოიყვანა ნეტარმან მარკიანე დიდი სიმრავლე წინაშე მოციქულისა, რომელთა ჰრწმენა და ასწავა მათ მოციქულმან და ნათელსცა და წარიყვანა მარკიანეცა მისთანა მიმოსლვად და მიმოვდიოდით მოციქულისა თანა ყოველთაჲ ქალაქთა და სოფელთა და ქადაგებდა სახარებასა ქრისტესსა და ნათელსცემდა მორწმუნეთა სახელითა მაშისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა და კურნებდა ყოველსა სენსა და ციდად ციდად გუეშულებასა და სულთა არა წმიდათა განასხმიდა. მსე ყოველი რაჲ აღესრულებოდა მადლითა ქრისტესითა წმიდისა მოციქულისა პეტრეს მიერ განმრავლდებოდა რიცხვ ქრისტეს მორწმუნეთაჲ. ხოლო ნეტარი მოციქული პავლე იგიცა ქადაგებდა და მიმოდასდებდა სიტყვასა მას ღვთისასა და მას ესმა რაჲ პეტრესი კერძოთა კილიკისათა ყოფამ მოვიდა მისსა და მოიკითხეს ურთიერთას მოწლედ თავთა მათ მოციქულთა. მაშინ პავლე აღდგა შორის და ეტყოდა პეტრეს და სხვათა მოციქულთა, რომელნიცა პოვნა ათორმეტთაგანი: ვიდრემდის არა აკურთხევთ ეპისკოპოსად მოწაფეთა მაგათგან, რომელნი შეგიდგენ თქვენ და წარავლინებთ კერძოთა დასავალისათა, არამედ ყოველნი თქვენ თანა გიპყრიენ. და სათნო ეყო სიტყვამ ესე პავლესი მოციქულთა და გამოარჩინეს კაცნი, რომელნიცა სულმან წმიდამან უჩუენნა მათ და წარავლინნეს კერძოთა ჰრომისა *) და აფრიკეთისასა, რამეთუ თავადნი იგი მოციქულნი ჯერეთ არა მივადოდეს ჰრომედ, არამედ იგინი წინა წარავლინნეს, რათა ქადაგებდენ სიტყვასა ღვთისასა და მისცეს მათ კანონი ყოველივე საეკლესიოჲსა წესისაჲ. ხოლო ნეტარმან მოციქულმან პეტრე ჰრქვა მარკიანეს და ბაგრატს: შევილნო ჩემნო, მი-

*) Κατα τὰ μέρη Ἰταλίας καὶ Ἀφρικῆς.

იღეთ თქუენცა უღელი ებისკოპოსობისაჲ და განვედით კერძოთა დასავალისათა და აღასრულეთ მსახურებაჲ თქუენი, რამეთუ აჰა ესერა პრისკილე *) მოწაფე პავლესი წარვიდა გალიას და სხუანი სხუად კერძო, რათა მეცა ვიქადოდი თქუენ მიერ ვითარცა პავლე და სხვანი მოციქულნი მოწაფეთა მიერ თჳსთა. შიუგეს ბაგრატ და მარკიანე და ჰრქუეს: უფალო ჩუენო, რავდენიცა მიბრძანო, ყოველსა ზედა მორჩილ ვართ. და მოუწოდა წმიდამან მოციქულმან პეტრე ყოველთავე ხუცესთა და დიაკონთა და ნეტარსა პავლეს და წინაშე მათსა დასდვა კელი და მისცა კურთხევაჲ ებისკოპოსობისაჲ. და მოვიღეთ მათგან ლოცვაჲ და შთავედით ზღუად ძიებად ნავისა და განგებულებითა ღვთისაჲთა ვპოვნით ორნი ნაენი, რომელთა სავაქროჲ მათი მოევაჰრა და მზად იყვნეს წარსლვად. მოუწოდეს მენავეთ მოძღუართა მარკიანე და ბაგრატ და ჰკითხვიდეს: ვინანი ხართ, ძმანო, რომლისა სოფლისანი ანუ რომლისა ქალაქისა. შიუგეს და ჰრქუეს მათ: სიკილიელნი ვართ ქალაქისა მის დიდისა და ქალაქისა მის დიდისა ერთი ტავრომენით და მეორე სკრაკუსით. ჰკითხეს კუალად და ვინაჲ გეგულები აწ წარსვლად, ძმანო? ჰრქუეს მენავეთა მათ: უკუეთუ ჰაერისა გამარჯუებაჲ იქმნას, თჳსთავე ქალაქთა გუგულების წარსლვად; ამას ზედა მოიქცეს ბაგრატ და მარკიანე მოციქულთა მიმართ და ჰრქუეს: ვპოვნით ორნი ნაენი სიკილიელნი, მოვედით უკუე ჩუენთანა ზღუამდე, რათა ლოცვა ჰყოთ და წარვიდეთ მსახურებასა მას ჩვენსა. აღდგეს უკუე ნეტარნი იგი მოციქულნი პეტრე და პავლე და სხვანი იგი მათთანანი და მივიდეს საფანესა მას და მისლვასა ოდენ მოციქულთასა მიეფინა მადლი ღვთისაჲ გულთა მათ ზედა მენავეთასა და ეტყოდეს მოციქულთა: უფალო ჩუენო, რაჲსა მოშურებით ჩუენდამო, რამეთუ ჩუენდა ღირს იყო თქუენისა პატივისა მომართ მოსლვაი და შეიყვანნეს მოციქულნი ნავთა თჳსთა, ხოლო მათ იწყეს სწავლად, მათდა ქადაგებად და ჰრწმენა მათ და ნათელ იდეს სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა და უწოდა ნეტარმან მოციქულმან პეტრე სახელი ერთისა მის მენავეთ მოძღუარისა ეპიფანე, რამეთუ პირველ სახელედებოდა ლჳკაონიდე და მეორესა მას ეწოდა რომილოს და იყო რიცხვ ნათელდებულთაჲ მათ ნავთა შინა ვითარ ორას კაც, ხოლო მარკიანე და ბაგრატ აღივსნეს სიხ-

*) Κρίσπης.

რულითა და ჰმადლობდეს ღმერთსა, რომელ იგი ქრისტეანე იქმნეს თანა მოგზაურნი მათნი, რათა იყოს სლევად მათი კაცთა თანა კელითა მოციქულთაჲთა განათლებულთა.

ხოლო შემდგომად ნათლისღებისა კაცთა მათ, იწყო ნეტარმან პეტრე სწავლად მათდა და ეტყოდა: შეიღწო საყუარელნო! არა არს სხუთა სახითა ცხორებაჲ კაცთაჲ, გარნა მეორედ შობითა ამით წყლისა მიერ და სულისა, რამეთუ ესე არს დამკსნელ კერპთ მსახურებისა გრძნებისა და მისნობისაჲ და ამის მიერ დადუმნა ჰურიათა იგი მრავლის მეტყუელებაჲ, რამეთუ გამოჩნდა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, ძე ღვთისა, რომელი იგი ღმერთი იყო ქეშმარიტი და უცვალეზელათ თვისისა ბუნებისაგან ჩუენი ესე ბუნებაჲ მიიღო და ქუეყანასა გამოჩნდა და კაცთა შორის იქცეოდა, არა განეშორა წიაღთა მამისათა, არამედ ზეცას იყო ღვთაებრ და იგივე ქუეყანასა ზედა იქცეოდა ღმერთი შემოსილი ჩუენითა ამით კორციითა, ვითარცა სრული ღმერთი და სრული კაცი და მან განაწესა მეორედ შობაჲ ესე მორწმუნეთა მისთაჲ და ზიარებაჲ კორცსა და სისხლსა მისსა, რათა აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ. ამას იწურთილით მარადის და სიტყვანი წარმართთა და ჰურიათანი ნულარა შეველენედ სასმენელად თქუენდა, არამედ განემტკიცენით სარწმუნოებითა სასოებითა და სიყვარულითა იესუ ქრისტესითა და ღმერთმან დაგიცვენინ თქუენ ქრისტეს იესუს მიერ უფლისა ჩუენისა, ხოლო გუნებავეს, შეიღწო, ძმათაგან ჩუენთა წარმოვლენად თქუენ თანა, რათა მოგაკსენებდენ თქუენ და განგიახლებდენ მოცემულსა მაგას მადლსა, ხოლო ერნი იგი მათ ნაფთანი ვითარცა ერთისა პირითა იტყუოდეს: დიდება შენდა, ღმერთო ჩუენო, ქრისტე, სიტყუაო დაუსაბამოო და ძეო მამისაო, გურწამს, რამეთუ შენ ხარ ღმერთი ძრიელი და შენდა შევჰყვდრებთ სულთა ჩუენთა, რომელი მოხუედ ძიებად ცოდვილთა. და ეტყუოდეს მოციქულთა: უფალნო ჩუენნო, მოგუცენით მოძღუარნი იგი ჩუენნი, რომელთა თჳს სთქვთ და წარვიდეთ ლოცვითა თქუენითა. ჰრქუა მათ წმიდამან პეტრე: არა ეგრეთ, შეიღწო, არამედ იყუენიო ვიდრემდის წარვდენ რვანი ღღენი ნათლისა თქუენისანი და მერმე წარხვიდეთ. მიუგეს და ჰრქუეს მათ: ვითარცა ჯერ გიჩნს ცხორებისათჳს ჩუენისა, განაგე, მოციქულო ქრისტესო, რამეთუ ჩუენ მზა ვართ მო(რ)ჩილებად ბრძანებისა შენისა. ხედვიდა რაჲ ყოველი იგი ერი სარწმუნოებასა მას მენაფეთასა, კმა ყვეს: ქეშმარიტად წარმართო ზედა მოვიდა კურთხევაჲ ქრი-

სტესი და აყუდრებდეს უმადლოსა მას ნათესავსა ჰურიათასა და იტყოდეს, რაჲსა თჳს განიშორე ცხორებაჲ შენი, სახლო ისრაელი-საო, უფალი ჩუენი იესუ ქრისტე ღმერთი ქეშმარიტი განკორციელ-და და მოვიდა კსნად შენდა და შენ არა ინებე შეწყნარებაჲ ცხო-რებისაჲ და წმიდამან პეტრე კელი განუხარა და ჰრქუა მათ: მშვი-დობაჲ უფლისაჲ თქუენთანა, ძმანო, კეთილად აბრალეთ მათ, რა-მეთუ უფალიცა ჩუენი იესუ ქრისტე მრავალსა ასწავლიდა მათ და მრავალთა იგავთა წინა უყოფდა მათ, არამედ იგინი ნებსით და-ბრმდეს და ვითარცა ლიტონსა კაცსა ხედვიდეს მას და იგიწყნეს სიტყუანი იგი წინასწარმეტყველისანი და განცვეს გზისა მისგან წრფელისა ვითარცა იგი პირველ პატივსცეს კბოჲსა თავსა მას, რო-მელსაცა თაყვანის სცეს, ეგრეთ აწ იგივე საბურველი არს გულისა ზედა მათსა და ბრმა არიან გონებითა და კბოჲსა თაყვანის მცე-მელთაგანნივე არიან. რამეთუ სხვათაცა მრავალთა კერპთა ჰმონეს და დაუკლნეს შვილნი მათნი ეშმაკთა და შეიბილწნეს ყოვლითა ბილწებითა და აწ იტყვიან ვითარმედ ერთსა ღმერთსა ვჰმსახურებთ, არამედ არა არს ნაწილი მათი ღვთისა თანა, ვინაჲთგან მაცხო(ვ)ა-რი იგი ქეშმარიტი ჯვარსა აცუეს, არამედ მიცემულ არიან კელთა ეშმაკისათა, რომელნი ეგნენ მათსა საცთურსა; ხოლო რომელნი მოიქცნენ ქრისტესა და ისმინეს სიტყუანი ქადაგებისა ჩუენისანი, არა განიშორნეს იგინი უფალმან, რამეთუ განღებულ არს კარი წყალობისა მისისაჲ ყოველთა თჳს, რომელნი მოიქცენ მისსა გინა ჰურიანი, გინა წარმართნი, ყოველთა შეიწყნარებს.

მსე ვითარი მრავალი ასწავა ნეტარმან პეტრე ერსა მას და განუტევნა იგინი და ხვალისა დღე შემოკრბა სიმრავლე უძლურ-თაჲ გარემოს ქალაქებისა და დაბნებისაგან. იხილეს რაჲ მოციქულ-თა სიმრავლე იგი უძლურთა, გარემოჲს ქალაქებისა და დაბნებისა-გან შემოკრებული, უბრძანეს მოწოდებაჲ მენავეთაჲ მათ, რათა ხედვიდნენ მადლოსა მას ქრისტესსა და ძალსა მისსა; მოვიდეს მენა-ვენი იგი და დადგეს ადგილსა ერთსა და ხედვიდეს სასწაულოთა მათ ქრისტესთა, რომელთა იქმოდა ხელითა მოციქულთაჲთა. შაშინ მოუკდა პეტრე უძრულოთა მათ და ყოველნივე შეხებითა ოდენ კე-ლისაჲთა და სახელის დებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა განიკურნნეს და კუალად მოუკდა ეშმაკეულოთა მათ და იდგნა მუ-კლნი ნეტარისა პავლეს თანა და ილოცეს უფლისა მიმართ და ჰრქუა პეტრე სულთა მათ არა წმიდათა: სახელითა მამისაჲთა და

ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა გიბრძანებ სულთა მავათ არა წმი-
დათა განსლვად კაცთა ამათგან და არლარა შესლვად მათდა. ესე
რამ ესმა ეშმაკთა მათ და აკუთნეს კაცი იგი და განვიდეს მათ-
გან და განწმდეს სენთა მათგან და სულთა არა წმიდათა ერნი იგი.
ამას ყოველსა ხედვიდეს რამ მენავენი იგი, აღიდებდეს ღმერთსა,
რომელმან ღირს ყენა იგინი განთავისუფლებად მონებისაგან მტე-
რისა და კერპთ მსახურებისა. ამისა შემდგომად მოუწოდა ნეტარ-
მან პეტრე მენავეთა მათ და შემოკრიბნა ყოველნი მოწაფენი, და-
ასრულეს გალობა წმიდისა მოციქულისა პავლეს თანა და აზიარეს
ყოველთა უხრწნელთა და ცხოველს მყოფელთა ქრისტეს საიდუმ-
ლოთა და ვითარცა აღესრულა წმიდაჲ ჟამის წირვაჲ, უბრძანა ერ-
სა მას დაჯდომაჲ და მოიღო პური, განტეხა და მისცა მათ წესისა-
ებრ რომელ აქვნდა და იწყო სწავლად მათდა და ეტყოდა: შეიღწო სა-
ყუარელნო! ღმერთმან სახიერებითა თვისითა ჲ მრავლითა წყალობითა
არარაჲსაგან ყოველივე არსად მოიყვანა და ქმნა დასაბამად ცაჲ და
ქუეყანაჲ, ზღვანი და ყოველი რამ არს მას შინა მშვნარენი და
მცენარენი ღიღნი და მცირენი ყოველნივე სიტყვითა შექმნა და
ყოველივე კეთილ ფრიად, ხოლო კაცი ქმნა კელითა თვისითა ხა-
ტად თჳსა და მსგავსებად და მერმე გუერდისაგან მისისა უქმნა ღე-
დაკაცი შემწედ მისსა და დაასხა სამოთხე ედემს აღმოსავლისასა
და მუნ დაწესა კაცი იგი ქმნული კელთა მისთაჲ, რათა სცვიდენ
მას და ჰამდენ მისგან და იყვნენ უხრწნელგბით და მისცა მათ
მცნებაჲ ჰამად ყოველთაგან ხეთა სამოთხისათა გარეშე ერთისა;
ხოლო ეშმაკსა ესმა რამ მცნებაჲ იგი ღვთისაჲ, რომელი მისცა
ადამს და ვითარ იგი უფროს ყოველთა დაბადებულთა პატივსცა
მას, შემურდა პატივი მისი ბოროტსა მას და ეზრახა გუელისა მი-
ერ დედაკაცსა მას და მის მიერ ატოუნა ადამ ჰამად ხისა მისგან,
რომლისაჲ უბრძანა ღმერთმან არა ჰამად. ამისთჳს ექსორია იქმნა
იგი სამოთხისაგან და ოფლითა პირისა მისისაჲთა დაესაჯა ჰამად
პურისა და მიქცევად მიწადვე, ვინაჲცა დაებადა და დედაკაცსა მას
მიეცა სამხილკბელად ურჩებისა თჳსისა საღმობით და მწუხარებით
შობაჲ და გუელსა უბრძანა რისხვით მკრდოდა და მუცლითა სლვაჲ
და ყოველი იგი ბრძანებაჲ მეუფისაჲ აღესრულა.

ხოლო ადამ დაემკვდრა წინაშე სამოთხესა და იცნა ცოლი
თჳსი და შვა კაენ და აბელ და არცა მათ ზედა დაიდუმა ეშმაკმან
ღონეთა თჳსთა მოღებად, არამედ იყო რამ კაენ ქუეყანისა მოქ-

მედ და აბელ მწყემს ცხოვართა და მოიწია რაჲ ჟამი შეწირვისა ღვთისა პირველთა მათ ნაყოფთა, კაენმან პირველ შეწირვისა უმჯობესი იგი ჯამა და მერმელა შეწირა ღვთისა, ამისთჳსცა შეუწირველი იყო მსხუერპლი მისი.

ხოლო აბელ მოიღო პირმშოთაგან საცხოართა თჳსთაჲსა შეწირა ღვთისა და შეიწირა იგი უფალმან, ამისთჳს შური აიღო კაენ აბელისი განზრახვითა ეშმაკისაჲთა და მოკლა იგი ველსა გარე. მიგრითგან მიზეზი და ძალი მიიღო ცოდვამან ურჩებისაგან და პირველად ქმნა ძმის მკვლელობაჲ იგი და ესრეთ ღლითი ღღე წარემატებოდა განმრავლდებოდეს რაჲ კაცნი ყოველივე ბოროტი ასწავა. მათ და პირუტყუთა მიჰსგავსებულ ყვნა; ამისთჳს დაუტყვეს ბუნებითი იგი წესი ღელათაჲ და მაძანი მამათა თანა სირცხვლსა მას იქმოდეს და ღმერთი სრულიად დაივიწყეს, ამისთჳსცა აღჰმართნეს კერპნი უსულონი ძელისა და ქვისანი, რომელთაცა ღვთად სახელსდვა ეშმაკმან და თაყვანისმცემელ ყვნა კაცნი. ხოლო სახიერმან ღმერთმან იხილა რაჲ ესე ვითარი ხრწნილებაჲ კაცთაჲ და სიბოროტე, მოავლინა წყლით რღუნაჲ და აკოცა ყოველი ნათესავი კაცთაჲ და ერთი ხოლო კაცი პოა ნათესავსა მას შინა სახელით ნოე, რომელსაცა უბრძანა ქმნად კიდობანი ძელთა და შესლვად მას შინა ცოლით და შეილითურთ და ყოველთაგან ცხოველთა, რათა დაშთეს თესლი ქუეყანასა ზედა. ხოლო შემდგომად წყლით რღუნისა გამოვიდა რაჲ ქუეყანად მართალი იგი, კუალად იწყო ეშმაკმან თჳსთა მახეთა განფენად და პირველად ძე მართლისაჲ მის ყო შემსმენელ მისა და მერმე განმრავლდებოდეს რაჲ კაცნი ქუეყანასა ზედა თჳსთა მათ გულარძნილებათა და ლუარძლთა არა დასცხრებოდა თესვად მათ შორის ვიდრემდის ყვნა კუალად გონება ცთომილ და იწყეს მოპოვნებად გრძნებათა და მისნობათა ვარსკულავთ მრიცხველობათა საზმნელთა და სასიზმრეთა და მფრინველთ მისნობასა და მუცლით მეზღაპრებასა. ესე ყოველი რაჲ აქმნია ბოროტმან მან მუშაკთა მათ თჳსთა, მერმე კერპთა საცთურცა შთასთესა და აქმნია გამოქანდაკებულნი ძელისა და ქვისა, ოქროჲსა და ვეცხლისა და რვალისანი, რომელნი იგი აღჰმართნეს და უზორვიდეს მათ გონება ცთომილნი იგი და ღვთად სახელსდებდეს მოძღურებითა ეშმაკისაჲთა, რომელმან ესე ვითარი იგი საცთური ასწავა მათ და ღმერთი ყოველთა დამბადებელი სრულიად დაავიწყა.

ხოლო ესე ვითარსა მას ნათესაესა შორის გამოჩნდა აბრაჰამ მართალი, რომელმან შეიყუარა ღმერთი მაღალი და მას ჰმონებდა და ბრძანებათა მისთა შეუდგა, ამისთვისცა მოსცა ღმერთმან შეილი ჟამსა სიბერისა და ბერწობისასა უაღრეს სასოებისა და ამისა შემდგომად გამოსცდიდა ღმერთი მართალსა მას და უბრძანა საყუარელისა მის შეილისა დაკლვად და შეწირვად მისა.

ხოლო აბრაჰამ ვითარცა ჭეშმარიტად მეგობარმან ღვთისმან გულსმოდგინედ აღიყვანა შეილი თვისი შეწირვად, არამედ ღმერთმან მოსცა ვერძი ისაკის წილ ძისა მისისა და უბრძანა აბრაჰამს ვერძისა მის დაკლვად და არა ისაკისსა და შეერაცხა მას საქმე იგი სიმაღლედ, ამისთვისცა იკურთხა იგი უფალმან ღმერთმან ფრიად და მამად მრავალთა წარმართთა უწოდა მას, მრავალნი უკუე მეფენი აღადგინნა შეწუხებად მისსა ეშმაკმან და ყოველთაგან იქსნა მართალი იგი უფალმან და აღესრულა სიბერითა კეთილითა.

ხოლო ისაკისგან იშვა იაკობი და მისგან ათორმეტნი ძენი და შთავიდეს იგინი ეგვპტელ იოსების თანა და ფრიად განმრავლდეს მუნ და მიერ გამოიყვანნა იგინი ღმერთმან კელითა მტკიცითა და მკლავითა მაღლითა მოსეს მიერ და აპრონისა და წიადვლეს ზღვაჲ მეწამული და უდაბნოჲ იგი დიდი და მერმე ისუჲს მიერ ნავესსა შემოიყვანა იგი ქუეყანასა მას აღთქმისასა, ვინაჲ იგი დაეშენნეს ვიდრემდის აღადგინა ღმერთმან დავით, კაცი იგი გულთადი მისი, და შემდგომითი შემდგომად წინასწარმეტყუელნი და მართალნი და ესე ყოველნი მართალნი: აბელ, სეით, ენოს, ენუქ, ნოე, აბრაჰამ, ისაკ, იაკობ, იოსებ, მოსე, აპრონი, ისუ, დავით და სხვანი წინასწარმეტყუელნი მაღლითა სულისა წმიდისაჲთა მოასწავებდეს და ქადაგებდეს მოსლვასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, რომელიცა მოვიდა აღსასრულისა ჟამთასა მოძიებად წარწყმედულისა მის ნათესავისა კაცთაჲსა, რომელი ვერ ვინ წმიდათაგანმან იქსნა საცთურისა მისგან მტერისა, მოვიდა თავადი უფალი და ღმერთი ყოველთაჲ, იშვა ქალწულისაგან წმიდისა უთესლოდ და ყოვლითურთ გუემსგავსა ჩუენ თვნიერ ცოდვისა. ხოლო უბადრუკთა ჰუარიითა მაცხოვარი იგი ყოველთაჲ არა შეიწყნარეს, არამედ ანტორაკად წინა აღუდგეს ვიდრემდის ჯვარს აცუეს საშჯელითა მით სიკვდილისაჲთა და ყოველივე ძვრი აჩუენეს მას, ხოლო მან ნებსით თავს იდვა ჩუენთვის, რათა წყლულებითა მისითა განმკურნნეს ჩუენ; ჯვარს ეცუა და მოკუდა ბუნებითა მით კაცობრივ კორცთაჲ-

თა, ხოლო ღვთაებითა უვნებელ და უკუდავ არს; დაეფლა სამარგ-
სა და წარმოტყუენა ჯოჯოხეთი და აღდგა მესამესა ღღესა განუ-
ხრწნელად და თანა აღადგინა ბუნებაჲ ჩუენი დაძველებული ჯო-
ჯოხეთს შინა და ორმოც ღღე იქცეოდა ჩუენ შორის და მეჩუე-
ნებოდა ჩუენ ვითარცა ჯერ უჩნდა, მერმე ამაღლდა მამისა ვინაჲ
იგი არა სადა განეშორა და თანა აღიყვანა ბუნებაჲ კაცთაჲ და
მომიჯლინა ჩუენ სული წმიდაჲ და მიბრძანა ნათელცემად ყოველ-
თა წარმართთა სახელითა მამისაჲთა, ძისაჲთა და სულისა წმიდი-
საჲთა და მოსლვად არს კუალად განშჯად ცხოველთა და მკუდარ-
თა და მიგებად კაცად კაცადისა საქმეთა მათთაებრ, რომელთაცა
უკუე ჰრწმენეს მისი და მცნებანი მისნი დაიმარხნენ, მისცემს მათ
სასუფეველსა, ხოლო რომელნი ურწმუნოებასა შინა ეგნენ და სა-
ქმეთა ბოროტთა, გეჰენისა ცეცხლსა შინა დაისაჯნენ მი უკუნისამდე.
აწ უკუე, შვილნო ჩემნო უფლისამიერ, რომელნი ღირს იქმნენით წო-
დებად მონა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა, მცნებანი მისნი დაი-
მარხნით: მშუდობაჲ გაქუნდინ, მარადის სიყვარული ღვთისა მიმართ
და ურთიერთას სარწმუნოებითა მართლითა წმიდისა სამებისაჲთა,
გლახაკთა მოწყალებაჲ, უცხოთა შეწყნარებაჲ, ნუ კაცთა საჩუენებ-
ლად, რამეთუ ესრეთ თქუა უფალმან: ნუ სცნობს მარჯუენაჲ შენი,
რომელსა ჰყოფდეს მარცხენაჲ შენი. ძმათა მიმართ ნუ ხართ მრი-
სხანე, ნუცა ძვრის მოკსენე, ნუცა ვეცხლის მოყუარე, რათა აღორ-
ძინდეს ნერგი მადლისაჲ თქუენ შორის დანერგული და განბრწყინ-
დეს მოძღურებაჲ სარწმუნოებისა თქუენისაჲ, რამეთუ მრავალნი
განსაცდელნი აღიღდგინნეს თქუენ ეშმაკმან, არამედ ვერ გე-
რეოდის თქუენ, უკუეთუ გპოვნეთ თქუენ შეჰურვილ ღვთის მსა-
ხურებითა; სიძვაჲ და ყოველივე არა წმიდებაჲ, ანგაჰრებაჲ და ცრუ
წამებაჲ შორს ყავთ თქუენგან. იღვიძებდით და ილოცევდით, რა-
თა ღმერთმან მშუდობისა და სახიერებისამან ღირს გყვნეს პოვნად
სასუფეველსა მისსა.

ამათ სიტყვათა რაჲ ეტყოდა ნეტარი მოციქული ქრისტესი,
აღივსნეს გულნი მის ერისანი სიხარულითა და ღმობიერებითა,
ხოლო წმიდამან პეტრე განიყუანა თჳსაგან ნეტარი პავლე მოცი-
ქული და წინაშე მისსა მოუწოდა ბაგრატს და მარკიანეს და ჰრქუა
მათ: შვილნო, მადლი იგი მოციქულებისაჲ ამიერითგან მოცემულ
არს თქუენდაცა, ვითარცა ესე ჩუენდა, სულნი იგი კაცთა მათ
მყოფთანთა ქალაქთა მათ შინა ვინაჲცა მიივლინებით თქუენდა რწუ-

ნებულ არიან მადლითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა; ესერა ყოველივე წესი და განგება ქრისტეანობისაჲ მისწავიეს თქუენდა, განეკრძაღენით უკუე სამწყსოჲსა მის თქუენისა თჳს, რამეთუ უკუეთუ მწყემსი უღებ არნ და უზრუნველად სძინავნ, მკეცთა და მპარაფთა წარიტაცენ ცხოვარნი, ხოლო იღუპებდეს თუ ვინმე და ზრუნვიდეს ცხოვართათჳს, განმრავლდენ იგინი. ეგრეთ არს მწყსაჲცა სულთაჲ, რომელთაცა მიუღებიეს უღელი ებისკოპოსობისაჲ. უკეთუ ებისკოპოსი ცოდვიდეს მოძღურებასა მისსა შინა მყოფთა, ვითარ არგოს ანუ რისხვისაგან მომავალისა ვითარ გამოიკსნეს იგინი, არათუ აქუნდეს კანდიერებაჲ დადგომად წინაშე ღვთისა. რამეთუ დაღაცა თუ ყოველნი იგი ქალაქსა მას შინა მყოფნი შთაცვენ ცოდვასა, უკეთუ იგი ოდენ უბიწო და წმიდა იყოს, ითხოოს ყოველთათჳს შენდობაჲ, ვითარცა მოსე ჰყოფდა ერისა მისთჳს, უკმს უკუე ებისკოპოსსა სიწმიდითა და მარხვითა შემკულება და ყოვლისავე სოფლიოჲსა და წარმავალისა საქმისაჲ შორს ყოფაჲ და ღვთისა შემშჳლვაჲ გონებისაჲ, რათა ოდეს შეცოდებულთათჳს შეწიროს სულთქმით ვედრებაჲ, შეუძლოს შენდობისაჲსა მოღებაჲ შეცოდებულთაჲსა, ამისთჳს უკუე ნუ მისცემთ თავთა თქვენთა ზრუნვათა სოფლიოთა, არამედ საკმართა მათ საჭიროთა მნეთა მიერ და განმგებელთა მოირეწდით და თქვენ მარადის გალობითა და ფსალმუნითა მსახურებლით უფალსა, რათა ოდეს რისხვაჲ რაჲმე მიუღებითა ღვთისაჲთა მოვიდეს სამწყსოსა ზედა თქვენსა და ევედრნეთ უფალსა ვითარცა მეგობართა გერჩდეს თქვენ და შეუნდვნეს ბრალნი ერისანი და გარე მიაქციოს გულისწყრომაჲ მისი. ხოლო უკეთუ მწყემსი იგი არა იყოს უბიწო და მეგობარ ღვთისა, ვინ მოწყალე ყოს ღმერთი ერისა მისთჳს, ვერ კელეწიფების უკუე მონება კაცთა და ღვთისა. ცილისწამებასა ადვილად ნუ ვისთჳს შეიწყნარებთ და უფროჲსლა მღდელთათჳს, არამედ უკეთუ ბრალეულიცა იყოს, ნუ სიფიცხლით ზედა დაუხდებით მას, არამედ სიტკბოებით ამხილეთ მას, შეჰრისხენით, ნუგეშინის ეცით, რამეთუ მე ჰეტრე ვჰკითხე შიშით უფალსა ჩემსა იესუ ქრისტეს ძმათათჳს, უკეთუ შემცოდოს მე ძმამან ჩემმან, ვიდრე შჳდ გზის, შეუნდოა და მრქუა მე უფალმან: არა გეტჳჲ შენ შჳდ გზის, არამედ სამეოცდაათ შჳდ გზის ესრეთ უკუე ჰყოფდით თქუენცა. ხოლო მსახურთა ეკლესიისათა დაუდგინეთ უზუცესი და ხუცესთა ხუცესთ მთავარი, და დიაკონთა მთავარდიაკონი და სხვათა საქმეთა ეკლესიისათა მნე

სარწმუნოა და აღაშენნეთ რაჲ ეკლესიანი, აღჰმართეთ მას შინა ხაზს ჯუარისა პატიოსნისა და გამოსახენით საქმენი უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესნი. და მოიხვნა მაგალითნი იგი გამოსახულნი იოსების მიერ მხატვარისა და უბრძანა გამოსახვად სხვათა ზედა ქართათა და ეტყუდა, მაგას წესსა ზედა შეამკობდით ეკლესიათა: გამოსახეთ ზარებაჲ გაბრიილისი ქალწულისა მიმართ, შობაჲ უფლისაჲ, ნათლისღებაჲ იოვანესგან, შეწყნარებაჲ მოწაფეთაჲ, სასწაულნი მისნი, განცემაჲ იუდაჲსი, ჯვარცმაჲ, დაფლვაჲ, აღდგომაჲ და აღმოყვანებაჲ ადამისი ჯოჯოხეთით და ამალღებაჲ, რათა ხედვიდნენ ერნი ამას ხატებსა და კსენებად მოვიდოდინან ქრისტეს განკაცებისა და განახლდებოდის. მათ შორის დღითი დღე სარწმუნოებაჲ და სიყვარული ქრისტესი. აჰა ესერა ყოველი წესი ცხოვრებისა მისწავის თქვენდა.

მსე ყოველი და სხვა ესე ვითარი მრავალი ჰრქუა მათ და მოილო პური, აკურთხა და განტეხა და მისცა მათ და მენავეთა მათ, გვრეთვე ბარძიმი იგი სასუმლისაჲ და აღასრულეს გალობაჲ და მოიკითხნა ყოველნი და მისცნა ბაგრატს და მარკიანეს ორნი ჯვარნი, რომელნი გამოეთაღნეს მას- ძელისაგან ნაძვისა და ქარტანი იგი გამოხატულნი და ბარძიმ ფეშხუმი წმიდისა ჟამის წირვისაჲ ორი და შთავედით ყოველნი ზღვს ბირად და ამბორს უყვეს ურთიერთას ნეტართა მათ ამბორის ყოფითა წმიდითა და შევედით ნავად კაცად კაცადი თვსსა ნავსა, ნეტარი მარკიანე ნავსა რომილესსა და წმიდაჲ ბაგრატ და მე მისთანა ნავსა ლუკაონიდესსა, რომელსა ეწოდა ეპიფანე.

ხოლო ბრძანებითა ღვთისაჲთა აღდგა ქარი იგი ჩრდილოჲსაჲ, რომელსა ბორიჲა ეწოდების და სამ დღე და სამ ღამე ზოგად ვიდოდეს ნავნი იგი და განგებითა ღვთისაჲთა მიეახლნეს ნავნი იგი ურთიერთას მეოთხესა დღესა განთიად და იხილნეს ნეტართა მარკიანე და ბაგრატ ურთიერთას და მოკითხვაჲ სიტყვთა მშვიდობისაჲთა მისცეს და მეცსეულად განგუეშორა ჩვენ ნავი იგი და მიჰმართა ქალაქად თვსად. ხოლო შემდგომად განშორებისა მისისა ვლელთა სხვაჲ ორი დღს და ორი ღამე და მივიწიენით ქალაქად სიკილიისა, ადგილსა, რომელსა ფალკონ ეწოდების. ხოლო იყო ადგილი იგი საკერპო ეშმაკთა სამსახურებელი, რამეთუ ადგილი იგი პირველ ყოფილ იყო მტილი ფალკონილაჲსი დედისა ფალკონისი, ასულის წულისა მენიაჲსი, ტავროჲს ცოლისაჲ; იგი უკუე

ფალკონილა იყო გონიერ და ქმნულ კეთილ ფრიად, ვითარცა იპოვა წერილსა საქმესა პირველთა კაცთაჲსა, ვიდრელა ცნობიერებისა და სიკეთისა მისისათჳს მრავალნი ძლუნესა მისცემდეს ფრიადსა, რათამცა ოდენ იხილეს იგი. შვა მან ძე და უწოდა სახელი მისი ფალკონ შემსგავსებულად თჳსისა სახელისა და იქმნა ყრმაჲ იგი მაგებელ და კელ მარჯუე და შუენიერ ხილვითა და შთავიდა განფრთხოზად მტილსა მას და დაეცა მეცსა შინა და მოჰკუდა და დაჰმარხეს მტილსა მას შინა და აღაშენეს მუნ ტაძარი შუენიერი, შემკული მამულისა მისისა საფასისაგან და აღჰმართეს სამარესა მას ზედა კერპი ქვისაჲ გამოქანდაკებული, რომელსაცა სახელ სდევს ფალკონ ღმერთი და დაუკლნეს მას სამნი ჰაბუკნი და სამეოცდაათ ცამეტი კბოი ჩჩვლი და დაიმკდრეს მუნ ეშმაკთა მიერ დღითგან და წლითი წლად ესე ვითარსა მას საზრველსა ეძიებდეს სამთა მათ ჰაბუკთა და სამეოც და ათ ცამეტსა კბოსა. ხოლო ჩვენ განრავი ვედით ნავისაგან. კმელად, დაასვა ნეტარმან ბაგრატ კუერთხი იგი ჯვარისაჲ ქვეყანასა და აღასრულა ლოცვაი, მაშინ ეშმაკთა მათ, რომელნი იყვნეს კერპსა მას შინა, იწყეს გოდებად და ძრვად კერპისა მის და იტყოდეს: ჯ ღმერთო ფალკონ, ძეო ფალკონილაისო, ცეცხლი მოვიდა შემწეულად შენდა და ამიერიითგან ტყუე ხარ, რამეთუ ძემან ღვთისამან, ქალწულისა მარიამისაგან შობილმან, მახვილი ცეცხლისაი მოავლინა აქა პეტრეს მიერ, რომლისა ელვამან განაბრწყინვა ადგილი ესე და ჩვენ შეგუაძრწუნნა. ჯ ლუკაონილე, ვინ არს ეგე, რომელი მოიყვანე აქა ანუ ვითარ არა დაწუა ნავი შენი მსხუერპლისა წილ, რომელსა ჩვეულ იყავ მორთუმად; ჩვენდა ცეცხლი მოილე, რომელსა არაოდეს მოველოდეთ ხილვად.

ხოლო დიდმან ბაგრატ გამოსახა ნიში ჯვარისაჲ და ჰრქუა არა წმიდათა მათ ეშმაკთა: სახელითა მამისაითა და ძისაითა და სულისა წმიდისაითა გიბრძანებ სულთა მაგათ არა წმიდათა, რათა დასდუმნეთ და აღკრ ასხნეთ პირსა თქვენსა და მეყუსეულად სიტყუასა თანა მისსა დასცხრეს კმანი იგი და ოხრანი, ხოლო იყო სანავე ლუკაონილესი ახლოს ადგილსა მას, ვითარ ჰქს სატყორც ოდენ და სახლი, სადა იგი ჰურჰელი ნავისაი შეკრების, წარვედით სახლსა მას და განვისუენეთ. ჰრქუა ნეტარმან ბაგრატ ლუკაონილეს და მენავეთა მისთა: შვილნო ჩემნო, ნუ ვინ სცნობნ ჩემსა აქა მოსლვასა, ვიდრემდის უფალმან გამოგვაცხადნეს და წარვიდეს მენავენი ნავად, თვინიერ მენავეთ მოძლუარი ოდენ დაადგრა ჩვენ

თანა. მაშინ მრჩეუა მე ნეტარმან ბაგრატ: შეილო ევაგრე, აღვი-
ლოთ აწ საჭურველი ჩვენი და მოუხდეთ უსულოსა მას კერპსა
ფალკონს და ვიოტოთ ძალითა უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესითა
ყრუი იგი და უტყუ, რომელმან მრავალნი სულნი წარწყმიდნა. ესე
რამ ესმა მენავეთ მოძღუარსა მას, ჰრჩეუა ნეტარსა ბაგრატს: მამაო
ლმერთ უემოსილო, გვედრები, ნუ ესრეთ მოუკდები არა წმიდასა
მას ფალკონს, რამეთუ სულმან მან ბოროტმან, რომელ არს მის-
თანა, მრავალნი მოაკუდინნა და ამისთჳს თჳნიერ შესაწირავისა არა-
ვინ იკადრებს მიხლებად მისა. მიუგო ნეტარმან მან და ჰრჩევა:
ჩვენ, შეილო ეპიფანე, არა მოგვლებიეს სული მოშიშებისაჲ, არცა
ვზრუნავთ რასა უცნებათა თჳს საეშმაკოთა, რამეთუ გუმოსიეს მა-
დლი სულისა წმიდისაჲ, არამედ მოედ შენცა, შეილო, და იხილო
დიდებაჲ უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი და წარწყმედაჲ ბორო-
ტისა მის ფალკონისი და აღილო მან ცხოველს მყოფელი და პა-
ტიოსანი ჯვარი და ხატი უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი და წმი-
დისა მოციქულისა პეტრესი და, მივედით რაჲ კერპისა მის, მივახ-
ლა, დასცა მას წმიდამან ბაგრატ და არა იყო კმაჲ, არცა სიტყ-
ვაჲ, არცაღა იპოებოდა ზახებაჲ იგი ეშმაკთაჲ. ხოლო მენავეთ მო-
ძღუარი იგი შორით დგა და მოელოდა, რაჲღი იქმნას, რამეთუ
ჰგონებდა მოკულომად ჩვენდა, ხოლო ნეტარმან ბაგრატ მოიდრი-
კნა მუკლნი აღმოსავალით კერძო და განიპყრნა კელნი ზეცად და
თქუა: უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩვენო, სიბრძნეო და ძალო
და ხატო უცვალებელო მამისაო, ნათელო ნათლისაგანო, ღმერთო
ქეშმარიტო, მხოლოო მხოლოდ შობილო ძეო და სიტყვაო მამი-
საო, რომელი იშვე ქალწულისაგან სულისა მიერ წმიდისა, მომიკ-
სენე მე ეამსა ამას, რამეთუ შენ, მეუფეო, ხატითა ღვთაებისაჲთა
იყავ და ხატი მონებისაჲ მიიღე. შენ გვედრები, მეუფეო სახიერო
და ქველის მოქმედო, მოავლინე ჩემზედა მადლი შენი და დამიფა-
რენ მე სულმან შენმან წმიდამან დღესა ბრძოლისასა, რამეთუ ესე-
რა უფალო მოწვეულ არს ჩვენზედა ბრძოლაჲ ეშმაკისაჲ, რომელ-
ნი იგი ისწრაფიან დაბადებულთა შენთა წარწყმედად თავთა თჳსთა
თანა, არამედ გვედრები შენ, უფალო იესუ ქრისტე, რომელი ჩვე-
ნისა ცხოვრებისა თჳს გარდამოჰკედ ქვეყანად, მოჰფინე ნათელი
შენი გულთა კაცთა ამათ ამის ქალაქისათა და ჩვენ მოგუეც სიტ-
ყვაჲ აღებასა პირისასა, რათა ვხადოდით მადლოსა სულისა შენისა
წმიდისასა და მიუთხრობდეთ ერთა ამათ საკვრველებათა შენთა,

ხოლო არა წმიდაჲ ესე სული, რომელი მკვდრ არს ამის ადგილსა და აცთუნებს დაბადებულთა შენთა და განაშორებს მათ შენგან, წარსწყმიდე ყოვლითურთ ძალით თჳსით, უფალო იესუ ქრისტე, რამეთუ შენდა გშუენის დიდება თანა მამით და სულით წმიდიოჲთ აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ. და აღასრულა რაჲ ლოცვაჲ, მიეხლა კერპსა მას და ჰრქვა: ფალკონ ცოფო და უცნობოო, რასა იქმ აქა ანუ რავდენი წელი არს, ვინაჲთგან დაბადებულთა ღვთისა ჩვენისათა აცთუნებ, რათა შენდა შეწირონ შესაწირავი ღვთისა წილ და მბადებელისა. გიბრძანებ, სახელითა ქრისტესითა, მეტყოდე მე. მაშინ სულმან მან არა წმიდამან კმა ყო კერპით გამო: მონაო ღვთისაო, არს ორას სამეოცი წელი, ვინაჲთგან აქა დავემკვდრე და წლითი წლად მოვიღებ მსხუერპლად სამთა ჰაბუკთა და სამეოცდა ათცამეტსა კბოსა ჩჩვლსა და მრავალნი მომიკუდინებინ, ხოლო აწ ტყუე ვარ შენ მიერ და შემწენი ჩემნი და მოყუასნი აღვრ სხმულ არიან და შეძრწუნებულ ვართ, რამეთუ ცეცხლი შენგან გამოვალს და დამწუაეს ჩვენ.

მსე რაჲ ესჲა წმიდასა ბაგრატს, გამოვიდა ტაძრისა მისგან და თქუა კმითა მალლითა: თქუენ გეტყვ სულთა მაგათ არა წმიდათა და გაფუცებ სახელსა მამისა და ძისა და სულისა წმიდისასა, რათა შემოჰკრბეთ ყოველნი, რომელნი ამის ადგილსა დამკვდრებულ ხართ და უპყართ ყრუსა მას და უსულოსა ფალკონს და შთაადგეთ ზღვასა ოცდაათ უტევან და თქუენ იყვენით მისთანა უფსკრულსა მას შინა, ვიდრე დღემდე დიდისა მის საშჯელისა. და მეყსეულად სიტყვასა მას თანა იქმნა ოხრაჲ ფრიადი და ვიხილეთ სიმრავლც დიდი ყორანთა და ორბთაჲ და აღფხვრეს ტაძარი იგი კერპითურთ ფალკონისით და შთაედეს ზღვად და გუესმა კმა ზღუასა შთაფრდომისა მისისა და იქმნა ადგილი იგი ყოვლითურთ შეუმსგავსებელ ვიდრელა ვერ საცნაური იყო სადა დგა კერპი იგი ანუ ტაძარი, ხოლო ლუკაონიდე, რომელსა ეწოდა ეპიფანე, იხილა რაჲ საკრველებაჲ იგი, აღიდებდა უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა განკვრებული. ხოლო ღამე იყო ოდეს ესე იქმნა და მეყსეულად მოვიქცით სახლსა მას სავენესა ჩვენსა და აღვასრულეთ გალობაჲ ცისკრისაჲ. და ვითარცა განთენა, ჰრქუა მენავეთ მოძღუარმან მან ნეტარსა ბაგრატს: მამაო ღმერთ შემოსილო, მიბრძანე, რათა წარვიდე ქალაქად ვონიფანტესსა, მთავრისა მის ჩუენისა, და ავრილიანოს

ქალაქ პეტისა*), რამეთუ ჩუეულებამა მაქუს, ოდეს გზით მოვიდი, მივართვ მათ ძლუნენი. ჰრქვა მას წმიდამან ბაგრატ: წარვედ, შეილო, მშვიდობით და ეკრძალე, რათა ვერ ვინ უძლოს განყენებად შენდა სიყუარულისა ქრისტესსა, არამედ მტკიცე იყავ სარწმუნოებასა ზედა, რომელი ეგე მიგიღებდეს. ხოლო მან მიიღო ლოცვამ და წარვიდა და თანა წარიღო ძლუნად მთავრისა ექუსი ტაბასტამა რჩეული ასიანური და ოცდაათი კოკამ ზეთი კრიტული და ოცდაათი კოკამ ღვინო ნოსაური და სხვსა მიერ მონისა მიუძღუნა ქალაქ პეტსა მას აფრილიანოსს, რამ იგი ჯერ უჩნდა. ხოლო მირაფიდა მთავრისა ვონიფანტესსა, პოვა იგი მენიაკეთა მისთა თანა მჯდომარს ტაბლასა. იხილა რამ მთავარმან ლუკაონიდე, შეიწყნარა იგი კეთილად და ძლუნენი იგი მისი შეიწირა წადიერად და უბრძანა ტაბლასა მისსა დაჯდომად, ხოლო აღდგეს რამ ტაბლისაგან, აღვიდა ვონიფანტე მთავარი ერთისა თანა მეგობრისა თვსისა ქორსა მას სასუენებელსა თვსსა და აღუწოდა ლუკაონიდესცა და უბრძანა დაჯდომამ და იწყო კითხუად მისსა ასიისათვს**) და ლაკედემონისა და კერძოთათვს აღმოსავალისათა მთავართა თვს და სპამ პეტთა თუ ვითარ იქცევიან. მიუგო ლუკაონიდე და ჰრქუა მას: ყოველივე აღმოსავალით კერძო, უფალო ჩემო, კეთილად და მშვიდობით არს, რამეთუ მიეფინა მათ მშვიდობამა დიდისა ღვთისამა და აცხოვნებს მათ ყოველთა, რომელთა ჰრწამს მისი და ყოველივე შფოთი დაადუმა ქეშმარიტმან ღმერთმან. ჰრქუა მას მთავარმან: და რომელი ღმერთი შემძლებელ არს უფროს ჩვენთა მათ ღმერთთა. მიუგო ლუკაონიდე და ჰრქუა მას: ისმინე, მთავარო ბრწყინვალეო, ღმერთი ქეშმარიტი და ყოველისავე შემძლებელი იესუ ქრისტეს არს, უფალი იგი ყოველისა, და შემოქმედი ცისა და ქუეყანისა და ზღვსა, რომელი განანათლებს ყოველსავე სოფელსა ნათლითა სამარადისოთა, რომელმან მოიძინა წარწყმედულნი ცხოვარნი და შეკრიბნა თვსსა ბაკსა, რამეთუ დაცხრომილ არს საცთური კერპთამა და სიბოროტენი გრძნებათა და მისნობათა და სიზმართანი. არღარა არს დაკლვამ შეილთამა ეშმაკთა წინაშე ბილწთა, არამედ მსხვერპლი ქებისამა შეიწირვის და მსახურებამ სიტყვიერი ღვთისა ცხოველისა ქეშმარიტისა. მსე რამ ესმა ვონიფანტეს, გან-

*) Политархъ.

**) Азія.

კვრებულ იქმნა და ჰრქუა მას: რა არს სიტყვაჲ ეგე საყვარელი, რამეთუ არა სადა მასმიეს ესე ვითარი, ვითარ ეგე შენ იტყვი, კუალად და წარმომითხარ და გულის კმა მიყავ სიტყვა ეგე.

და ვიდრეღა იგი ამას იტყოდა, პირველ სიტყვს დაწყებამდე ლუკაონიდესა, აჰა ესერა მოიწინეს ქურუმნი იგი ფალკონისნი, რომელნი კმითა წრტიალითა გოდებდეს და იტყოდეს: ჰ მთავარო დიდებულო, ნახბეტო*), ქალაქთა მაშენებულო, საკუთარო დიდთა ღმერთთაო, რასა გძინავს, და მოწვეწულსა ამას ბოროტსა არა იკითხავ. ესმა რაჲ ესე ვითარი ამბოხებაჲ, განავლინნა წინაშე მღვმელნი მონანი ცნობათ, თუ რაჲძი არს საქმე იგი და არა რა მიუგეს მათ, შემოვიდეს და მრქუეს, არარას მეტვან ჩვენ. მაშინ მთავარმან შეირტყა სარტყელი თვისი და წარდგა არდაბაგსა მას. ხოლო ერთა მათ იხილეს რაჲ იგი, კმობდეს: ჰ მთავარო დიდებულო, ქალაქთა მაშენებულო, ბრწყინვალეო ნახბეტო, არა ხედავა განსაცდელსა ამას მოწვეწულსა ჩუენ ზედა, რომელ ესე არაჲ სადა გარემოთა მათ ქალაქთა მოწვეწულ არს ესე ვითარი, რამეთუ დიდი იგი ღმერთი ჩვენი ფალკონ და შუენიერებაჲ ქანდაკებულია მისისაჲ, უჩინო იქმნა ბომონი იგი და საყდარი ოქრო ლესული და ტაძარი იგი დიდი ესრეთ უჩინო იქმნა, ვიდრეღა არცა თუ აღგილი მისი საცნაურ არს, თუ სადა აღმართებულ არს, ხოლო მთავარი იგი შეპყრობილ იქმნა განკვრებითა და ჰრქუა მათ: კაცნო, მღვდელნო დიდთა მათ ღმერთთაო და წარჩინებულნო ქალაქისა ტავრომენისანო, ნუ უკუე საწუნელად შემრაცხნა ჩვენ ღმერთმან ფალკონ, და სხვა ქალაქათ სათნო იყო წარსვლად, თუ არა რომელმანცა სხვათა ღმერთთაგანმან უძლო ამისი ქმნაჲ მისდა, რათამცა ესრეთ უჩინო ყო. ნუ უკუე საზაფხულონი იგი მსხვერპლნი არა შეწირენით და ამისთვის მომიძულნა ჩვენ და ვითარცა ვთქუ სხუად ქალაქად წავიდა. მიუგეს ქურუმთა მათ და ჰრქუეს: არცა შესაწირაფნი მისნი დაგვკლიან, არცა მსახურებად მისდა უდებ ქმნულ ვართ; ხოლო რაჲსა თვს ესე ქმნა, არა უწყით, ამის თვს უკუე ნუ უგულებელს ჰყოფ, უფალო ჩვენო, ძიებისა თვს და უკეთუ ვპოოთ იგი სხვასა ქალაქსა, წარვიდეთ და თავყვანის ვსცეთ მას, და უკეთუ გუაუწყოს ბრალი ჩვენი, განვეკრძალნეთ მას და თუ შესაწირავთა იკლებს, შევჰმატოთ, რავდენიცა უნდეს. ჰრქუა

*) Политархъ.

მათ მთავარმან: წარვედით კაცად კაცადი სახედ თვსა და დაყუდენით, ხოლო მე ძიება ვყო ამის ჯერისა თვს, და ღმერთი თუ არს, გამომეცხადოს ჩვენ. და იგინი კუალად კმობდეს ერთ პირად: ჯ მთავარო ვონიფანტე, არა იცნობა დიდსა ფალკონსა, ძესა ფალკონილაჲსსა, არა უწყია რაედენი კეთილი მან გიყო შენ და ვითარ აწ ვითარცა უცნაურისა თვს იტყვს, უკეთუ ღმერთ არს, გამოცხადნესო. მიუგო მთავარმან და ჰრქუა: ვითარმედ გარქუ თქუენ, კაცო, ვითარმედ დასტურობით ძიება ვყო პოვნად მიზეზი წარწყმედისა მისისაჲ, გინათუ შეურაცხ გუყო ჩვენ, ანუ თუ მოგვძულნა და ესრეთ წარგზავნნა ერი იგი და შევიდა იგი სასუენებელსა თვსსა, სადა იგი ლუკაონიდე დაიტევა, რამეთუ სხვაჲ იგი მეინაჲს ჰამბვისა მის თვს შემფოთებული წარვიდა. ხოლო მთავარმან ჰრქუა ლუკაონიდეს: გესმაჲ ჰამბავი ესე, ვითარ ტაძარი ფალკონ ღვთისაჲ და შუენიერი იგი გამოქანდაკებული უჩინო ქმნულ არს. იწყო ლუკაონიდე პირველსავე სიტყვისა თვსსა და იტყოდა: ისმინე ჩემი, უფალო, და გულ საგსე იქმენ, ვითარცა პირველ გარქვ, ვითარმედ საზორველნი იგი სიცრუვისანი, სამგუამოვანმან ღვთაებამან უჩინო ყო, რათა არღარა ეშმაკთა უზორვიდეთ, არამედ ღმერთსა ცხოველსა და საუკუნესა, რამეთუ წარწყმდა უცნობაჲ ეშმაკთაჲ და საცდური გრძნებისაჲ, რამეთუ ღმერთმან მალაღმან ძს თვსი სოფლად მოავლინა, რომელი იგი იშვა ქალწულისაგან და განკაცნა, რათა განმწმინდეს ჩვენ ყოვლისაგან ცოდვისა და არა წმიდებისა და თავისა მიმართ თვსისა მომიზიდნეს შეცთომილნი ესე ღმერთისან ძლიერმან. და მე, უფალო ჩემო, დიდებულო მთავარო, ვიხილე აურაცხელი ძალი მისი და ჰრწმენა მისი, რამეთუ ვიხილენ მოწაფენი მისნი წმიდანი, რომელნი იქმოდეს სასწაულთა უაღრეს ბუნებისა, რომელ კერბთა*) მათ მცბიერთა არცა ოდეს უქმნიეს, არცა ქმნან უკუნისამდე და ამის თვს ვითარცა ვსთქუთ არღარა ვჰმონებთ ფალკონს და ირონიას ასულსა და სხვათა მათ ბილწთა კერბთა, რამეთუ ყოველნი მსახურნი მათნი სატანჯველთა საუკუნეთა მიეცნენ მამისა მათისა ეშმაკისა თანა. ხოლო ჩვენ ამიერითგან ჰეშმარიტისა და უკუდავისა ღვთისა მონანი ვარა და მიკვრს, ვითარ აქამომდე ცხოველ ვიყვენით, ესე ვითარსა მას საცთურსა შინა მავალნი, რამეთუ არა

*) ამ სიტყვიდან ისევ № 50-დან ამოწერილია.

არს მას შინა ცხოვრება, რამეთუ ესე არს ჭეშმარიტებაჲ და ცხოვრებაჲ საუკუნოჲ და უკეთუ გნებავს გამოწუთილოვით მიგიტხრა, რაჲდენი ვიხილე საიდუმლოჲ საკვრელი. ჰრქუა მას მთავარმან: იტყოდე, მეგობარო ჩემო სარწმუნო, და ნუკა რას დამითარავ, რამეთუ ვინაჲთგან იწყე თხრობასა მაგას, გულისა ჩემსა სიხარული რაჲმე შემოვიდა, იტყოდე უკუე ყოველსავე უშიშად, რამეთუ გაქუს კადნიერება შენ წინაშე ჩემსა. იწყო კუალად ლუკაონიდე სიტყვად და ჰრქვა, ვითარცა უწყი, უფალო ჩემო, რამეთუ გარდასრულსა მას წელიწადს აღვაგე ნავი ჩემი ტურთითა და წარვედ ვაჭრობად და არმური ქარისა სასტიკისაჲ გუეწია და შავედით ზღელვარენი ქალაქად სკრაკუსედ და შევედით ნავთ საღვურსა შუალამეს ოდეს და დავყავით მუნ ორ დღე, და ვპოეთ მუნ მენავეთ მოძღუარი რომილოს, იგიცა განმზადებული, ნავითა თვსითა წარსლვად და, ვითარცა ჰყერი მარჯუე იქმნა, განვედით ზოგად და ვღეთ ვიღრე ასიამდე და მიერ შთავედით ანტიოქად და ვითარ იგი სავაჭრო აღვასრულეთ და წარმომართებაჲ გუეგულეობოდა, მოვიდეს ორნი კაცი და მკითხვიდეს ჩვენ, ვინანი ხართ, ძმანო, ხოლო ჩვენ უთხარით სახელები ქალაქთა ჩვენთა და ქალაქისაჲ ამის; განიხარეს მათ და წარვიდეს და შემდგომად მკირედი-სა ჟამისა მოვიდეს სხუანი ორნი კაცი, შემოსილნი დიდებითა საღმრთოჲთა, იგინი იყვნეს მოწაფენი და მოციქულნი უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესნი და პირველ მოსრულნიცა იგი მათ თანა ჰყვებოდეს, რომელნი იგი ვიხილენით რაჲ, განვეკრდით, რამეთუ ვხედვედით მათ, ვითარცა ცეცხლითა შემოსილთა და შეუვრდით ფერკთა მათთა, ხოლო მათ ცნეს, რამეთუ მალლი სულისა წმიდისა მოეფინა ჩვენ ზედა და განახუნა თუალნი ჩვენნი, მხიარულითა პირითა მოგვკითხნეს და გურქუეს ჩვენ: გიხაროდენ*) უფლისა მიერ ყოველთა, გიხაროდენ, ქრისტეს იესუს მიერ ძმანო, ხოლო ჩვენ ვიცნენით, რამეთუ იგინი არიან მოციქულნი, ეთქუთ უშიშით, გიხაროდენ თქვენ, მოწაფენო და მოციქულნო, ჭეშმარიტისა ღვთისა იესუ ქრისტესნო, რად მოშუერერით ჩვენისა სიგლახაისა, ჩვენმცა თქვენ წინაშე მოსრულ ვიყვენით. მომიგეს მათ და მრქუეს, ჩვენ მოვედით თქვენდა დღეს, რათა ცხოვრება საუკუნოჲ მოგცეთ და იწყეს სწავლად ჩვენდა სწავლასა მას ქრისტეს ღვთი-

*) აქედან № 54 ვუბრუნდებით.

სასა, ხოლო ჩვენ გურწმენა მადლითა ღვთისაჲთა და ნათელ მცეს ჩვენ მეორედ შობითა მით წყლისა და სულისაჲთა, რამეთუ მით სრულ იქმნების სარწმუნოებაჲ იგი, ყოველთა უკუე რაედენნიცა ვიყუენით ორთა მათ ნავთა შინა, ნათელ ვიღეთ და ვეზიარენით საიდუმლოთა ქრისტესათა და ესრეთ ზივიღეთ საზრდელი მათ თანა, ხოლო ხვალისა ღღე შემოკრბა ერი მრავალი, თითო სახითა სენითა შეპყრობილნი და ეშმაკეულნი. მაშინ ვიხილენით საკვრელებანი მიუთხრობელნი, რომელ ქმნა ქრისტემან ღმერთმან საკვრელებანი წმიდათა მოციქულთა მიერ, ეშმაკნი ბრძანებითა მათითა ივლტოდეს, ბრმათა აღიხილეს, მკელობელნი ვიდოდეს, კეთროვანნი განსწმდებოდეს და სხვანი თითო სახენი სენნი სიტყვთა და შეხებითა კელთაჲთა განიკურნებოდეს და, ესე ყოველი რაჲ ვიხილეთ, მივეციტ დიდება უფალსა ჩვენსა იესუს ქრისტეს. იხილა რაჲ სარწმუნოება ჩვენი ნეტარმან პეტრე, რამეთუ იგი იყო წინამძღუარ და თავ მოციქულთა, მოგუცნა ჩვენ თანა ორნი იგი კაცნი, რომელნი ვსთქუ თუ პირველ მოვიდეს და გურქუა: წარიყვანენით, შეილწო, რათა იყვნენ თქუენდა მოძღუარ და მომაქსენებელ სიტყვასა ცხოვრებისასა. ხოლო ჩვენ დავვარდით და თაყვანისვეციტ და შევიყვანენით ნავად კაცნი იგი წმიდანი, სახელი ერთისაჲ მარკიანე, რომელი იგი შევიდა ნავსა რომილესსა და სახელი მეორისაჲ ბაგრატ, რომელი შემოვიდა ჩემთანა და მოვიღეთ კურთხევაჲ და სწავლაჲ წმიდათა მოციქულთა და წარვემართენით და ლოცვითა მათითა ნიაფი კეთილი მოგვიცა და მეოთხესა ღღესა განვიყვენით ურთი ერთას. მეორე იგი ნავი წარვიდა ქალაქად თვსად და ჩვენ მოვიწიენით ნავთსადგურსა ჩვენსა და განრაჲვედით კმელად, იწყეს ეშმაკთა მათ ფალკონისთა კმობად წმიდისა მის კაცისა თვს და მეცა მექადოდეს, რომელ მოვიყვანე იგი. ხოლო უფალმან ჩემმან ბაგრატ, მონამან ქრისტესამან, შეჰრისხნა მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა და აღვრ ახსნა ენასა მათსა და დაღუმნეს. ამისა შემდგომად ჰრქვა მსახურსა თვსსა: შეილო, მოიხვენ საჭურველნი ჩვენნი, რათა ვჰბრძოდით არა წმიდასა მას ფალკონს და მოილო სასწაული ჯვარისაჲ, რომელსა ზედა ქრისტე დაემშუალა ცხოვრებისათვს კაცთაჲსა და ხატი უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი და წმიდისა მოციქულისა პეტრესი მიიმართა ტაძარსა ფალკონისსა. ხოლო მე ვაყენებდ მას და ვეტყოდე: უფალო ჩემო, ნუ მიეახლები კერჰსა მას, რამეთუ

ამბარტაგან არს და თვნიერ შესაწირავისა არავისსა თავსიდებს მიახლებასა არცა თუ ქურუმთა თვსთა, დალაკათუ ვინ იკადროს მიახლებად, მეყსეულად მოკუდების. მომიგო წმიდამან მან და მრქუა: ჩვენ, შეილო ჩემო, არა მოგვლებიეს სული მოშიშებისაჲ, არცა ვძრწით უცნებათაგან საეშმაკოთა, რამეთუ შეგვმოსიეს მადლი სულისა წმიდისაჲ და აწ ძალითა უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესითა სიტყვთ ოდენ წარვწყმიდოთ ბოროტი ეგე კერპი და ეშმაკნი მისნი და უკეთუ გნებავს ხილვაჲ წარწყმედისა მისისაჲ, მოველ ჩვენთანა და იხილო. და ვითარ შუალამე ოდენ იყო, წარგემართენით და მივედით რაჲ ადგილსა მას და მე შიშისაგან კიდე დავდეგ, რამეთუ ვჰგონებდი თუმირაჲ ეახლოს, კმა უყოს მუნ მყოფმან მან ქურუმმან სულთა მათ ბოროტთა შეპყრობაჲ მისი, ხოლო მი(ე)ახლა რაჲ უფალი ჩემი ბაგრატ, შევიდა ტაძრად და სცა კუერთხითა კერპსა მას და არა იყო არცა კმაჲ, არცა ზრახვაი არა წმიდათა ეშმაკთაი, არამედ ყოველი იგი ბომონი და საყდარი და ფიალები ცარიელ იყო უცნებათა მათგან, რომელთა პირველ ვერვინ იკადრებდა მიახლებად და დაყო ტაძარსა მას შინა წმიდამან ბაგრატ, ვითარ ჟამ ოდენ; მერმე გამოვიდა გარე და ჰრქუა ეშმაკთა მათ კმითა მადლითა: თქვენ გეტყვ სულთა მაგათ არა წმიდათა და გაფუცებ სახელსა მაშისა და ძისა და სულისა წმიდისასა, რათა შემოჰკრბეთ ყოველნი, რომელნი ამას ადგილსა დამკვდრებულ ხართ და უპყრათ ყრუსა მას და უსულოსა ფალკონს და შთაადგოთ ზღუასა ოცდა ათ უტევან და თქვენ ყოველნი იყუნეთ უფსკრულსა მას შინა, ვიდრე დღედმდე დიდისა მის საშჯელისა. და მეყსეულად სიტყუასა ამას თანა იქმნა ოხრაი ფრიადი და ვიხორე სიმრაფლოც ყორანთაი და ორბთაი და აღჰფხურეს ტაძარი იგი კერპითურთ ფალკონისით და ყოველი უცნებაი მისი და მუნ მყოფი იგი ბილწი ქურუმი და შთაკადეს ზღუად ოცდა ათსა უტევანსა და გუესმა კმა ზღუასა შინა შთაფრდომისა მისისაი. ესე რაი ვიხილე, მადლი შეეწირე უფლისა ჩემისა იესუ ქრისტესა, რომელმან ყვის საკვრველი მხოლომან და, ვითარცა განთენდა, ვევედრე წმიდასა ბაგრატს მოსლოად შენისა დიდებულებისა წინაშე და ლოცვით წარმომგზავნა და სწავლითა სულიერითა. ამისთვსცა, უფალო ჩემო, დიდო მთავარო, რავდენიცა საკვრველებაჲ იხილეს თვალთა ჩემთა, გითხარ შენ, ხოლო შენი არს ამიერითგან ინებო თუ ცხოვრებაჲ სულისა შენისაჲ და ხილვად ნათელი იგი ჰეშმარიტი.

მსე რაჲ ესმა ვონიფანტეს მთავარსა; აღდგა, მოეხზა და ამ-
ბორს უყო ლუკაონიდეს და ჰრქუბ: კურთხეულ ხარ შენ, ლუკა-
ონიდე, მეგობარო ჩემო სარწმუნოო, რომელმან ესე ვითარი კე-
თილი ჰამბავი მომართუ, უკეთუ ნანდვილვე *) კაცი იგი დიდი და
მონაჲ ჰეშმარიტისა ღვთისა აქა მოსრულ არს, რომელსა იტყვ
რაჲსათჳს არა მოიყვანე შენთანა, რათამცა ვიხილე იგი. ვისგან გე-
შინის, არა მე ვარა მთავარ და კელმწიფე ქალაქსა ამას და საყდარ-
სა დიდისა მის და ახოვნისა ბრძოლათა შინა ტავროჲსსა ვზი და
ვისგან გეშინის, რომელ არა მოიყვანე კაცი იგი წმიდა. მიუგო
ლუკაონიდე და ჰრქუა მას: უფალო ჩემო, მეშინოდა, ვითარმედ
ნუ უკუე ცნან ბილწთა მათ ქურუმთა ფალკონისთა, ვითარმედ მან
წარწყმიდა იგი და შფოთ ყონ ქალაქსა შინა თანა შეწევნითა ავ-
რილიანე ბოროტისა მის ქალაქ პეტისაჲთა და რამეთუ მანცა არა
ინება აღმოსლვაჲ ჩემთანა. ჰრქუა მას მთავარმან, შფოთისათჳს, ქა-
ლაქისა შიში ნუ გაქუს, გარნა უკეთუ მას არა ჰნებაჲს მოსლვაჲ
ვითარმე ჳხილოთ იგი. მიუგო ლუკაონიდე და ჰრქვა მას: უფალო
ჩემო, უკეთუ განაღო გული შენი მადლმან უფლისა იესჳ ქრისტეს-
მან და გნებაჲს მონისა მისისა ხილვაჲ, სიგლახაკისა ჩემისა განზ-
რაზვა ისმინე, ბრძანე შემოკრებაჲ მკედართა ქალაქისათა და გარე-
მო სანახებისათა აღნომად ველსა მას გარე მახლობელად აღგილი-
სა მის და მიზეზითაცა ხილვისა აღგილისა მის, სადა ტაძარი ბილ-
წისა ფალკონისი იყო და განხვდე ველსა მას სიმონიდისასა, ხოლო
მე განემზადო ტაბლაჲ სანავესა მას ჩემსა. და აღასრულა რაჲ აღ-
ნომი მოხვდე მონისა შენისა სახლსა განსუენებად და მუნ იხილო
ნეტარი ბაგრატ და გესმეს მისგან მრავალი კეთილი და სიხარუ-
ლითა აღივსო, რამეთუ არს კაცი იგი სახიერი და საღესპ სულითა
წმიდითა. სთნდა სიტყუაჲ ესე მთავარსა და მეყსეულად განავლინნა
ქადაგნი ქალაქად და გარემო სოფლებსა შემოკრებად მკედრებისა
და შემოკრბა ერი ფრიად დიდი და წარსდგეს წინაშე სამშჯავრო-
ჲსა მის და შეასხმიდეს მთავარსა ვონიფანტეს თითო ფერთა შეს-
ხმითა და სახიობითა. ხოლო მან გამოიღო ოქროჲ და ვეცხლი
ფრიადი და მიფენით მიჰფენდა ერსა მას ზედა და კმანი მათნი უმე-
ტეს ამალოდეს კმითა სასმენელითა. ხოლო ქალაქ პეტსა ავრილი-
ანეს ესმა რაჲ ქურუმთა მათგან წარწყმედაჲ არა წმიდისა ფალკო-

*) ნამდვილი (діалектъ).

ნისი და ვითარ იგი მივიდეს მთავრისა და არა მოწლოდ შეიწყნარ-
ნა იგინი, განიზრახვიდა ვიეთ თანამე ქალაქისათა განდგომილებისა
ყოფად, არამედ ესმა რაჲმკედრობისა შემოკრებაჲ, ვერღარა იკად-
რა კელყოფად საქმესა მას, ხოლო მასვე ღამესა ღძლი ელმოდა
ვითარცა წყლული მახვლითა ზეგარდამოჲთა და ვიდრე განთენდე-
ბოდა მოკუდა შერისხული ღვთისაგან ურჩულოჲ. ხოლო მთავარ-
მან ერსა მას საფასჲ და როჭიკი განუყო და უბრძანა ხვალისა დღე
შემოკრებად ადგილსა მას სააღნომესა. ხოლო ათასის თავთა და
ასისთავთა და ერგასის თავთა სერი დიდი უმზადა და ხვალისა დღე ვი-
დრე ბნელდა იყო ნესტუსა დაჰბერეს და შეკრბეს ყოველნი ველ-
სა მას და მთავარიცა მივიდა მონათა თჳსთა თანა და ლუკაონიდე
წარავლინა წინაჲსწარვე მოკითხვად წმიდისა ბავრატისა და უწყე-
ბად მოსლვაჲ მისი. ხოლო იგი წარვიდა სანავესა მას თჳსსა და
განუგო მონათა თჳსთა კაზმვაჲ პურისაჲ და იგი მოვიდა, შეუვრდა
ნეტარსა ბაგრატს და აუწყა ყოველივე, რაჲ იგი უთხრა მთავარსა
და კმანი იგი ბილწთა მათ ქურუმთანი და სიკუდილი ბოროტისა
მის ქალაქ პეტისაჲ და სიკეთჲ იგი მთავრისაჲ მის, ვითარმედ მზა
არს ქრისტეს მონა ყოფად და ვითარმედ წინაშე სიწმიდისა შენისა
სურვილ არს ესერა მოსლვად და, ვითარცა ყოველივე ესე თხრო-
ბაჲ აღასრულო მან, აღდგა წმიდა ბაგრატ და მცირედ განგუეშო-
რა და აღიპყრნა კელნი ზეცად, ილოცვიდა და თქუა: დიდება შენ-
და, უფალო იესუ ქრისტე, სიტყვაო, თანა არსო მამისაო, მხოლოდ
შობილო, თანა დაუსაბამოო, რომელმან ჯერ იჩინე კორცთა შეს-
ხმაჲ უქცეველად და უცვალებელად, რათა განალმრთო ბუნება
ჩუენი დაბნელებული ცოდვითა და აწ გვედრები, უფალო, იკსნენ
დაბადებულნი ესე შენნი მძლავრებისაგან ეშმაკისა და მოავლინე
გულთა მათთა ნათელი სულისა წმიდისაჲ, რათა გიცნან შენ მხო-
ლოჲ სახიერი და კაცთმოყუარჲ ღმერთი, განაახლე მათ შორის
სული შენი წმიდაჲ, სული იგი ძლიერებისაჲ, სული სიბრძნისა და
მეცნიერებისაჲ, განახუენ თვალნი გულთა მათთანი და უგულებელს
ყვენ ყოველნი ცოდვანი და ურჩულოებანი მათნი; ჰე უფალო,
ღმერთო ჩვენო, იესუ ქრისტე, მხოლოო მხოლოდ შობილო, თანა
მოსაყდრეო მამისაო და თანა არსო სულისა წმიდისაო, მომეც ჩუენ
სიტყუა აღებასა პირისასა, რათა ვხადოდით მადლსა სულისა წმი-
დისასა და მიუთხრობდეთ ერსა მას საკვრეველებათა შენთა, რამეთუ
შენ გიგალობენ ერნი ყოველნი, ძალნი ცათანი და ჩვენ, უღირსნი

ესე მონანი შენნი პატივსა და თაყვანისცემასა და დიდებისმეტყუელებასა შევსწირავთ შენდა მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ღა აღასრულა რაჲ ლოცვაჲ ესე, მოვიდა ჩვენდავე და იყო პირი მისი, ვითარცა ცეცხლი საესც მადლითა სულისა წმიდისათა, ვიდრელა ვერ ვიკადრებდით ჩვენ მიახლებად მისდა და მეყსეულად იწყო წმიდისა ჟამის წირვისა აღსრულებასა და, ვითარცა აღასრულა, დავსხედით და განტეხა პური და მომცა ჩუენ და მივიღეთ იგი მადლობითა ღვთისაჲთა. ხოლო ლუკაონიდე კუალად იწყო თხრობად, რაჲ იგი ჰრქუა მთავარსა და რაჲ იგი მისგან ესმა. მიუგო წმიდამან ბაგრატ და ჰრქუა მას, რეცა განცხრომით უწყი, შეილო, ყოველივე, რამეთუ დაღაცათუ კორცითა შორს ვიყავ, არამედ სულითა თქუენთანა ვიქცეოდე მადლითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა. ხოლო ვონიფანტე მთავარმან აღასრულა რაჲ აღნოში, ვითარ ცხრა ჟამ ოდენ, წარავლინა ერი იგი და თვთ მოვიდა ვითარ ხუთასითა ოდენ კაცითა რჩეულითა სავანესა მას ლუკაონიდესსა და დასხდეს ტაბლასა, რომელ იგი მოემზადა მას. ხოლო ვონიფანტე მთავარსა ყოველივე სურვილი თჳსი აქუნდა ნეტარისა ბაგრატის ხილვად და არარაჲსა ჟამადთა მათგან იხილა გემოჲ და აღესრულა რაჲ სერი იგი, ისწრაფდა ხილვად კეთილისა მის მწყემსისა, რამეთუ მადლი სულისა წმიდისა მიფენილ იყო მის ზედა ლოცვთა წმიდისა ბაგრატისითა და ვითარ ერი განიყარა მიმწუხრი იყო, მაშინ შემოვიდა ლუკაონიდე და ჰრქუა წმიდასა ბაგრატს: აჰა ესერა შემოვალს მთავარი ხილვად სიწმიდისა შენისა. ხოლო წმიდამან ბაგრატ შეიმოსა სამოსელი იგი სამღდელოჲ და აღჰმართა პატიოსანი ჯვარი და ხატი მაცხოვრისა და წმიდისა მოციქულისა პეტრესი და შემორაჲ ვიდა მთავარი, შემკობილი სამკაულითა მით სამთავროჲთა, ვითარცა იხილა წმიდაჲ იგი, დეარდა პირსა ზედა, რამეთუ ვითარცა უკუანახსენელ მითხრა ჩვენ ცეცხლი იხილა გარემო ნეტარისა მის და კმაყო: დიდ ხარ შენ, ღმერთო ქრისტეანეთო, დიდ ხარ ღმერთო ბაგრატისო, რომელმან მოავლინე მის ზედა დიდება შენი. მრწამ შენ, უფალო, იესუ ქრისტე, ღმერთო ჭეშმარიტო, რომელი იქადაგები მონისა შენისა მიერ ბაგრატისა, უგალობ და ვადიდებ ყოვლად პატიოსანსა და დიდად ზუენიერსა სახელსა შენსა. ხოლო წმიდამან ბაგრატ აღიხილნა ზეცას და მიყო კელი და აღადგინა იგი და შეახო მარჯუენაჲ მისი

შუბლსა და მკერდსა მისსა და გამოსახა მას ზედა ნიში პატოსნი-
სა ჯვარისა და უბრძანა დაჯდომად. ხოლო მთავარმან ჰრქუა მას:
ვითარ ვიკადრო, მონაო ღვთისაო, შენთანა დაჯდომად, რამეთუ
ცეცხლი მოტყინარე ხარ, ვითარ მივეახლო მე აღსა ცეცხლისასა.
გულის კმა ყო ნეტარმან მან, ვითარმედ მადლი იგი მღდელობისაჲ
ეჩუენა და აღიძარცუა ზეწარი იგი, რომელ ემოსა და არღარა ხე-
დვიდა მთავარი ცეცხლსა მას. მაშინ დასხდეს და იწყო ნეტარმან
ბაგრატ ქადაგებად და უწყებად მისდა სიტყუასა მას ცხოვრებისასა
მყუდარ ჟამ და მთავარი იგი ისმენდა სიხარულით და ჰმადლობდა
ღმერთსა და, ვითარცა ფრიალი ჟამი წარხდა, ჰრქუა ვონიფანტე
მთავარმან: ბრძანე წმიდაო ღვთისაო, რათა ზოგად პირი ვიკნათ
წინაშე შენსა, რამეთუ ხილვაჲ სიწმიდისა შენისაჲ მეგულგებოდა და
ამისთვის არა ვინებე ჰამადისა გემოჲს ხილვაჲ, რათა წინაშე შენსა
მივიღო საზრდელი. მაშინ ბრძანა წმიდამან ბაგრატ და დააგო ლუ-
კაონიდე ტაბლაჲ შუენიერი და დაჯდა მთავარი მარჯუენით კერ-
ძო წმიდისა ბაგრატისსა და ლუკაონიდე მარცხენით, მოიღო ნე-
ტარმან პური, განტეხა და მისცა მას და ჰრქუა: მიგცემ პურსა
ამას კელითა ჩემითა, მიიღე უკუე ამასთანა მორჩილებაჲ ყოვლისა
სათნოებისა კეთილისაჲ და, მივიღეთ რაჲ საზრდელი, აღვდეგით და
ვთქუთ მადლობაჲ უფლისაჲ.

შა მეყსეულად *) შეიმოსა წმიდამან ზეწარი თვისი, დაასხა სა-
კუმეველი საცეცხურთა და მისცა ღიდებაჲ და აღვასრულოთ გა-
ლობაჲ სერობისაჲ.

ხოლო ვიტყოდეთ რაჲ სამწმიდა არსობისა ღიდების მეტყუე-
ლებასა, აღელო სართული სახლისაჲ მისი და ელვაჲ საშინელი გა-
მობრწყინდა, ვიდრელა ყოველნივე დავცვივნით პირსა ზედა. ხო-
ლო წმიდამან მან აღმადგინნა და თქუა: ნუგეშინინ, შეილნო, რა-
მეთუ უფლისა იესუ ქრისტეს მადლი არს, რომელ ესე გამობრწყინ-
და, ამან განანათლნეს გულნი თქუენნი ცნობად ნებისა მისისა,
რომელ იგი არს კეთილი და სრული და სათნო და ვითარ იგი
აღვდეგით ძრწოლით არარაჲ სხვაჲ ვიხილოთ, გარნა წმიდა იგი
მღვამარე და აღვასრულოთ რაჲ ლოცვაჲ, დაჯდა ნეტარი იგი
და უბრძანა მთავარსა ვონიფანტეს და ლუკაონიდეს დაჯდომაჲ

*) აქედან იწყება № 50 შეცდომით „მესეულად“, მაგრამ გადმოვსწერეთ
მაინც № 54.

მახლობელად მისა. ჰრქუა მას მთავარმან: გვბრძანებ, მამაო ღმერთ
შეპოსილო, დაჯდომად მახლობელად შენსა და ვითარ იკადროს
ცვლმან მიახლოებად ცეცხლსა ანუ არა დადნეს და წარწყმდესა?
ეგრეთვე ჩუენ შეთუგენხეთ, არა დავიწუნეთა, რამეთუ ოდეს იგი
ემოსა სამღდელოა იგი სამოსელი ნეტარსა მას, ცეცხლსა ხედვიდა
გარემოას მისსა, ვიდრელა ვერ გუეძლო მიხედვად პირსა მისსა.
მიუგო და ჰრქუა მთავარსა წმიდამან: მომეახლოენით მე, შეიღწო, და
გრწმენეს თუ მამაა და ძეცა და სული წმიდაა, არა გვენოს.

შაშინ დასხდეს იგინი წინაშე მისსა და ჰრქუა წმიდამან ბაგ-
რატ მთავარსა მას: გწადოდა, შეიღწო, ხილვაა ჩემი და აჰა ზიხი-
ლენ და ვესაე უფლისა, რათა მხედვიდე მარადის, ვიდრემდის უფა-
ლსა ენებოს. მიუგო მთავარმან და ჰრქუა მას: ჰე მამაო წმიდაო,
გიხილე ყოვლითურთ ცეცხლისფერ და ვხედაე პირსა შინა შენსა
ენასა ცეცხლისასა და საესე ვარ სიხარულითა და შიშითა და ვესაე
ღმერთსა, რომელსა ჰქადაგებ, რომელ არა სადა განგეშორო.

შაშინ იწყო წმიდამან ბაგრატ სწავლად მისა და უწყებად ყო-
ველსა ქადაგებასა სახარებისასა, ვითარ გარდამოკდა სიტყვაა ღვთი-
საა და იშვა ქალწულისაგან ხარებითა ანგელოზისაათა სულისა
მიერ წმიდისა და იშვა მისგან უთესლოდ და ყოველივე განგებუ-
ლებაა განკაცებისა მისისაა აუწყა ვიდრე ჯვარცმადმდე და აღდგო-
მად და ზეცად ამალღებადმდე. ხოლო მიბრძანა მე მოღებად გუ-
ჯართა მათ გამოხატულოთა, სადა იგი გამოწერილ იყვნეს საკვრე-
ლებანი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესნი და ვითარ იგი სიტყვთ
აუწყებდა და სახითაჲა უჩუენებდა ყოველსავე და ეტყოდა: უფა-
ლმან ჩუენმან ესე ყოველი აღასრულა ქუეყანასა ზედა ჩუენისა
ცხოვრებისა თჳს, რამეთუ მრავლისა მისთჳს სახიერებისა მისისა მო-
დრიკნა ცანი და გარდამოკდა. ხოლო წიაღთაგან მამისათა არაა
სადა განეშორა, არამედ ვითარცა იგი პირველ განკაცებისა ღმერ-
თი იყო, ეგრეთვე შემდგომად განკაცებისა ეგო ღმერთი უვნებელი
და გამოგზნდა ჩუენ ღმერთი კორც-შესხმული, რათა კორცითა
მით, რომელი შეიმოსა, შემუსროს ეშმაკი და ქმნული კელთა მის-
თა პირველსავე მოიყვანოს პატიესა.

რამეთუ მან თავადმან არა რაჲსაგან ყოველივე არსად მოი-
ყვანა, ცაა და ქუეყანაა, ზღვაა და ყოველი რაჲ არს მას შინა და
შექმნა კაცი კელითა თჳსითა ხატად თჳსად და შთაჰბერა მას სუ-
ლი ცხოველი და იქმნა კაცი იგი მშვნვიერად ცხოველად, ამისა

შემდგომად დასდვა მას განკვრევა და მიეძინა და მოიღო ფერცხალი ერთი გუერდთაგან მისთა და ქმნა იგი დედაკაცად და მისცა იგი შემწედ მისა.

ხოლო დაასხა სამოთხცა დიდებული აღმოსავალით კერძო და კაცი იგი პირველ ქმნული დაადგინა მას შინა თანა შემწითურთ მისით და მისცა მცნებაჲ ყოველთა მათგან ნაყოფთა ჰამად გარეშე ერთისა, რამეთუ ჰრქვა მათ: რომელსაღა ღღესა შჯამოთ მისგან, სიკუდილითა მოსწყდეთ.

მაშინ იწყო ეშმაკმან, რომელი იგი თვისისა ამპარტავენებისა თვს ზეცით გარდამოვრდომილ იყო ბრძოლად კაცისა მის, რამეთუ არა კმა ეყო მას თვისი წარწყმედაჲ, არამედ დამბადებულისა მის ცა ღვთისაჲ. ისწრაფა თვისისა დამბადებელისაგან განშორებაჲ, ამისთვის ცა მოუკდა დედაკაცსა მას და აცთუნა იგი და მოიღო მან ძელი-სა მისგან და ჰამა და მისცა ჰმარსა თვსსა და ჰამეს და მეყსეულად ცნეს სირცხვილი თვისი, ამისთვისცა შეჰრისხნა მათ ღმერთმან და მისცა აღამს კანონი, ღირსი ურჩებისა მისისაჲ, ოფლითა პირისა მისისაჲთა ჰამად პურისა და ეკლისა და კუროჲს თავისა აღმოცენებად ჰეყანისა, ვინაჲთგან სცთა იგი, ვიდრემდის მიიქცეს მიწადვე, ვინაჲცა დაიბადა. ხოლო დედაკაცსა მას მწუხარებით და საღმობით შობაჲ და დამონებაჲ ჰმრისაჲ. ხოლო გუელი დაწყევა ყოველთაგან იძვრისთა და მკრდითა და მუცლითა მისცა სლოჲა და მიწისა ჰამაჲ.

ზამოკადა უკუე უფალმან ღმერთმან აღამი სამოთხით და დაადგინა ჰერობინი და მახვლი ცეცხლისაჲ იქცევისი ცვად კარსა სამოთხისასა და დაემკვდრა აღამ პირის პირ სამოთხისა მის. ამისა შემდგომად იცნა ევა, ცალი თვისი, და მიუდგა და შვა კაენი, მერმელა მიუდგა და შვა აბელ, ხოლო ეშმაკმან რაჲ მიიღო ურჩებისა მისგან ძალი, არღარა დასცხრებოდა ბრძოლად კაცისა მის, ამისთვის შური ბოროტი შთაუგდო კაენსა აბელის მიმართ, რამეთუ მისი მსხუერპლი შეიწირა ღმერთმან და კაენისსა არა მიხედნა. ხოლო განრაჲ ვიდეს ველად, აღდგა კაენ აბელის ზედა და მოკლა იგი, მიერითგან უმეტესი ძალი, მიიღო ეშმაკმან კაცსა ზედა და რავდენცა განმრავლდებოდეს იგი, ჰბრძოდა მათ. ხოლო დაწყებად ბოროტთა თვსთა მოიპოვა დაეიწყებაჲ, რათამცა დაავიწყდა კაცთა დამბადებელი მათი და შთაუთესა მათ შური და კდომი, სიძვაი, ვეცხლის მოყვარებაი, ძირი იგი ყოველთა ბოროტთაი, რომლისა

მიერ კერპთა მსახურებაი იშვა, რომელმანცა დაეიწყებაი მოჰტინა გულთა კაცთასა და დატევებად სცა ბუნებითი საქმეს დედათაი და ბუნებისა გარეგანსა მოიყვანა, ამისთვისცა აღბორგებულნი გულის თქმათაგან მამანი მამათათანა უშუერებასა იქმოდეს. ესე ვითარნი რაი ბოროტნი განმრავლდეს, განრისხნა უფალი ღმერთი და ინება აკოცი კაცთაი ქუეყანით წყლით რღუნისა მიერ.

ხოლო განმკითხველმან მან გულთა და თირკუმელთამან პოვა მისცა ნათესავსა შინა კაცი მართალი სახელით ნოე და იხილე სახიერებაი ღეთისაი, რამეთუ რისხვასცა შინა მოიკსენა წყალობაი და ჯერ იჩინა თელისა დატევებაი ქუეყანასა ზედა, ამისთვის უბრძანა მართალსა მას სულისა მიერ წმიდისა ქმნად კიდობანი და შესღვად მას შინა ცოლითურთ და შვლით და შეყვანებად ყოველთაგან იძრვისთა მასთანა.

და ესრეთ მოაგლინა წყლით რღუნაი და წარწყმდეს ჟრჩულონი იგი წყალთა შინა და დაშთა ნოე ხოლო და რომელნი იგი იყვნეს მის თანა და იყო ყოველი ქუეყანაი ოკერ, ამისთვის იხარებადა ბოროტი იგი ეშმაკი და იქადოდა, თუ რაბამი ბოროტი უძლო ქმნად.

ხოლო უფალმან ღმერთმან სახიერმან შეინანა აკოცი კაცთაი და აღუთქუა ნოეს არღარა მოვლინებად წყლით რღუნაი ქვეყანასა ზედა, რომლისა თვსცა დადვა სასწაულად შორის კაცთა აღთქუმად საუკუნოდ ღრუბელთა შინა, რომელსაცა მშვლდად უწოდა და დააწესა უფალმან ღმერთმან სინანული ცხოვრებად კაცთა, რათა რავდენიცა ვინ ცოდოს და მოიქცეს სინანულად, შეენდოს მას, უკუეთუ კულა არა შეინანოს, საშჯელად მიეცეს.

ხოლო გამორაჲ ვიდა, ვითარცა ვთქუ, ნოე კიდობნით და კუალად განმრავლდეს კაცი. აღესრულა რაი ნოე იყვნეს, ყოველნი ერთ ენა. მაშინ კუალად იწყო ეშმაკმან ბრძოლად მათდა და პირველად მოაგონა შენებად გოდოლი, რომელი მისწუთებოდის ზეცად. ამისთვისცა შეურინა ღმერთმან ენანი, რათა არა ცუდად შურებოდინ და ესრეთ განიბნინეს პირსა ზედა ქვეყანისასა მსგავსად ენათა, რომელნი მიეცნეს მათ.

ხოლო რაი განიბნინეს ქვეყანასა ზედა, კუალად დაავიწყა ეშმაკმან ღმერთი დამბადებელი მათი და აღმართებად სცნა კერპნი ოქროჲსა და ვეცხლისანი, ძელისა და ქვისანი, რომელთაცა ღვთად

უწოდეს და ჰმსახურებდეს მათ და უზოროდეს და სრულიად დაი-
ვიწყეს უფალი ღმერთი.

მაშინ ღმერთმან კუალად გამოარჩია ღირსი თვისი კაცი, სახე-
ლით აბრაჰამ, და იცნა მან ღმერთი და შეუდგა მას მკურვალედ.

ამას მოსცა უფალმან ძს სახელით ისაკ, რომელიცა აკურთხა
ფრიად. აღორძნდა ყრმაი იგი და ვიღოდა ყოველთა მცნებათა
ღვთისათა და ესხნეს მას ორ ძე: ესავი და იაკობი. და იაკობ იხი-
ლა კიბეც ქვეყანით ცად აღმართებული და ანგელოზნი აღმავალ-
ნი და შთამავალნი. ამას იაკობს ისრაჲლ უწოდა ღმერთმან და
მას ესხნეს ათორმეტ ძე.

მსენი შთავიდეს ეგვპტელ იაკობის თანა, მამისა თვისისა, და მუნ
დაეშენნეს. ხოლო მეგვპტელთა დაიმონეს ნათესავი მათი, რამეთუ
განმრავლდეს ფრიად. ამისთვისცა ფარაო მეფემან მან მეგვპტელთა-
მან იზრახა ზრახვაჲ ბოროტი და ბრძანა ყოვლისა წულისა მოწ-
ყუედაი, მაშინ იშვა წული მკვრცხლი და შუენიერი, რომელიცა
იშვილა ასულმან ფარაოსმან და უწოდა მას მოსე, რომელიცა აღი-
ზარდა და ისწავა ყოველი სიბრძნეჲ მეგვპტელთაჲ. ამას ეჩუენა
ღმერთი ცეცხლითა მაყულოვანსა შინა, რამეთუ ხედვდა მაყულო-
ვანსა, რომელი იწუებოდა და არა შეიწუებოდა.

და თქვა, წარვიდე და ვიხილო დიდი ესე ხილვაჲ და მირაჲ
ეახლა ხილვად, ესმა კმა, რომელი ეტყოდა: მოსე, მოსე! მე ვარ
ღმერთი აბრაჰამისი, ისაკისი და იაკობისი, განიკსნენ კამლნი ფერხ-
თაგან შენთა, რამეთუ ქვეყანაჲ ეგე, რომელსა სდგა, ადგილი წმი-
დაი არს. ხილვით ვიხილე ჳირი ერისა ჩემისაი ეგვპტეს და მნებაჲს
კსნაი მათი კელითა შენითა. ესრეთ წარავლინა იგი ეგვიპტელ და
მისცა უფალმან ღმერთმან მადლი ნიშებისა და სასწაულებისაი და
გამოიყვანნა ძენი ისრაჲლისანი ეგვპტით კელითა მტკიცითა და
მკლავითა მადლითა და განუპო მათ ზღვაი მეწამული და წიაღი-
ყვანნა იგინი ფრკივ, ხოლო მეგვპტელნი, რომელნი სდევდეს მათ,
დაინთქნეს ყოველნი ზღვასა მას შინა.

და ყო ღმერთმან ერსა მას თანა საკვრველი მრავალი, რამე-
თუ სღვასა მას მათსა თანა უვიდოდა და უძღოდა ღამით სუეტითა
ცეცხლისაითა და დღისი სუეტითა ღრუბლისაითა, პური ზეცით
უწჳმა მანანაი იგი ტკბილი, არამედ ეშმაკმან იგიცა ერი ესოდენ-
თა საკვრველებათა ზედა მიდრიკა ღვთისაგან და დაავიწყა მან უფა-
ლი და არა მოიკსნენ მათ დღს იგი, ოდეს გამოიკსნნა მონები-

საგან, არცა სუფთი იგი ცეცხლისაი და საშინელნი იგი სასწაულნი, არამედ ქმნეს კბოი და თაყვანის სცეს მას, იყო რაი მოსე მთასა ზედა მოღებად ფიცართა მათ შჯულისათა; ამისთვის განრისხნა ღმერთი და ენება აკოცა მათი, არამედ მოსე დადგა შორის და ევედრა მათ თვს ღმერთსა, რათა შეუნდოს და ისმინა მისი უფალმან.

ამან მოსე წინასწარმეტყველა წინაშე ძეთა ისრაელისათა უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტეს თვს და თქუა: წინასწარმეტყველი აღდგინოს უფალმან ღმერთმან ძმათაგან თქუენთა, ვითარცა მე, მისი ისმინეთ ყოველსავე ზედა და რომელმან არა ისმინოს მის წინასწარმეტყველისაჲ, მოისპენ სული იგი ერისაგან ისრაელისა და კვალად თქუა: იხილოთ ცხოვრებაჲ თქუენი დამოკიდებული წინაშე თვალთა თქუენთა.

ჲა აღესრულა რაჲ მოსე, აღადგინა ღმერთმან ისუ, მსახური მოსესი, რომელმანცა ყო ბრძოლაჲ მრავალი და მოსწყვდნა მეფენი ძრიელნი და შეიყვანნა ძენი ისრაელისანი ქვეყანასა მას, რომელი აღუთქუა ღმერთმან მამათა მათთა აბრაჰამს, ისაკს და იაკობს. აღესრულა ისუ და იწყეს ძეთა ისრაელისათა აღრევად წარმართთა თანა და ისწავნეს საქმენი მათნი და ჰმონეს კერპთა მათთა და დამკირდეს და კნინ იქმნნეს და არა იყო მათდა წინამძღუარ, არამედ მსაჯულნი შჯიდეს ჟამითი ჟამად.

მაშინ ითხოეს მეფე და მოსცა მათ მეფე სახელით საულ, ხოლო მან ქმნა ბოროტი წინაშე ღვთისა და არა ნებისაებრ მისისა ვიდოდა, ამისთვის უბრძანა წინასწარმეტყველსა სამოელს ცხებად დავითისა მეფედ, რომელი იგი იყო კაცი მშვიდი და წრფელი და ვიდოდა იგი ყოველთავე მცნებათა ღვთისათა და მოიღო ღვთისაგან სულიცა წინასწარმეტყველებისაჲ. ამას ეფუცა დასუმაღ ღმერთი ნაყოფისაგან მუცლისა მისისა საყდარსა მისსა; ამან დავით მრავალი წინასწარმეტყუელა ქრისტესთვის უფლისა ჩვენისა; ამას ესვა ძე, სახელით სოლომონ, რომელიცა მეფობდა შემდგომად მისა და მისცა მას ღმერთმან სიბრძნე ფრიადი და აღუშენა ტაძარი უფალსა ღმერთსა.

ჲა მათ ჟამთა შინა მოსცა ღმერთმან სული თვისი წმიდაჲ წინასწარმეტყველთა, რომელნი იყვნეს მას ნათესავსა შორის კაცნი წმიდანი და იწყეს ქადაგებად განკაცებისა თვს სიტყვსა ღვთისა და იტყუადა კაცად კაცადი, ვითარცა სული წმიდაჲ მისცემდა და ერთ-

მან მათგან, რომლისა სახელი ესაია, ღაღად ყო და თქვა: აჰა ესე-
რა ქალწულმან მუცლად იღოს და შვეს ძეც და უწოდიან სახელი
მისი ენ მანუელ.

მგრეთვე სხუათა მათ წინასწარმეტყველთა თქუეს. თქვა თვ-
თოეულმან თვისისა წინასწარმეტყველებისა ებრ დიდებულისა მის
თვს მოსლჳსა ღვთისა სიტყჳსა; ერთმან ბჳედ უწოდა, სხუამან
კუერთხად, სხუამან ყრმად ქალწულისაგან შობილად, სხუამან მთად
წმიდად, სხუამან კიდობნად, სხუამან თქუა, ქუეყანასა ზედა გამო-
ჩნდეს და კაცთა შორის იქცეოდის და ესე ყოველნი, შვილნო
ჩემნო, ღვთისა მიერ ეუწყა წინასწარმეტყველთა და მოასწავეს წი-
ნაჲსწარვე.

ხოლო რაჲმს იგი მოგუეახლა წყალობაჲ ღვთისაჲ და ჯერ
იჩინა სიტყვამან ღვთისამან კაცობრივთა კორცთა შემოსად, არავის
აუწყა საიდუმლოჲ ესე, გარნა ერთსა ხოლო ანგელოზთმთავარსა,
ცეცხლის ფერსა გაბრიილს, რომელი იგი მოივლინა ხარებად ქალ-
წულისა მარიამისა.

ხოლო იყო წმიდაჲ იგი ქალწული ღვთის-შობელი თესლი-
საგან და ტომისა დავითისა, ყოვლითურთ უბიწო და ქალწულ და
იყო იგი მითხოილ მამაკაცისა, რომლისა სახელი იოსებ და ვითარ
იგი ერწმუნა ანგელოზსა სიტყვაჲ იგი საღმრთოჲ, გარდამოკდა ზე-
ციოთ და მივიდა ქალწულისა და ჰრქვა: გიხაროდენ, მიმადლებუ-
ლო, უფალი შენთანა და მიერთგან კმასა მას თანა შევიდა სა-
შოსა ქალწულისასა სიტყვაჲ ღვთისაჲ და იშვა კორციოთა უქცევე-
ლად და უცვალებელად ერთბამად ღმერთი და კაცი. ესე შობაჲ
ანგელოსთა დაუკვრდა და ზეგარდამო გალობდეს, მწყემსთა იხი-
ლეს, მოგუთა აღმოსავალით ძღუენი მოართუეს და რათა მოკლედ
ვთქუა, ესე უფალი ჩუენი იესჳ ქრისტე, ღვთისა სიტყვაჲ, იქცეო-
და ჩვენ შორის განგებულებისა მის აღსრულებად ოცდა ათ წელ.

ხოლო იყო მათ დღეთა შინა მღვდელი ვინმე სახელით ზაქა-
რია; ამას ესეა ძე ჟამსა სიბერისასა სახელით იოვანე, რომელი იგი
იშვა ხარებითა ანგელოზისაჲთა და იქცეოდა უდაბნოთა შინა; ესე
იქმნა წინამორბედ ქრისტესა და ქადაგებდა წინაშე მისსა სასუფე-
ველსა ცათასა და აუწყებდა მოსლჳსა ქრისტესა, რამეთუ ნათელ
სცემდა ერსა და ეტყოდა: მე ნათელ გცემ წყლითა, ხოლო შემ-
დგომად ჩემსა მოვაღს უძლიერესი ჩემსა, მან ნათელგცეს თქვენ
სულითა წმიდითა და ცეცხლითა და ამისა შემდგომად იხილა ქრი-

სტპ მომავალი და თქვა: აჰა ტარიგი ლეთისაჲ, რომელმან აღიხენა ცოდვანი სოფლისანი.

მაშინ ნათელილო უფალმან იორდანესა მდინარესა და აღმოსლვასა მისსა წყალთაგან დგა რაჲ ერი იგი, იყო კმაჲ ზეცით: გვე არს ძეპ ჩემი საყუარელი, რომელიცა სათნო ვიყავ და სული წმიდაჲ სახელ ტრედისა გარდამოკდა მის ზედა. მიერითგან იწყო უფალმან სწავლად და გამოირჩინა მოწაფენი ათორმეტნი, რომელთაცა მოციქულად სახელსდვა და დღითი დღე იქმოდა სასწაულთა და საკვრველებათა მრავალთა წინაშე ერისა მის და წინაშე მოწაფეთა მისთა, რომელი იგი ყოველივე იხილა ეშმაკმან და აღძრნა გულნი ჰურიათანი ღამბაღბელისა მიმართ მათისა და ზრახვა ყვეს მოკლვაჲ მისი ნაცვალად მკუდართა მათთა აღდგინებისა და ბრმათა განათლებისა.

ხოლო უფალი ჩვენი ნებისით მოვიდა ვნებად, რათა წარტყუნულნი მტერისა მიერ გამოიკსნნეს და ცხოველთა და მკუდართა ეუფლოს და მყოფთა ჯოჯოხეთისათა აზნაურებაჲ მიანიჭოს. ხოლო პირველ ვნებისა მისისა უთხრა მოწაფეთა ყოველივე მომავალი მის ზედა. მაშინ ერთმან ათორმეტთაგანმან, სახელით იუდა, მიჰყიდა ჰურიათა და მათ მისცეს იგი პონტოელსა პილატეს მთავარსა და ესრეთ ჯვარს ეცუა და გემოჲ სიკუდილისაჲ იხილა კოროცითა მით და ბუნებითა კაცობრივითა, დაეფლა და მესამესა დღესა აღდგა, შემუსრნა რაჲ ბქენი ჯოჯოხეთისანი და საკრველნი სიკუდილისანი განტეხნა, ეჩუენა მოწაფეთა და აღიყვანნა იგინი მთასა ზეთის ხილთასა და ყოველივე განცხადებულად გულის კმა უყო, მერმე აკურთხნა იგინი და ჰრქვა: წარვედით და უქადაგეთ სახარება ყოველსა სოფელსა; რომელსა ჰრწმენეს და ნათელ იღოს, ცხონდეს, ხოლო რომელსა არა ნათელ ეღოს, დაისაჯოს.

ჲა მერმე ხელვიდეს რაჲ მოწაფენი, ამაღლლა ზეცად და დაჯდა მარჯუენით მამისა, ვინაჲცა მოსლოად არს განკითხვად ცხოველთა და მკუდართა.

ხოლო წმიდანი იგი მოწაფენი და მოციქულნი მოიქცეს იბრუსალიმად ბრძანებისაგებრ მისისა და მოელოდეს აღთქუმასა სულისა წმიდისასა და, მორაჲ ვიდა მადლი იგი მათზედა ენითა ცეცხლისაჲთა, იტყოდა კაცად კაცადი უცხოთა ენათა, ვითარცა სული მისცემდა მათ და მიერითგან განიბნინეს სოფელსა შინა ქადაგებად სიტყვასა მას ქეშმარიტებისასა.

ხოლო მე მამისა თანა და დედისა ჩემისა მრწმენა ქრისტე იტყოდა რაჲ ქვეყანასა ზედა და ნათელ ვიღეთ კელითა პეტრესითა, თავისა მის მოწაფეთა მისთაჲსა და წარვედით სახედ ჩვენდა, ხოლო განრაჲ ეფინნეს მოციქულნი პირსა ქვეყანისასა ქადაგებად სახელსა ქრისტესსა, მოიწია ნეტარი პეტრეცა მოციქული კერძოთა მათ, ვინაჲ იგი მე ვიყოფებოდე და დაივანა საყოფელსა ჩემსა ორმოც დღე, რამეთუ მშობელნი ჩემნი აღსრულებულ იყვნეს, ხოლო მე შეუდევ მიერითგან ნეტარსა მოციქულსა, რომელმანცა წარმომგზავნა თქვენდა მომართ, რათა გიქადაგო სიტყვაჲ ღვთისაჲ, რომელი იგი, შეთუ იწყნაროთ გულითა ღმრთიერითა და ხვდოდით გზასა მას ქრისტეს მცნებათასა, ღირს იქმნეთ საუკუნეთა მათ კეთილთა, რომელი თუალმან არა იხილა და ყურსა არა ესმა და გულსა კაცისასა არა მოუკდა, რაჲ იგი განუმზადა ღმერთმან მოყუარეთა მისთა.

ესე ყოველი რაჲ ესმა ვონიფანტე მთავარსა დიდისა ბაგრატისგან, დავარდა პირსა ზედა და თქუა: ვჰმადლობ ქრისტესა ღმერთსა, რომელმან ესრეთ ჯერ იჩინა და მრწამს ყოველი, რავდენი მესმა პირისაგან შენისა, წმიდაო ღვთისაო და ამიერითგან ყოველი, რავდენი რაჲ მაქუს, კელთა შენთა მიგცე, ოდენ ღირს მყავე შეილად შენდა წოდებად. მაშინ წმიდამან ბაგრატ მიყო კელი, ჯვარი დასწერა და აღადგინა იგი და ჰრქუა: მადლმან უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესმან სრულ ყავნ სიტყვა ეგე შენი, რამეთუ ნანდულ ვე ქრისტეს მიერ შეილი ჩემი ხარი შენ.

ჴა ვიდრელა ამას ესე ვითარსა მრავალსა ასწავლიდა წმიდა ბაგრატ მთავარსა მას, მოიწია ჟამი ცისკრისაჲ და მშვდობაჲ დაუტევა მას მთავარმან და წარვიდა წარველენად ერისა სახედ თჳსად, რომელნი იგი მკვდრ იყვნეს გარემოჲს მთისა მის ეტნისა, კაცნი მკნენი და ძრიელნი ბრძოლად. ხოლო წმიდამან ბაგრატ წარგზავნა იგი და ჰრქუა: წარვედ, შეილო, მშვდობით, უფალმან წარგიმართენ ნებასა თჳსსა. და მან თაყვანის სცა და განვიდა და მეყსეულად დაჰბერეს ნესტუსა და აღმხედრდეს წინაშე მისა ერი იგი და წარვდეს ქალაქად და განთიად განუტევა ერი იგი კაცად კაცად სახედ თჳსჲ.

ხოლო წარვიდა რაჲ მთავარი იგი, ვიწყეთ ჩვენ ცისკრისა გალობასა და, შემდგომად აღსრულებისა მისისა, ჰრქუა ლუკაონიდე ნეტარსა ბაგრატს: უფალო ჩემო, შეილმან შენმან მთავარმან მრქუა

მოკსენებად სიწმიდისა შენისა, რათა ჰბრძანო აღსლვად ქალაქად-
მდე და აკურთხო სახლი მისი. მიუგო წმიდამან და ჰრქუა მას: ჰე
შვილო ჩემო, უფალსა თუ ენებოს, ვცოთ ეგრე, არამედ ბოროტნი
იგი ეშმაკნი ხედვენ წარწყმედასა თვსსა და ამბოხების ყოფაჲ ეგუ-
ლების, ამისთჳს დავწერო წიგნი კელითა ჩემითა, აღვედ და წარი-
კითხე წინაშე საკერპოსა მას ტავრომენელთასა დადუმნენ სულნი
იგი არა წმიდანი.

ღე დაწერა ნეტარმან მან ესრეთ: ბაგრატ, იესუ ქრისტეს უფ-
ლისა ჩვენისა მონაჲ, ლჳსონს კერპსა მას საძაგელსა ტავრო მე-
ნელთასა და სხვათა მაგათ ყოველთა ეშმაკთა მანდა მკვდრთა, გი-
ბრძანებ სახელითა უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესითა, აღვირ ასხე-
ნით ბოროტთა მაგათ პირთა თქუენთა, რათა ნუ რა რაჲ ამბოხე-
ბაჲ ჰქმნათ, რამეთუ უბრძანებიეს უფალსა, რათა შორს ჰყოთ ყო-
ველი უცნებაჲ აშიერითგან და საცთური დაბადებულთაგან მისთა.

ხოლო ლუკაონიდე მიიღო წიგნი იგი და წარვიდა ქალაქად
საკერპოსა მათსა და შევიდა ტაძრად და წარიკითხა წიგნი იგი და
დადგა წინაშე კერპისა მის და წარმოვიდა ჩვენდავე და ვითარცა
შემწუხრდა, აღასრულა ნეტარმან ბაგრატ ლოცვა და მიბრძანა
აღებად ჯვარისა და ხატთა მათ წმიდათაჲ და წარვემართენით ქა-
ლაქად. ხოლო სლვისა მას ჩვენსა ვარსკულავი ბრწყინვალჳ წინა
გჳძლოდა, ვიდრემდის მივიწიენით ქალაქად.

მსმა რაჲ მთავარსა მისლვაჲ ჩვენი, გამოგუეგება და შემეყვა-
ნნა სენაკსამკირესა, კეთილად მოკაზმულსა, სადა იგი დაედგა ცხე-
დარი და საყდარი და აწვა ნეტარსა მას დაჯდომაჲ. ხოლო იგი
დაჯდა და მთავარიცა მისთანა და იწყო სწავლად მისა სიტყვათა
ცხოვრებისათა მყოვარ ჟამ, მერმე წარგზავნა განსუენებად იგი.
ხოლო თავადი ლამე ყოველ კელ განჰყრობით უფალსა ევედრებო-
და, ვიდრე მოიწია ჟამი კისკრისაჲ. მაშინ მიწოდა მე და ზოგად
აღვისრულეთ გალობაჲ და ვიყოფოდეთ ტაძარსა მას ვონიფანტეს-
სა ორმეოც დღე.

ხოლო მოახლოებულიყო დღესასწაული ბოროტისა მის კერპი-
სა ლჳსონისი, რომელსა შინა მრავალსა საცხოვარსა და ზროხასა
დაჰკლვდეს ტავრომენელნი და უზორვიდეს მას. მაშინ შემოკრბეს
ქურუმნი იგი და კმობდეს წინაშე ტაძარსა მას მთავრისასა და მო-
აკსენებდეს განმზადებულებისა მისთჳს. ხოლო მთავარი წარდგა გარ-
დასაყრდნელსა მას თვსსა და ეტყოდა მათ: წარვედით, მოჰმზადეთ

ყოველივე წესისაებრ თქუენისა და, ოდეს დღესასწაული იგი მოიწიოს, მე მზა ვყო ცხოვარი და ზროხა და ყოველი რავედნი რაჲ სახმარ იყოს. ესე რაჲ ჰრქუა, წარგზავნა იგინი სახედ თვისსა.

და შემორაჲ ვიდა ჩუენდა ვონიფანტე მთავარი, ჰკითხვიდა მას წმიდაჲ ბაგრატ: რანი იყვნეს, შეილო, კმანი იგი ერისანი. მიუგო მთავარმან და ჰრქუა მას: შემდგომად ორისა თჳსა დღესასწაულთაჲ საქმს მოიწევის შესაწირათაჲ ღვსონ ღვთისა მის ამის ქალაქისა და ყოველი ქალაქი და გარემო სანახები შემოკრებვის. ამის უკუე ჯერისათჳს მეტყოდეს ქურუმნი, რათა მზა ვყოთ დასაკლავად ცხოვარი და ზროხა ფრიადი, ვითარ უკუე ჰნებაჲს სიწმიდესა შენსა ყოფად, ანუ თუ მოსლვად ხარა კრებასა მას წინაშე ყოვლისა ერისა გინა თუ არა ყოველივე მაუწყე ნებაჲ გულისა შენისაჲ. ჰრქუა მას ნეტარმან ბაგრატ: შეილო ვონიფანტე, ნუ ვინ გაცთუნებს, ნუცა თავს იდებ ამიერითგან მსხუერპლისა შეწირვად ეშმაკთა, არამედ მოიქეც სახიერისა მის უფლისა, რათა მიგეტევენ შენ ყოველნივე ცოდვანი შენნი, რამეთუ მოწყალე არს იგი. და ყოველთა, რომელნი მიივლტოდიან მისა, წყალობით შეიწყნარებს და შეუნდობს ყოველთა ცოდვათა მათთა, რამეთუ ამის თჳს გარდამოკდა წიადთაგან მამისათა ქრისტე ღმერთი ჩეენი და კაც იქმნა წმიდისა ქალწულისა მარიამისგან და მსგავს ჩეენდა იქმნა თჳნიერ ცოდვისა, რათა ყოველთა მიგვწოდოს სასუფეველსა მისსა, ვითარცა ღმერთმან მან ყოვლად ძლიერმან. ამისთჳს, შეილო ჩემო, მტკიცე იყავ სარწმუნოებასა ზედა მისსა, რათა სრულიად მოგეცეს მადლი სულისა წმიდისაჲ, რომელსა ჰნებაჲს ყოველთა კაცთა ცხოვრებაჲ და მეცნიერებასა ქეშმარიტებისასა მოსლვაჲ.

ხოლო აწ მნებაჲს, შეილო ჩემო, რათა აღმიშენო საკურთხეველი წმიდაჲ, რათა შევსწირვიდე მის ზედა შესაწირავსა დიდებულსა და უფალმან ჩეენმან იესჳ ქრისტემან გვხსნეს ყოველთაგან მტერთა უხილავთა და მოაველინოს ანგელოზი თჳსი მცველად სულთა ჩუენთა.

მიუგო მთავარმან და ჰრქუა მას: ყოველივე რაჲცა მიბრძანო შეილსა შენსა მზა ვარ აღსრულებად. სახს ოდენ საკურთხეველისაჲ მის გამოსახე და მიერითგან უზრუნველ იყავ. მაშინ აღდგა ნეტარი იგი და თანა წარიყვანა ვონიფანტე მთავარი და ლუკონიდე და განვედით მახლობელად ზღუდესა ქალაქისასა აღმოსავალით კერძო და გამოსახა სახს იგი ეკლესიისაჲ და ჰრქვა: ამას

ადგილსა მნებაჲს აღშენებაჲ ამის სახლისა სალოცველისაჲ და აღასრულა ღოცვაჲ ეკლესიისაჲ ბუნ მდგომარეჲმან. ხოლო მთავარმან სათხროლითა მოინიშნა ადგილი იგი და წარვედით სავანესა მას ჩვენსა და ხეალისა დღე უბრძანა მთავარმან მნესა თჳსსა წარსლვად ღუკაონიდეს თანა და, ვითარცა უჩუენოს აღშენებად ტაძარი იგი ღვთისაჲ და მეყსეულად შემოკრიბნეს გალატოზნი და ხუროთ მოძღუარნი და იწყეს შენებად, რამეთუ იტყოდეს სახლსა საგანძურსა აშენებს მთავარი და ფრიადითა მოსწრაფებითა ოცდაათ დღე აღასრულეს შენებაჲ იგი ყოველად კეთილად და შუენიერად და იყო შენებულნი იგი ყოველი კაციტა და ლაქვარდითა დიდ დიდებითა სისუბუქისათჳს მისისა.

და ვითარცა აღასრულეს ყოველივე სამკაული წმიდისა მის ეკლესიისაჲ, შთავიდა ნეტარი ბაგრატ მთავრისა თანა და ღუკაონიდესთანა, რომელსა ეწოდა ეპიფანე და აღჰმართა წმიდამან მან თჳსითა კელითა საკურთხეველი და აკურთხა იგი წესითა მოციქულთაჲთა და მეყსეულად შესწირა მას ზედა უსისხლოჲ იგი მსხუერპლი და გუაზიარნა წმიდათა მათ საიდუმლოთა მე და ეპიფანე და ამბორს გჳყო. ხოლო ვონიფანტე მთავარსა არა აზიარა, ამისთჳსცა შეწუხნა იგი ფრიად, რამეთუ ჯერეთ უმეცარ იყო საიდუმლოსა მას.

ხოლო ოდეს იგი იწყო წმიდამან ბაგრატ გალობად კმითა მით ტკბილითა, რამეთუ ფრიად კეთილ და ტკბილ იყო კმაჲ მისი და მადლითა ღვთისაჲთა აღესებულ, მეყსეულად ვიხილეთ მე და ეპიფანე ცეცხლი საშინელი, ზეცით გარდამოსრული, რომელმან აღავსო ეკლესიაჲ და ჩვენ შეძრწუნებულ ვიყვენით. ხოლო გარემოჲს ადგილისა მის აღმართებულ იყვნეს კერპნი მრავალნი სპილენძისა და ჳიქისა და კეცისანი ოქრო ღვსულნი და მას ჟამსა ყოველნივე დაცვეს და შეიმუხრნეს.

და ვითარცა აღასრულა წმიდაჲ ჟამის წირვაჲ ნეტარმან, ჰრქვა მთავარსა: რაჲსა მწუხარე იქმენ, შვილო, რომელ იგი არა გაზიარე წმიდათა მათ საიდუმლოთა? საცნაურ იყავნ შენდა, ვითარმედ ესე არს საიდუმლოჲ კორცისა და სისხლისა ქრისტეს ღვთისა და ვერვის კელეწიფების ზიარებად მისა, უკუეთუ არა პირველ აღიბეჭდოს წმიდისა ნათლის ღებისა მიერ, რომელ არს განბანაჲ წყლითა და განწმედაჲ სულისა წმიდისა მიერ. ხოლო შენ ჯერეთ ოდენ წინდი მიგიღებდეს მადლისაჲ მის და არღა სრულ ქმნულხარ. ჰმა-

დღობდ უკუე ღმერთსა და, ოდესმისმან სახიერებამან ჯერ იჩინოს, ღირს იქმნე დიდებულსა მას ნიქსა.

მსე რაჲ თქუა, შეუვრდა მთავარი იგი და არღარა შესძინა სიტყვად; მაშინ აღგვყვანნა ტაძრად და დააგო ტაბლამა შეუნიერი დღესა მას სატფურებისასა. ხოლო წმიდამან ბაგრატ იწყო კურთხევად ტაბლისა და თქვა რაჲ სიღრმითა გულისა მისისაჲთა, დიდება შენდა, ქრისტე ღმერთო, სუფევამა შენი, ქრისტე, სუფევა არს უკუნისამდე. მეყსეულად შეიძრა ადგილი იგი და ყოველნივე შიშით ქჟე დაეცვით. ხოლო ნეტარმან მან აღმადგინნა და თქუა: ნუ გეშინინ, რამეთუ მადლი ქრისტესი მოგუფეთინა ჩვენ, რათა გვაკურთხნეს. დაჯდა უკუე წმიდამა ბაგრატ და ერთ კერძო მისა მთავარი ვონიფანტე და ერთ კერძო—ეპიტანე. ხოლო მე ზე ვდექ წინაშე უფლისა ჩემისა.

შოილო წმიდამან პური, განტეხა და მოგუცა ყოველთა და თქუა: მიიღეთ, ჰამეთ პური ესე ჩემი კელთაგან ჩემთა დღესა ამას სატფურებისასა ტაძრისა ამის ღვთისა და მოიძაგენით კერპნი და ყოველივე ნაზორავი და ნაგები მათი. და აღვდეგით რაჲ ტაბლით, ყო ლოცვამ და წარავლინა კაცად კაცადი თვსაგან. ხოლო ჩვენ შთავედით ეკლესიად სამწუხრომსა გალობისა აღსრულებად და მიერთგან მუნ ვიყოფოდეთ, ლოცვათა აღვასრულებდით და უსისხლოსა მას მსხუერპლსა შესწირვიდა ღმერთ შემოსილი იგი.

ხოლო ქურუმთა მათ ბოროტთა ესმა რაჲ, ვითარმედ ვონიფანტე მთავარმან ტაძარი აღაშენა, იხარებდეს და იშვებდეს და იტყოდეს, ვითარმედ ღმერთნი უმეტესად შეიყუარნა მთავარმან და ტაძარი აღუშენა აპოლონს, რამეთუ არა იყო ქალაქსა მას კერპი მისი და იტყოდეს, დიდ არს ძალი შენი, ღმერთო აპოლონ, რამეთუ დაღაცათუ ფალკონ წარვიდა ჩუენგან, არამედ აწ შენ მოგიყვანა დიდმან ამან მთავარმან შეყუარებულმან ღმერთთამან.

ხოლო მოახდა კრებამა იგი ღვსონ კერპისა და მოჰმზადეს ქურუმთა მათ ცხოვარი და ზროხამა ფრიადი და სამნი ჰაბუქნი დასაკლველად ჩვეულებისაჲრ და შეკრბეს მიმო სლვად ყოველთა მათ საკერპოთა ტაძართა დაკუმეველად საკუმეველისა და, შერამ ვიდეს ყოვლისა პირველად ტაძარსა მას დიოს კერპისასა, პოეს კერპი იგი დაცემული და შემუსრვილი.

მსე რაჲ იხილეს, იცეს პირთა მათთა და გოდებით ტყება ყვეს და იტყოდეს: ჯ ღმერთო ჩვენო დიოს, არა კმა გუეყოა წა-

რწყმელაჲ იგი ფალკონისი, არამედ ესერა უმეტესიცა მწუხარებაჲ და რისხუაჲ გუეწია ჩვენ, რამეთუ გხედავთ შენ შემუსრვილად და, რომელსა შიშით თაყვანის გცემდით, გხედავთ შეურაცხად დაღეწილად, ვინ მიუთხრას სირცხული ესე ჩვენი გარემო ქალაქთა? და ესე ვითარითა გოდებითა გამოვიდეს გარე და შევიდეს სხვათა მათ ტაძართა და პოვნეს ეგრეთვე ყოველნი ღმერთნი შემუსრვილნი. მაშინ იქმნა ვაებაჲ დიდი და ყოველი ერი შეკრბა კმასა მას და განისძა ესე სიტყვაჲ ყოველსა ქალაქსა და იყო გლოვაჲ ყოველთა.

მაშინ ქურუმნი იგი ერთთურთ აღვიდეს მთავრისა და იწყეს კმობად კმითა უწყსოჲთა. ხოლო იგი წარდგა გარდაყრდნელსა მას თვსსა და ჰკითხვიდა შფოთისა მის მიზეზსა და იგინი ეტყოდეს: ჯ მთავარო, ვითარ ესე ვხედავთ, არცა ერთი ზრუნვაჲ გაქუს შენ წარწყმელისათჳს ჩვენისა, რამეთუ აჰა ესერა პირველ ქმნულსა მას განსაცდელსა ზედა, რომელ იგი ფალკონ ღმერთი ჩვენი უჩინო იქმნა, არცა ერთი ზრუნვაჲ აჩუენე და აწ კუალად დიოს ღმერთი ჩვენი დიდი და სხვანი ყოველნივე შემუსრვილ არიან, გარნა ღვსონ ხოლო და შენ აწლა იკითხავ მიზეზსა ამას გლოვისა ჩვენისასა, აწ უკუე თქუ, რასა გვბრძანებ ამის ჯერისა თჳს.

შიუგო მთავარმან და ჰრქუა მათ: კაცნო ბრძენნო ტავრომენელნო, ესერა კრებაჲ იგი დიდი ამის ქალაქისაჲ მოახლებულ არს, მაშინ უკუე ყოველივე გამოვიძიოთ. ხოლო აწ გამოარჩიენით თქუენგანნი კაცნი ბრძენნი და სწავლულნი ფრიად ფილოსოფოსობისანი და მეცნიერნი სიზმართა აღკსნად და სამისნრთა გამოძიებად და ტაძრებსა შინა ღმერთთასა ორორი დაადგინეთ, ნუ უკუე ცნან რაჲ არს მოწვევული ესე ღმერთთა ზედა, გინა თუ ღმერთი უძლიერესი მოვიდა და ვერ დაუდგნეს შიშსა მისსა და შეიბუსრნეს, ანუ თუ სხვისა რაჲსამე მიზეზისათჳს იქმნა ესე და, რაჲცა გამოეცხადოს, კრებასა მას, გუაუწყონ ყოველივე.

ხონდა სიტყუაჲ ესე ქურუმთა და ერსა მას და თქვეს: ვფუცავთ ძალსა ღვსონისსა, კეთილი განზრახვაჲ მოიგონე, მთავარო დიდებულო. და მიიქცეს ქალაქად და ხელთა აღიდეს რტოები მურტისა და დაფნისაჲთა და თითო სახითა სახიობითა შევიდეს ქურუმნი იგი, შეასხმიდეს მას და ითხოვდეს ხილვათა ხილვად საქმისა მის თჳს საძიებელისა. მაშინ სულმან მან ბოროტმან, რომელი იყო კერპსა მას შინა, კმა აღმოტევა და ჰრქუა მათ: კაცნო ტავრომენელნო, რაჲსა მოხუედით ჩემდა, ანუ რაჲსა კმითა ქები-

სადათა შემასხამთ, რაოდენი გაუცნეთ, გაუცნეთ და რაჲ იგი ვქმენით, ვქმენით თქვენთანა, ამიერითგან განგუეშორენით, არღარა არს ძალი ჩუენ თანა, რამეთუ სამგვამოვანმან ღვთაებაჲმან მიხედნა თვსთა დაბადებულთა, მოავლინა ღმერთმან სიტყვაჲ თვისი და ყოველნი განკურნნა, რომელმან იგი შექმნნა ცანი და ქუეყანა, ზღვაჲ და ყოველი რაჲ არს მას შინა. ამან აწ აქაცა მახვლი ცეცხლისაჲ მოავლინა—მოწაფს თვისი, რომელმან ფალკონცა იოტა და სხუანი შემუსრნა და მეცა უჩინო მყოფს. ესე რაჲ თქუა, დაღუმნა იგი სრულიად.

ხოლო ქურუმნი იგი და ერი აღიესნეს მწუხარებითა, რამეთუ ვერ გულისკმა ყვეს, რასა იგი ეტყოდა, არამედ ესე ოდენ ცნეს, ვითარმედ განსაცდელი და ჭირი მოწვეწულ არს ღმერთთა მათთა ზედა. მაშინ იწყეს კუალად ვედრებად, რათამცა გამოცხადებულ აღრე აუწყა მათ, თუ ვინ არს ძლიერი იგი ღმერთი და ყოველთა შემოქმედი. ხოლო სულმან მან არა წმიდამან და ბილწმან არა რაჲ მიუკო. მერმე კუალად წილ იგდებდეს, თუ ვის ეძიებს ღვსონ, რათამცა დაუკლეს მას, რამეთუ ესე აქუნდა ჩუეულებჲ და, რომლისაჲცა აუწყის, იგიცა დაუკლიან. მოიღეს უკუე ფიალი ოქროჲსაჲ და აღავსეს იგი წყლითა და მიახლეს წინაშე კერპისა მის და წილ იგდებდეს ბეჭდებითა, წესისა მისებრ მისანთაჲსა, და აღმოკდა წილი იგი მთავრისა ვონიფანტეს თვს, რათა დაუკლიან იგი კერპსა მას. ესე რაჲ ესმა ერსა, განიხარეს და რტოყბითა მით მურტისა და დაფნისაჲთა აღვიდეს პრეტორიად, რომელ არს ტაძარი მთავრისა, შეასხმიდეს მას და იტყოდეს: დიდებულო მთავარო და ბრწყინვალო ნახპეტო, დიდმან ღმერთმან ღვსონ შეაწირავად და მსხუერპლად მისა გითხოვა შენ და გნატრით, რამეთუ ამასცა ცხოვრებასა დიდებულ იქმენ და აწ ღირს იქმნები ღმერთ ყოფად, ვითარცა ღვსონ და ზევ და სხვანი იგი ღმერთნი.

ესე რაჲ ესმა, მას ჟამსა ერი იგი განუტევა ნიჭითა მრავლითა წესისაებრ და მსწრაფლ მოვიდა ნეტარისა ბაგრატიისა და შეუვრდა მას ცრემლით და, რაჲ იგი ასმიოდა, მიუთხრა მას.

მიუგო მას წმიდამან ბაგრატ: ნურარას ზრუნავ, შვილო, ამის ჯერისათვს, არამედ წარვედ კრებასა მას და მეცა მუნ მოვიწიო ძალითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა და ვიოტო სული იგი არა წმიდაჲ, ხოლო შენ არა რაჲ გევნოს. ნუგეშინინ, ნუცა იუ-

რვი, არამედ წარვედ მშვიდობით და მე სახელითა ქრისტესითა შენ თანა ვარ.

წარვიდა მთავარი ტაძრად თვსად და მუნ იყოფოდა უზრუნველად და ხვალისა დღე მივიდეს ქურუმნი კაცთა მათ მიმართ, რომელნი საკერპოთა შინა დაედგინნეს კითხვად, უკეთუ გამოცხადა რაჲ. ხოლო მათ მიუგეს და ჰრქვეს: ვითარცა ესე დაგუადგინენით ქეშმარიტისა ძიებად, ყოველივე, რაჲ იგი ვახილეთ, გაუწყოთ, ღმერთნი იგი შემუსრვილნი ერთად შევანაწევრენით და დავსხენით საყდართა მათთა ზედა და ვევედრებოდეთ გამოცხადებად ჩუენდა ჩუენებათა დაფარულთა და ღამე ყოველ არა დავიძინეთ. ხოლო ვითარცა მეცხრს ოდენ ჟამი იყო ღამისაჲ, გუესმა კმა გლობისა ფრიად შუენიერი, რომლისა სმენითა ვერ ვინ გაძღბის. და ვითარცა ისმა კმა იგი, მეყსეულად ვითარცა მძაფრისა ქარისაგან, განიბნინეს ღმერთნი იგი და იქმნეს ვითარცა არა რა. ხოლო ქურუმთა სიტყვანი ესე შეპრაცხნეს ვითარცა ნაცილად და არაჲ ჰრწმენა. მიუგეს კაცთა მათ და ჰრქვეს: უკუეთუ ურწმუნო ხართ სიტყვათა ჩვენთა, დაადგერით აქა და თქუენ თვთ გესმას.

ხონდა მათ სიტყვაჲ ესე და წარვიდეს და პოიყვანნეს სხვანი კერპნი და აღჰმართნეს ტაძართა მათ შინა და მუნ დაადგრეს მას ღამესა. ხოლო ვითარ მეცხრე ოდენ ჟამი იყო ღამისა, იწყო წმიდამან ბაგრატ ცისკრისა გალობასა და ესმა რა კმა მისი, მეყსეულად დაეცნეს კერპნი იგი და შემუსრნეს. მაშინ ქურუმნი იგი განვიდეს ხილვად, ვინაჲ მოვალს კმა იგი და კმა ესმოდა, ხოლო ხილვად ეკუტერისა მის ვერ კელეწიფებოდა, რამეთუ ბნელი მიფენილ იყო თვალთა ზედა მათთა. და აღვასრულეთ რაჲ ლოცვაჲ, დაჯდა ნეტარი ბაგრატ წინაშე კართა ეკლესიისათა, დასწერა ჯვარი და მაშინდა აღეხილნეს თვალნი მათნი და იხილეს წმიდაჲ იგი ეკლესია და ნეტარი ბაგრატ მჯდომარს წინაშე კართა მისთა, ვითარცა ანგელოზი ღვთისა და შეშინდეს. მაშინ მოუკდეს მას და ეტყუოდეს: გაფუცებთ ღიდთა ღმერთთა, გვთხარ ჩვენ, ღმერთი ხარ შენ ანუ კაცი?

მიუგო წმიდამან ბაგრატ და ჰრქუა მათ: მე არცა ღმერთი ვარ, არცა თქუენთა მაგათ ბილწთა ღმერთთა ვჰმსახურებ, არამედ კაცი ვარ დაბადებული ღვთისაჲ, რომელმანცა მომავლინა, რათა გიქადაგო თქვენ სიტყვა ცხოვრებისა და ქეშმარიტებისაჲ, რათა იცნათ ღმერთი მაღალი და მოიძაგოთ ბოროტი ეშმაკი. ჰრქვეს მას

ქურუმთა მათ: ვხედავთ შენ ზედა მადლსა დიდსა, ნუ უკუე აპოლონ ღმერთი იგი ათინელთაჲ ხარ შენ *) და ამისთჳ ესრედ ძლიერად მოხვედ და ღმერთნი ჩუენნი შეიმუსრნეს, გარნა არა გიღირს ამის საქმისა ქმნაჲ, დაღაცათჳ ძლიერი ხარ, რამეთუ იგინიცა ღმერთნი არიან.

მეუფა ნეტარმან მან და ჰრქუა მათ: კაცნო ტავრომენელნო, მე არცა აპოლონ ვარ, არცა აპოლონს ვიცნობ, რამეთუ არს იგი არა რაჲ და შეურაცხი, არამედ მონაჲ ვარ უფლისა ჩუენისა იესჳ ქრისტესი, რომელმან ქმნა ცაჲ და ქვეყანა, ზღვაჲ და ყოველი რაჲ არს მას შინა, რომელმან დაჰბადა კაცი ხატად თჳსა და მან მომავლინა, რათა გასწაო დატევებად ეშმაკთა და მის მხოლოჲსა მონებად, რათა მოგანიქოს ცხოვრებაჲ საუკუნოჲ, რომელი თუაღმან არა იხილა და ყურსა არა ესმა და გულისა კაცისასა არა მოუკდა, რომელ იგი განუმზადა ღმერთმან მოყვარეთა თჳსთა. ხოლო კერპნი ეგჲ, რომელთა თქუენ ღეთად უწოდთ, ეშმაკნი არიან და მსახურთა მათთა ცეცხლისა საუკუნოჲსა მომატყუებელ არიან და ბნელისა გარესკნელისა და ღრქენისა კბილთაჲსა და მატლისა დაუცხრომელისა. აწ უკუე, კაცნო, დაუტევეთ ბნელი და მოვედით ნათლად.

ხოლო ქურუმთა მათ უკვრდეს სიტყვანი მისნი, არამედ მიისწრაფდეს დღესასწაულსა მას ღვსონ **) კერპისასა და ჰრქუეს მას: ვისმინოთ კუალადცა, სიტყვაჲ ეგჲ შენი რასა მოასწაუებს და დაუტევეს იგი და წარვიდეს და იტყოდეს, ვინმე არს იგი ღმერთი, რომელსა ესე იტყჳს უძლიერეს ყოფად ჩუენთა ღმერთთა, რამეთუ სიტყვაჲცა იგი ღვსონისი გუჲკვირვებს, რომელ იგი გუშინ მოგვგო.

ამას ესე ვითარსა იტყოდეს რაჲ, მიიწინეს ტაძრად ღვსონისსა და განავლინნეს ქადაგნი შემოკრებად ერისა და მეყსეულად შემოკრბა ერი ურიცხვი რტოებითა მურტისა და ფინიკისაჲთა და აღვიდეს ტაძრად მთავრისა და შეიპყრეს ვონიფანტე მთავარი და მიიყვანეს წარდგინებად წინაშე ღვსონისსა და აღსძარცუეს ძოწეული იგი და პორფირი, რომელი ემოსა და კელნი შეეუკრნეს დაკლვად. ხოლო იგი მიმოიხედვიდა წმიდასა ბაგრატს, ვითარცა ზეა-

*) μή ἔ μεγας θεος Ἀπόλλων ἐἰ ὁ τῶν Ἀθηναίων.

**) Лиссонъ (Веселов., 83).

რაკი კლვად მიყვანებული იხედავენ დედასა თვსსა და იტყოდა, იესუ ქრისტე შემეწყალე.

ღა მას ოდენ ჟამსა აღდგა წმიდაჲ ბაგრატ და შეიმოსა სამღვდლოჲ კუართი ზეწრითურთ და მომცა მე კურთხევაჲ დიაკონობისაჲ და აღიღო ჯვარი იგი წმიდაჲ კელთა მისთა და ხატი მაცხოვრისა და წმიდისა მოციქულისა პეტრესი და სწრაფით მივიწიენით კრებასა მას და ვიხილეთ ვონიფანტე მთავარი წინაშე კერპისა მის შეკრული. ხოლო კერპი იგი იყო დიდ ფრიად და შინაგან მისა გუელი ვეშაპისა მსგავსი, რომელი იგი სუმიდა სისხლსა, რომელსა იგი უზორვიდეს. იხილა რაჲ ნეტარი ბაგრატ, მთავარმან კმა ყო: დიდება შენდა, ღმერთო, მონისა შენისა ბაგრატიშა და მეყსეულად დასცვეს საკერელნი იგი.

იხილა რაჲ ესე ერმან მან, დადუმნეს კმათა მათგან სასტიკთა, რომელთა შეასხმიდეს კერპსა მას და თუალნი ყოველთანი წმიდასა ბაგრატს ზედა იყვნეს, რამეთუ იხილეს იგი უცხოჲთა სახითა და მადლი ღვთისაჲ მოფენილ იყო მის ზედა.

მაშინ წმიდა ბაგრატ მიეახლა კერპსა მას და ჰრქუა: ღვსონ ბილწო და არა წმიდაო, რად აცთუნებ დაბადებულთა ღვთისა ჩემისათა, ანუ რომელსა სარგებელსა მოატყუებ შენ მიერ ცთუნებულთა მათ. მიუგო სულმან მან არა წმიდამან კერპით გამო: რასა მკითხავ, მონაო ღვთისაო, რომელი შენცა უწყი. ჰრქვა მას წმიდამან ბაგრატ: ჰე მე კეთილად უწყი, გარნა გიბრძანებ სახელითა ქრისტესითა თქმად ერისა ამის წინაშე უცნებათა შენთა და თუ ვითარისა ცხოვრებისა მომეტყუებელ ექმნები მათდა მას საუკუნესა.

მიუგო ეშმაკმან მან და თქუა წინაშე ყოვლისა მის ერისა: მე ყოველთავე მორჩილთა ჩემთა გეჰენიასა მას ცეცხლისასა დაუმკვდრებ თავისა ჩემისა თანა.

მაშინ წმიდამან ბაგრატ აღამალლა წმიდაჲ იგი ჯვარი და გამოსახა ნიში ჯვარისა ჯვართა და ჰრქვა მას: გიბრძანებ სახელითა მამისა და ძისა და წმიდისა სულისაჲთა, ეშმაკო არა. წმიდაო, სივლტოლად ადგილისა ამისგან და შთაფრდომად სიღრმესა ზღვსასა მოყვსისა მის შენისა ფალკონის თანა, ვიდრე განმზადებულად დღედმდე. და მეყსეულად იქმნა სულისა მისგან ბოროტისა, ვითარცა გრიგალი ქარისა მძლავრისაჲ და კერპი იგი დაეცა და შეიმუსრა წურღილად და სულნი იგი ბოროტნი ივლტოდეს. ხოლო გუელი იგი დაშთა ადგილსა მას, სადა ბომონი იყო. მოუკდა წმიდა

ბაგრატი, სცემდა მას კურთხითა და ეტყოდა: განვედ ტყავო ეშმაკისაო, რამეთუ შენ შეგიმოსა მან და პირველნი მამანი ჩუენნი სამოთხით გამოყარნა და აწ ლვსონ შენვე შეგიმოსა და დაბადებულთა ღვთისა ჩემისათა აცთუნებდა. განვედ სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა და ნულარამცა პოვნილ ხარ ამას აღგილსა. და მეყსეულად აღიძრა გუელი იგი საშინელი წარსვლად და შეძვრასა ოდენ მისსა ჯვარი დასწერა წმიდამან ბაგრატი და განიპო იგი ორად თავითგან ბოლომდე.

ესე საკვრველებანი, რომელ ქმნა სახელითა იესუ ქრისტესითა, იხილნა რაჲ ერმან მან კმა ყვეს: კურთხეულ არს ღმერთი ბაგრატი, ქეშმარიტად არს დიდ და საშინელ და გურწამს იგი. ჰრქუა მათ წმიდამან ბაგრატი: შემუსრენით ფიალები ეგე და სარწყულები საესს ღვთისა მით შეგინებულთა ნაზორევისაჲთა და, ყოველი იგი რომელი შესაწირად ეშმაკისა დაგიკლავს, ძალთა საქმელად მიტეოთ და ერმან მან მყის სიტყვაჲ მისი აღსრულა.

ძუალად უბრძანა აღებჲა გუელისაჲ მის და ზღუად შთაგდებჲა, და მეყსეულად მოაბეს მას საბელი და ზღუად შთაგდეს. ხოლო ითრევდეს რაჲ, ძუალნი მისნი განშიშვლდეს და ერთმან ქაბუკთაგანმან ზურგისაგან მისისა მოჰკუეთა ნაწევარი ერთი და აღწონეს რაჲ, იპოვა სამეოცი ლიტრაჲ.

მაშინ ყოველი იგი ერი შემოჰკრბა წმიდასა ბაგრატს. ხოლო იგი აღვიდა აღგილსა მაღალსა და აკურთხნა იგინი ჯვარის წვრითა წმიდითა, რათამცა მიიღეს მაღლი სულისა წმიდისაჲ და მყოვარ ჟამ ასწავებდა მათ სიტყვათა მათ ცხოვრებისათა და გულნი ყოველთანი განეხურნეს მაღლითა სულისა წმიდისაჲთა და კაცად კაცადი კერპებსა მას, რომელნი იყვნეს აღგილ აღგილ ქალაქსა შინა და ჰმუსრვიდეს და ჰნერწყუვიდეს მათ. ხოლო წმიდამან ბაგრატი კუალად აკურთხნა იგინი და ჰრქუა ხეალისა დღე შემოკრებად. და ესრეთ განყარა ერი იგი საზრდელისა მიღებად სახლთა მათთა.

და თავადი საღმრთოჲთა სიხარულითა მოიქცა ეკლესიად, ლოცვანი თვსნი მისცნა უფალსა და მიიღო მცირედ საზრდელი და დაჯდა კართა წინაშე ეკლესიისათა და ჰმადლობდა უფალსა.

მაშინ ეშმაკნი იგი, ქალაქსა შინა მყოფნი, შეწუხებულნი საქმეთა მათ თვს, რომელ ქმნა წმიდამან ბაგრატი, მოიცვეს იგი და ყოველივე ეკლესიაჲ, ვითარცა სიმრავლემან ყორანთამან, რათამცა წმიდაჲ იგი შეაშინეს.

მაშინ ღმერთ შემოსილი იგი აღდგა და შეიბეჭდა თავი თვისი სასწაულითა ჯვარისათა და ჰრქუა ეშმაკთა მათ: გაფუცებ თქვენ, სულნო არა წმიდანო, სახელსა უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესსა დავრდომად ქვეყანასა ზედა მფრინვალეებისა მაგისგან. და სიტყვასა მისსა თანა დაცვეს ყოველნი ქვეყანად და იქმნა ვითარცა გოლტი *) ღორთაჲ მრავალი. ხოლო წმიდამან ბაგრატ აღიღო კუერთხი ჯვარისაჲ და წარიქცინა იგინი და გარეგან ქალაქისა განიყვანნა იგინი, ვინაჲცა ქუაბი კლდესა შინა პოვა, მუნ შინა შეაყენნა იგინი და ლოდი დიდი სიტყვთა პირისა მისისათა მიაგორვა კარსა მას და სასწაულითა ჯვარისათა დაჰბეჭდა და ლოცვაჲ წართქუა მას ზედა და თქუა: გაფუცებ თქვენ, სულთა მაგათ ბოროტთა, სახელსა მეუფისა ჩემისა ქრისტესსა არლარა გამოსლვად ქუაბისა მაგისგან ვიდრე დღემდე საშჯელისა, ოდეს იგი ჯოჯოხეთს შეიყენებოდით.

ღა მოიქცა რაჲ მიერ ადგილით, შემოვიდა ქალაქად და აღგილსა მაღალსა კელნი განიპყრნა, ილოცვდა და ჰმადლობდა უფალსა და შემდგომად ლოცვსა გამოსახა ნიში ჯვარისაჲ აღმოსავალით, დასავალით, ჩრდილოჲთ და ბლურით და თქუა: ძალმან ჯვარისა შენისამან, უფალო იესუ ქრისტე, განიოტენ ყოველნივე სულნი არა წმიდანი და სიტყვასა თანა მისსა, რომელნიცა სადა დარჩომილ იყვნეს, ქალაქსა შინა ივლტოდეს.

ხოლო ხეაღისა დღე ყოველი იგი ქალაქი შემოკრბა და აღვდა იგი ადგილსა მაღალსა, კელი განუყარა და იქმნა რაჲ ღუმელი ერისაჲ, აღაღო ყოვლად წმიდაჲ პირი მისი და ასწავლიდა მათ. ხოლო ყოველნი გულს მოდგინედ ისმენდეს მისსა და იტყოდეს: გურწამს ყოველივე სიტყვაჲ შენი, წმიდაო ღვთისაო და თაყვანის ვსცემთ უფალსა იესუ ქრისტესა, რომელსა ჰქადაგებ და ყოველნივე კერპნი მოგვძაგებიან. ესრეთ უკუე ორსა მას დღესა ასწავლიდა ყოველთა ზოგად და კაცად კაცადსა წარჩინებულთა.

ხოლო მესამესა დღესა იწყო ნათლისცემად და პირველ ნათელღებულნი იგი წმიდისა პეტრეს მიერ ეპიტანე და სხვანი იგი მენავენი წარმოადგინნა მსახურებად და აღმქუმელად ერისა მის და ნათელსცა მათ მას დღესა შინა ოცდაოთხსა ათასსა რიცხვთ და

*) № 50 ხელნაწერში: კოლტი. Ср. Ев. Мат. исцѣл. бѣсноватаго, гл. VIII. ст. 32.

აზიარა წმიდათა ქრისტეს საიდუმლოთა. ხოლო ერისა მისგან მრავალთა თქუეს, ვითარმედ ვიხილეთო ტრედი ზეცით გარდამომაგალი და შთავიდა ემბახსა მას და განიბანა წყალსა მას შინა და აღავსო იგი ნათლითა და სურნელებითა მიუთხრობელითა და კუალად აღვიდა ზეცად.

ხოლო იქმნა მას დღესა შინა ქალაქსა მას სიხარული დიდი და ვიდრე რვა დღედმდე ურიცხუმან სულმან ნათელ ილო.

ხოლო ესმა გარემო სანახებისა ერსა და რომელნი იგი მთასა მას ეტნისასა მკვდრ იყვნეს მადლი იგი ღვთისაჲ მოსრული ქალაქსა მას ტავრომენელთასა შემოკრებოდეს ურიცხვნი და ნათელ ილებდეს კელითა წმიდისა ბაგრატისითა.

და მრავალნი უძლურნი განიკურნებოდეს ქრისტეს მიერ დადებითა კელთა მისთაჲთა მკელობელნი, ბრმანი, განრლეულნი, განკმელნი, წყლით მანკიერნი და ეშმაკეულნი.

ხოლო ვონიფანტე მთავარი მოუკდა ნეტარსა მას, თაყვანის სცა და ჰრქვა: გვედრები, მამაო ღმერთ შემოსილო, რად არა მეცა მომანიჭებ მეორედ შობასა ამას წყლისა მიერ და სულისა, ვითარცა სხვათა უფროჲსდა, ვითარცა მთავარსა პირველ ყოველთაჲსა მიღირდა მე ნათლისღებაჲ.

მიუგო წმიდამან ბაგრატ და ჰრქვა მას: შეილო ჩემო, ნუ სულმოკლე იქნები, არამედ განმზადე თავი შენი სიწმიდითა და ქველის საქმითა და, ოდეს უფალსა ენებიას, მაშინ ნათელ იდე, რამეთუ ჩემ ზედა არს ზრუნვაჲ სულისა შენისაჲ. ამას ზედა მთავარი იგი ღუმნა, რამეთუ კაცი იყო მორჩილი ყოველსა ზედა სიტყვასა წმიდისა ბაგრატისსა. მერმე ევედრა ნეტარსა მას აღსლვად მისთანა პრეტორად, რომელ არს ტაძარი მთავრისაჲ და, აღვედით რაჲ, შემიყვანნა საგანძურთა მისთა და უჩუენნა წმიდასა ბაგრატს საუნჯენი მისნი: ოქროჲ ფრიადი დაზნული ვითარცა იფქლი ანუ სხვაჲ რაჲმე ნივთი შეურაცხი. ესრეთ სავსე იყვნეს საუნჯენი მისნი ოქროჲთა, რამეთუ ესრეთ აღწერილ იყო წიგნებსა მათსა ტავროჲს და მენიაჲს თჳს, რომელთა ქალაქი იგი აღეშენა.

ვითარმედ იგი მენია ტომისაგან იყო აღექსანდრე მაკედონელისაჲ და მეცნიერ იყო ოქროჲსა ქმნასა და გამოდნობასა ოქროჲსა შანთასა, ამისთჳსცა აღავსო ქალაქი იგი ოქროჲთა და ვეცხლითა, ვიდრელა არავინ იბოებოდა მუნ ნაკლულეფანებასა შინა, არამედ გარემო სოფლებისაგანცა მუნ შემოკრებოდეს მორეწად

საფასეთა. ჰრქვა უკუე მთავარმან წმიდასა ბაგრატს: აჰა ესერა, მამო წმიდაო, ყოველი ესე შენ წინაშე არს, ბრძანე რაჲ ჯერ არს ესე ყოფად.

მიუგო წმიდამან და ჰრქვა მას: ესე ყოველი, შვილო, გლახაკაა მიეც. ჰრქვა მას მთავარმან: არა არს, მამაო, ქალაქსა ამას შინა კაცი ნაკლულეფანებასა შინა, რამეთუ ფრიად არს სიმდიდრც ქალაქსა ამას, ხოლო რომელიცა ვინ იპოოს უპოვარებასა შინა, ბრძანებისაებრ შენისა, უხუებით მივსცე მას.

მამოვედით მიერ და მოვედით ეკლესიად და ვპოეთ მუნ ერი მრავალი შემოკრებული. მაშინ ნეტარი იგი აღგილსა მალალსა დადგა და ასწავლიდა მათ წმიდათაგან წერილთა. ხოლო ერი იგი ენასა ცეცხლისასა ხედვიდეს პირსა შინა მისსა, ვითარცა მრავალთა გვთხრეს და მას დღესა ნათელილო ქსანთიპოსცა ბრძენთ მთავარმან მის ქალაქისამან, რომელსაცა ონისიფორე უწოდა ნეტარმან მან. და აღსრულა წმიდაჲ ჟამის წირვაჲ და აზიარა მორწმუნეთა მათ კორცსა და სისხლსა ქრისტისსა და მშვიდობით წარავლინნა სახედ თვსსა. ხოლო თავადმან პირი იკსნა ვონიფანტესთანა და ეპიფანეს და ეპაფროდიტეს.

და ხვალისა დღე მოუკდა მას დედაკაცი ვინმე, სახელით ხრუსე*), რომელი იგი ქურუმი იყო კერპთაჲ და დედით ხადოდეს მას ეშმაკნი და იყო იგი კეთროვან. ხოლო უნდა გამოცდაჲ წმიდისა მის და ჰრქუა: მოძღუარ, უკუეთუ ჰეშმარიტ არიან სიტყვანი შენნი, განმკურნე, რამეთუ ესერა ორმოც წელ ვჰმსახურებ ირას**), ასულსა დიდისა კრონოჲსსა და შთავეარდი სენსა ამას უშუერებისასა. აწ უკუეთუ სთქვა სიტყვით და განვიკურნო, მრწმენეს ღმერთი, რომელსა ჰქადაგებ.

მიუგო ნეტარმან მან და ჰრქვა მას: იხილე, დედაკაცო, და ნუ განსცდი უფალსა ღმერთსა, ნუ უკუე კურნებისა წილ ტანჯვაჲ მიიღო, რამეთუ უკუეთუ სარწმუნოებით მოუკდე უფალსა, რომელმან კმნნა ცანი და ჰვეყანაჲ, არათუ კორციელისა მაგის უშუერებისაგან ხოლო განიკურნო, არამედ სულიერთაგანცა სენთა განთავისუფლდე.

მერ გულის კმა ყო მან სიტყვაჲ იგი წმიდისაჲ მის, არამედ

*) № 50 ხელნაწერში: ხერისე, очевидно Хриза.

**) Жрица—Нравств.

პრქვა, ესე ოდენ სენი აღილე ჩემგან, რამეთუ სხუაჲ არა რაჲ მე-
ლმის შინაგან, არცა ღვძლი, არცა სტომაქი, არამედ მრთელ ვარ
ყოვლითურთ.

მიუგო წმიდამან და პრქვა: ღმერთი დაგივიწყებია, დედაკაცო
და ეშმაკთა ჰმონებ ესერა ორმოც წელ და ვითარ იტყუ, თუ
მრთელ ვარ შინაგან, კეშმარიტად დიდითა და მწართა სენითა
სნეულ ხარ. აწ უკუე შეუვრდი ღმერთსა მას კეშმარიტსა იესუ
ქრისტეს და მიილე მეორედ შობაჲ წყლისაგან და სულისა, რათა
განწმიდე ყოვლისაგან სენისა სულისა და კორცთაჲსა და მოვიდეს
შენ ზედა ნათელი უკუდავებისაჲ და უხრწნელებისაჲ და უჩინო
იქმნას უშუერებაჲ ეგე კორცთა შენთაჲ. პრქვა მას დედაკაცმან
მან: განწმიდე პირველად კეთრი ესე ჩემი, რათა არა შთავიდე სი-
ხენეშითა ემბაზსა მას.

მიუგო წმიდამან მან და პრქვა მას: გარქუ შენ, ნუ განსცდი
უფალსა ღმერთსა, რათა არა უძვრესად იგუემო. ხოლო დედაკაცი
იგი მასვე ზედა ეგო და ეტყოდა მას, გამწმიდე მე, რათა მრწმენეს
მე ღმერთი შენი.

მაშინ წმიდამან ბაგრატ ილოცა და პრქვა მას, განიკსენ სარ-
ტყელი შენი, და ვითარცა განიკსნა, ჯვარი დასწერა და მეყსეუ-
ლად დასცვია ვითარცა ქეცი და მოიქცეს კორცნი მისნი სიკეთედ
და განწმიდა კეთრისა მისგან. და ვითარცა იხილა თავი თჳსი გან-
კურნებული, მადლობისა წილ ღვთისა, მიუგო და პრქვა წმიდასა
ბაგრატს: არცა ერთი რაჲ კეთილი გიქმნიეს შენ ჩემთანა, რამეთუ
მე გამოგცდიდი შენ, უკუეთუ მეცნიერი ძი ხარა მკურნალობისა
კელოვნებასა. და აწ მიცნობიეს, ვითარმედ ჩვენნი ესე ბრძენნი და
მეცნიერნი უმეტეს შენსა შემძლებელ არიან სენთა კურნებასა.

პრქვა მას წმიდამან ბაგრატ: ჯ დედაკაცო, საქმეც ესე არა არს
კაცობრივისა ძალისაჲ, არამედ საღმრთოჲსა მადლისაჲ და ვერვის
კელეწიფების ესე ვითარისა რაჲსამე საქმედ თჳნიერ ღვთისაჲ, აწ
უკუე ვინაჲთგან იკადრე განცდად უფლისა, რომელმან მოგცა ესე
სიმრთელც, ძალუც კუალად მისვე კეთროვნებისა მოვლენაჲ შენ
ზედა, რათა ვერვინ მკურნალთაგანმან გალხინოს, ვითარცა იგი
აქამომდელცა ვერ განიკურნე.

და ესე რაჲ თქვა, აღილო ქეცი იგი მისგან დაცვენებული,
მიადლო მას ზედა და თქვა: კურთხეულ ხარ, ღმერთო, რომელმან
ჰქმენ ცანი და ქვეყანა, ზღვაჲ და ყოველი რაჲ არს მას შინა,

რომელი გარდამოკედ ზეცით და არა განეშორე წიაღთაგან მამისათა, რომელმან მიიღე ბუნებაჲ ჩვენი თვნიერ ცოდვისა და ყოველნი უძლოურებანი ჩვენი განჰკურნენ, რომელმან ესე უტყუა მადლსა შენსა, სენი იგი რომლისაგან განჰკურნე, მისსავე უკუ მოედინ უმეტეს პირველისა. და მეყსეულად სიტყვასა თანა ბაგრატიისა, იწყეს კორცთა მისთა დაბძარვად, ვითარცა ცეცხლისაგან დამწვართა, ფერკითგან ვიდრე თავამდე და წუთხი ბოროტი სდიოდა ქვეყანად, ვითარცა ძმარი აღდუღებული და იყო წრტიანებაჲ ვაებისა მისისაჲ დიდ ფრიად და კმობდა: შემიწყალე, ბაგრატ, მონაო ღვთისაო, შემიწყალე, რამეთუ ესერა წარწყმედილ არს სარბაჲ ცხოვრებისა ჩემისაჲ, შეჩუენებულ არიანმცა კერპნი ყოველნი, რამეთუ მათისა სიყუარულისათჳს შემემახზე ესე ყოველი და აწ შენდა მომართ არს სასოებაჲ ჩემი, მონაო ჰეშმარიტისა მის ღვთისაო, შემიწყალე.

რქვა მას წმიდამან ბაგრატ: არა არს, დედაკაცო, ჩემგან სასოებაჲ ცხოვრებისაჲ, არამედ ქრისტესგან, რომელი იგი განსცადე დამბადელი ყოველთა, რომელმან ჰიმიტა და აღვრითა ლაწუნი შენნი გიქცინა. ხოლო იგი კუალად კმობდა: შემიწყალე, მონაო ღვთისაო ბაგრატ, შუამდგომელ და თავსმდებ მექმენ ღვთისა მიმართ, რათა განვერე მწარეთა ამათ ტკივილთაგან, ევედრე ქრისტესა, რომელსა ჰქადაგებ, მოხილვად ჩემ ზედა და არღარა მტყუვარ ვიქმნე, არამედ ვჰმონო მას სიკვდილადმდე. ესე ყოველი რაჲ ესმოდა წმიდასა ბაგრატს, შეეწყალა იგი და შევიდა ეკლესიად, ყო მისთჳს ლოცვაჲ და გამოვიდა, შეახო მას და გამოსახა მის ზედა ჯვარი ქრისტესი. და მეყსეულად დასცვენეს ნაბრძვლნი იგი წყლულებათა მისთანი და განიკურნა იგი წყლულებათა მისთაგან და მეყსეულად შეუვრდა ფერკთა ბაგრატიისთა. ხოლო მან არა უგულებელს ყო იგი, არამედ ღირს ყო ნათლისღებასა და უწოდა მას სახელი ვენეტიკტა *). და შემდგომად რაედენისამე ეამისა იხილა რაჲ გულისმოდგინებაჲ და მოსწრაფებაჲ მისი, აკურთხა იგი დედა დიაკონად.

ხოლო დედაკაცი იგი ევედრა ნეტარსა მას და წარიყვანა იგი ტაძარსა მას საკერპოსა თჳსსა და წინაშე მისსა შემუსრნა ყოველნი იგი კერპნი ოქროჲსა და ვეცხლისანი, ჰიქისა და რვალისანი

*) № 50 ხელნაწერში: ვენედიკტა.

და კეცისა და ცარცისანი და ვითარცა ყოველნი იგი შემუსრნა შეიყვანა წმიდა ბაგრატ საგანძურსა თვსსა და უჩუენა ფრიალი ოქროსა და ვეცხლი, ჰრქვა მას, რაჲ უყოთ ამას ყოველსა, წმიდაო ღვთისაო.

ჰრქვა მას წმიდამან ბაგრატ, შეილო, გლახაკთ მიეც, რამეთუ ძირი ყოვლისა ბოროტისა არს ვეცხლის მოყუარებაჲ, განაგდე იგი შენგან. მიუგო დედაკაცმან მან: არა არიან, წმიდაო ღვთისაო, გლახანი მრავალ ქალაქსა ამას, გარნა მე ბრძანებაჲ თქუენი აღვასრულო. და იწყო განცემად საფასისა მის და განუყო იგი ყოველთა, რომელთაცა ეკმარებოდა. ხოლო იგი შეუდგა წმიდისა ბაგრატის სწავლასა და ჰმსახურებდა იგი ეკლესიასა ყოველთა დღეთა ცხოვრებისა მისისათა.

სხვაჲ დედაკაცი საღმრთოთა შეპყრობილი, რამეთუ იყო ქელსა მისსა სენი, რომელსა ჰრქვიან კირჩხიბი, მოუკდა წმიდასა ბაგრატს და ევედრებოდა კურნებისა პოვნად და იტყოდა, შემიწყალე წმიდაო ღვთისაო, რომელი ესე ყოველთა მიერ მკურნალთა უკურნებელ ვიქმენ, შენ ძალ გიც განკურნებაჲ ჩემი, ევედრო თუ ქრისტესა ღმერთსა, რომელსა ჰქადაგებ. შეეწყალა იგი წმიდასა მას და შევიდა ეკლესიად, ევედრებოდა უფალსა მუკლთ მოდრეკით და იტყოდა:

ძურთხეულ ხარ, უფალო ღმერთო ჩემო, უკუნითი უკუნისამდე და კურთხეულ არს სუფევად შენი და ძლიერება შენი დიდებულ. შენ გვედრები, მეუფეო უკუდაო, ყოველთა დამბადებელო, რომელსა გიგალობენ ძალნი ცათანი, შეისმინე ვედრებაჲ ჩემი და განკურნე დედაკაცი ესე უძრული, რათა იდილოს მრავალ საგალობელი სახელი შენი უკუნითი უკუნისამდე, ამინ. და ვითარცა აღასრულა ლოცვაჲ, მოუწოდა დედაკაცსა მას და ჰრქვა წინაშე ყოვლისა მის ერისა: დედაკაცი, ვითარცა გრწმენა ესერა განგკურნებს იესჳ ქრისტე, რომელი სუფევს უკუნისამდე თანა პამით და სულთ წმიდითურთ და დასწერა ჯვარი და მეყსეულად უჩინო იქმნა ენებაჲ იგი მისგან. იხილეს რაჲ ერმან მან, კმა ყვეს ერთბამად: დიდება შენდა, ქრისტე ღმერთო, რომელმან გვკსნენ ჩვენ საცთურისაგან ეშმაკისა.

ხოლო წმიდამან ბაგრატ აღალო პირი თვსი და ეტყოდა ერსა მას: იხილეთ, შეილნო ჩემნო, მადლი ღვთისაჲ, რომელი მოჰფინა ჩვენ ზედა, რამეთუ მან შექმნა ცაჲ და ქვეყანაჲ, ზღვაჲ და

ყოველი რაჲ არს მას შინა, წინაშე მისა დგანან ათასეულნი და ბევრეულნი ანგელოზნი და მთავარ ანგელოზნი, საყდარნი, უფლებანი, მთავრობანი, კელმწიფებანი, ძალნი მრავალნი, თუალნი ქერაბინნი და ექუს ექუს ფრთენი სერაბინნი მარადის უგალობენ მას. მან თავადმან დაჰბადა კაცი ხატათ თვსად და მსგავსებად, არამედ იგი სცოთა და დაუტევა მცნებაჲ დამბადებელისაჲ და მიიერთვან ცოთმაჲ იგი აღორძინდა ვიდრემდის დაუტევეს კაცთა დამბადებელი და ჰმონებდეს დამბადებულთა, ამისთვის ქრისტემან ღმერთისან მოდრიკნა ცანი, გარდამოკდა ქვეყანად და ყოელითურთ მსგავს ჩვენდა იქმნა თვნიერ ცოდვისა და ეშმაკი მოაკლდინა და ბუნებაჲ ჩვენი საცთურისაგან იკსნა, იგი მხოლოჲ არს მკურნალი სულთა და კორცთა ჩვენთაჲ, რომელმან უძლოურებანი ჩვენნი აღიხუნა და სწეულეებანი ჩვენნი განკურნნა, მას ესყდით და სცხონდეთ.

ხოლო მას ღღესა მრავალნი უძლოურნი და ვნებულნი განიკურნნეს ლოცვითა წმიდისა ბაგრატისითა. და შემოკრბა ერი მრავალი მიღებად წმიდისა ნათლისღებისა და აღდგა ნეტარი იგი, ყო ლოცვაჲ და ნათილს სცა მას ღღესა რვა ათასსა კაცსა, თვნიერ დედებისა და ყრმებისა, რამეთუ სახელები მათი აღვწერეთ ეფუდებრთა შინა, სადა იგი ყოველთა ნათელღებულთა სახელები წერილ იყო, რათა ოდეს მსაჯული იგი მართალი ეძიებდეს მწყემსთაგან სულთა მათ რწმუნებულთა მათდა, მაშინ წმიდამან ბაგრატ უჩუენოს თვისისა სამწყსოჲსა სახელები.

ღა ვითარცა აღასრულა ნათლისცემაჲ ერისაჲ მის, დადგა ჟამის წირვად და, ვითარცა აღამალლა წმიდაჲ იგი პური, განგლო საროული ეკლესიისაჲ და ცეცხლი საშინელი გარდამოკდა და მოიკცა იგი, რომელიცა იხილეს ახალ ნათელღებულთა მათ ყოველთა და ვითარცა გარდამოიყვანა წმიდაჲ საიდუმლოჲ ზიარებად ერისა, იქმნა პირი მისი ვითარცა ლამპარი ცეცხლისაჲ და მოუწოდა რაჲ ერსა. ზიარებად, ვერ ვინ იკადრა მიახლებად მისა.

მაშინ წმიდამან მან ცნა შიში მათი და ჰრქვა: მოვედით, შეიღწო, და მიიღეთ საიდუმლოჲ ესე ცხოვრებისაჲ და ნუ გეშინიან, რამეთუ არა დაგწუავს, არამედ განგანათლებს. ესრეთ მიახლნეს და ეზიარნეს და სავსენი სულითა წმიდითა წარვიდეს სახედ ოვსა.

ხოლო მას ოდენ ჟამსა მოვიდა მუნ ვონიფანტე მთავარი და მისთანა ერი მრავალი და კმოზდეს, ყოველნი შეგვწყალებნ ჩვენ, მონაო ღვთისაო, და მოგვეც მადლი წმიდისა ნათლისღებისაჲ.

შიუგო წმიდამან მან და ჰრქვა: სულგრძელ იქმნენით, შვლ-
ნო, და ხვალე, ენებოს თუ უფალსა, მიიღოთ ნიქი მისი.

ჰრქვა მას მთავარმან ვონიფანტე: ბრძანე, მამაო ღმერთ შე-
მოსილო, ტაძრად სამთავროდ რათა გუაკურთხნე ჩვენ. და წარვე-
დით მისთანა წარჩინებულთა თანა ქალაქისათა და ინაკიდგა ნე-
ტარმან ბაგრატ ყოველთა მათ წარჩინებულთა მის თანა. მოილო
პური, განტეხა და მომცა ჩვენ. ხოლო მთავარმან დაგვიგო თუთო
ფერნი სანოვაგენი, არამედ ნეტარი იგი ქამდა პურსა მარილითა
და მხალსა უმგზარსა.

ხოლო მათ დღეთა შინა აღწერა მოციქულმან მათე, მის მი-
ერ აღწერილი იგი სახარება, რომელიცა სულმან წმიდამან მოსცა
მას აღწერად და შეიწყნარეს იგი წმიდათა მოციქულთა და ყოველ-
თავე მორწმუნეთა მისცეს კითხვად, რამეთუ სხუათა მათ-მხარე-
ბელთა არღა აღეწერა. ხოლო ჩვენდაცა მოიწია იგი წმიდისა მო-
ციქულისა პეტრეს მიერ მოვლინებულისა ძმისა მიერ და მას ზედას
ზედა უკითხვიდა ერსა ნეტარი ბაგრატ და პატივს სცემდა წიგნსა
მას წმიდასა და მარადის საკურთხეველსა ზედა ბრძანა დადებამ
სი, ოდენ ჟამსა კითხვისასა აღიღის იგი და წარუკითხის ერსა და
კუალად საკურთხეველსავე დადვის.

და ხვალისა დღე შემოკრბა ერი იგი მიღებად წმიდისა ნათ-
ლისღებისა და ნათელ იღეს მას დღესა ვითარ ხუთათასმან ოდენ
კაცმან და ეზიარნეს კორცსა და სისხლსა ქრისტესსა და წარვიდეს
საგსენი სულითა წმიდითა.

მას ჟამსა შინა მბრძოლნი განეწყევბოდეს ქვეყანათაგან გარე-
მო მოსლვად ქალაქსა სიკილიისა ქალაქსა ტავრომენელთასა. ესმა
ესე მთავარსა ვონიფანტეს და ენება განსლვად მიგებებად მათა და
წინა განწყობად. მოვიდა ნეტარისა ბაგრატისა წინაშე და ჰრქვა
მას: ლოცვაჲ შენი, მამაო წმიდაო, თანა მავალ მეყავნ, რათა წა-
რვიდე წინა განწყობად მტერთა ჩვენთა და ქალაქი ესე კელთა
შენთა შემოივდრებიეს, რათა ყოველივე ბრძანებისაებრ შენისა იქ-
მნებოდის.

შიუგო წმიდამან ბაგრატ და ჰრქვა მას: არა ჯერ არს ქრის-
ტეანეთა სისხლისა დათხევაჲ, შეილო, გარნა ვინაჲთგან წინამძღუარ
ერისა ხარ შენ და მოვლენ წინააღმდგომნი იგი ქალაქსა ზედა
შენსა და ამის თჳს გეგულების განსლვაჲ და დაყენებად მათდა,
უფალი იყავნ შემწე შენდა, ვითარცა აბრაჰამისა და მოსესსა და

ისუ, ძისა ნავესსა და განგადრიელოს შენ, ვითარცა დავით წინასწარ-
მეტყველი და მოგეცინ შიში მისი გულისა შინა შენსა. ხოლო ქა-
ლაქისა ამის მოურნა სხვა იზრუნე წესისაებრ თქვენისა, რამეთუ
ჩვენდა არა ჯერ არს დატევებად სიტყუსა მის საღმრთოაჲსა და
ზრუნვაჲ სოფლიოთა საქმეთაჲ, რამეთუ წმიდამან მოციქულმან და
მოძღუარმან ჩვენმან პეტრე ესე ვითართა ზრუნვათაგან სივლტო-
ლაჲ გვბრძმნა. ხოლო შენ დაადგინე, შვილო, ზედა მდგომელი
ქალაქისა ამის კაცი გონიერი და სახიერი.

მაშინ ყო განზრახვაჲ მთავარმან წარჩინებულთა თანა და და-
ადგინეს ძს ურჩულოაჲსა მის ავრილიანე ქალაქ პეტრისაჲ, მსგავსი
მისი ყოვლითურთ, რომელმან იგი არა ინება ნათლისღებისა მიღე-
ბაჲ, არამედ იტყოდა, ოდეს მთავარმან ნათელ იღოს, მაშინ მეცა
ნათელ ვიღო. და იყო სახელი მისი ელიდოს. მოიყვანეს იგი და
დაადგინეს წინაშე მთავრისა და წმიდისა ბაგრატიისა და თქვა მთა-
ვარმან ერისა მიმართ: ესე იყავნ ქალაქ პეტ თქვენდა, ხოლო ყო-
ველივე ბრძანებაჲ და განგებაჲ იყავნ მამისა ჩვენისა ბაგრატიისი.
და შეასხეს ქებაჲ მთავარსა ერმან მან და მიითვალეს ელიდოს ქა-
ლაქ პეტად. მაშინ ჰრქვა მთავარმან წმიდასა მას: გამოვედ, წმიდო
მამო, გარეშე ქალაქისა ჩვენ თანა, რათა ყოველმან ერმან მიი-
ღოს კურთხევაჲ შენი და ეგრეთ წარვიდეთ.

ხოლო წმიდამან მან მიბრძანა თანა მიღებად პატიოსნისა ჯვა-
რისა და წმიდათა მათ ხატთაჲ და სამღვდლოაჲსა მის სამოსლისაჲ
და განვედით მთავრისა მის თანა და წარჩინებულთა ქალაქისათა.

მაშინ შემოკრბა მკედრობაჲ იგი გარემო სოფლებისაგან წის-
ქლოვანით და მთისა მისგან ეტნისა და ზღვისპირით ტიტოაჲსაჲთ
და კერძოთაგან ტერმონისათა და სამხრით აგნენტიისა კერძოთაგან
და იყო რიცხვ შემოკრებულთა მათ მკედართაჲ ხუთასი ათასი.

ხოლო ესმა რაჲ ერსა მას მოსლვაჲ წმიდისა ბაგრატიისი, იქმ-
ნა ტენებაჲ დიდი, რამეთუ ყოველნივე ისწრაფდეს ხილვად პირისა
მისისა. მაშინ მთავარმან იხილა რაჲ იწროებაი იგი და ტენებაი
ერისა მის, ჰრქვა წმიდასა მას: აღვედ, მამო ღმერო შემოსილო,
ადგილსა მაღალსა, რათა გიხილოს ერმან ამან, რამეთუ შენთვის
არს ტენებაი ესე დიდი. და მეყსეულად აღვიდა იგი ადგილსა მა-
ღალსა შემოსილი სამოსლითა სამღვდლოთა და განბრწყინდა პი-
რი მისი ვითარცა მთიები განთიადისაი და ხედვიდეს რაი ამას მო-
რწმუნენი იგი, აღიდებდეს ღმერთსა. ხოლო რომელთა არა მიეღო

ნათლისღებაი, იტყოდეს: ვინ არს დიდი ესე ღმერთი? მიუგეს მო-
რწმუნეთა და ჰრქუეს: არა ღმერთი არს ესე, არამედ მონაი ღვთი-
სა ძლიერისა.

მაშინ ყოველნი იტყოდეს: გურწამს ყოველი, რომელსაცა ესე
ქადაგებს. და იწყეს ყოველთავე: გურწამს ქრისტე ღმერთი, რო-
მელსაცა ჰქადაგებ, კაცო საკვრეგლო. ხოლო წმიდამან ბაგრატ
მიბრძანა აღვილსა მას აღმართებაი პატიოსნისა ჯვარისა და დაგე-
ბა სიწმიდისაი და აღასრულა წმიდა ჟამის წირვაი. ხოლო ესმა
რაი კმაი იგი მისი ტკბილი, შემოკრბეს მორწმუნენი ზიარებად და
ურწმუნონი—საკვრეგლებისა მის ხილვად. და იყო საკვირველი დი-
დი, მსგავსი მისი, ოდეს იგი მოსეს ზე რჩულსა მოსცემდა ღმერთი
ძეთა ისრაელისათა, რამეთუ მუნ ვითარცა ღრუბელი ჰფარვიდა,
ეგრეთვე აქა ღრუბელი ნათლისაი აგრილობდა ნეტარსა მას, რო-
მელსაცა ხედვიდეს ერნი იგი. და ჰრწმენა ქრისტე უმრავლესთა
და ევედრებოდეს, რათა ღირს ყვნეს იგინი ნათლის ღებასა და
იტყოდეს: ამიერითგან მოგვძულებიან კერპნი იგი შეგინებულნი
და ჰეშმარიტისა ღვთისა მოვივლეთ, რომელსაცა ჰქადაგებ და
არა განვიდეთ განწყობასა ამას ბრძოლისასა, ვიდრე არა ღირს ვი-
ქმნეთ მადლსა ამას ნათლისღებისასა, რომელსა იტყვი, ვითარმედ
სრულმყოფელი არს ქრისტეანობისა.

იხილნა რაჲ ნეტარმან მან, რამეთუ ყოვლითა გულითა ჰრწმე-
ნა, ჰრქვა მათ: ვინაითგან გიწოდნა თქვენ მადლმან ღვთისამან,
შვილნო, და გრწმენა ღმერთი, რომელმან ქმნა ცანი და ქვეყანაი,
ზღვაი და ყოველი რაი არს მას შინა, რომელმან დაჰბადა კაცი
კელითა თვისითა და შთაჰბერა მან სული ცხოველი, წმიდა ყვენი
თავნი თქვენნი სამ დღე და ღირს იქმნეთ მადლსა ქრისტეს ღვთი-
სა ჩვენისასა.

მსრეთ განუტევა ერი იგი და აღიძარცუა სამღდლოი სამო-
სელი და სიწმიდეი იგი დავჰკრძალეთ და წარვედით კარავსა მას
მთავრისასა და ეპოეთ ტაბლადი განმზადებული. აკურთხა ნეტარმან
ბაგრატ და ინაკ იდგა მთავრისა მის თანა, მოიღო პური, განტეხა
და მისცა ყოველთა და მანცა თავადმან მიიღო პური და წყალი
და მხალი უზგბარი, ხოლო ჩვენ თვთოფერი ქამადი და, შემდგო-
მად ტაბლისა აღებისა, აღაღო პირი თვისი და ეტყოდა მთავარსა:

აჰა ესერა, შეიღო ჩემო, კორციელისა აღნომისა წილ იქმნა
აღნომი სულიერი, აჰა ესერა დღეს ძალნი ცათანი იხარებენ, ხო-

ლო ეშმაკისა ძალი, ვითარცა ცვლი წინაშე ცეცხლისა; განილია და ვითარცა არმური კუბლისაი ნიაფითა ზეცისაჲთა განქარდა, ამის უკუე მადლისა წალ მრწამს უფლისა იესუსი, რათა მკვდრ იქმნე საუკუნეთა მათ კეთილთა. აწ მნებაეს, შვილო, რათა აღვიდე ქალაქად და აღმოიყვანო ერი ესე ჩემდა ასეულად, რათა ნათელ იღონ.

მიუგო მთავარმან და ჰრქვა მას: არა ესე ხოლო, არამედ სხვაჲცა ყოველივე ბრძანებაი შენი აღვასრულო, წმიდაო ღვთისაო, რამეთუ სამთავროცა ჩემი, უკუეთუ მობრძანო, დატევებად მზა ვარ.

ჰრქვა მას წმიდამან ბაგრატი: სამთავროი შენი, შვილო, გაქუნდინ, რამეთუ კეთილ არს კაცისა ღვთის მოშიშისა მთავრობაი ესე და სხუაი მრავალი სულიერებრი დაიუზნეს.

ამისა შემდგომად წარვედით ქალაქად და ხეალისა დღე იწყო მთავარმან ერისა მის მოყვანებად, რომელთაცა წმიდაი იგი ასწავებდა და ნათელ სცემდა სახელითა მამისაითა და ძისაითა და სულისა წმიდისაითა. და იყო ერისა მის რიცხვ გარემო სოფლებისაგან ხუთასი ათასი და ქალაქისაგან ორმეოცი ათასი. და ნუვის დაუკრდების ერისა მის ესოდენი სიმრავლს, ქალაქი იგი ტავრომენელთაი და ქალაქი სიკილიისაი დიდ არს ფრად და მდიდარ ოქროითა და ვეცხლითა და სხვათა ყოვლითავე საფასითა და კაცნი ახოვანნი ბრძოლასა, რამეთუ მრავალ გზის დორაქს ბრძოლა ყვეს და უმეტეს ოთხასისა ათასისა მოსწყვდეს და მოიყვანეს ქალაქად თჳსად ტყუე ოთხმეოცი ათასი თჳნიერ დედებისა და ყრმებისა.

ხოლო მაკედონელთა ესმა ახოვნებაი მათი და განეწყვნეს ბრძოლად მათდა ველსა მას ტერენტოისასა სიქადულისა და ზახებითა დიდითა და ვერ უძლეს დადგომად წინაშე ტავრომენელთა მათ, არამედ იძლინეს და მეოტნი უკუნ იქცეს და დააკლდა მათგანი უმეტეს სამეოცისა ათასისა ქურვილისა და, ესე ვითარი იგი ძალი იხილეს რაი, მრავალთა მათგანთა დაუტევეს მეფს თჳსი, მოვიდეს და დაეშენეს ტავრომენისა სანახებსა, არამედ ამის ყოვლისათჳს ქუემორე ვთქუათ. ხოლო აწ პირველსავე სიტყვასა მოვიდეთ.

ნათელ ილო რაი ერმან მან მადლითა ქრისტესითა, მერვესა დღესა მოკდა მთავარი ვონიფანტე სხვათა თანა კელმწიფეთა და ითხოვდეს ლოცვასა ბაგრატისაგან წარსლვად წინამდებარესა მას წყობასა.

ჭრქვა მათ წმიდამან ბაგრატ: უფალმან იესუ ქრისტემან დაგი-
ცუნეს თქვენ, ძმანო, და მოიკითხნა იგინი და წარგზავნა. ხოლო
მთავარმან თვსაგან მოაქსენა წმიდასა მას ნათლისღებისა თვს და
ეტყოდა, ნუ უკუე მეწიოს სიკუდილი და წარვიდე დაბნელებული.
ჭრქვა მას ნეტარმან მან: შეილო ჩემო, უფალი იესუ ქრისტე გრწმე-
ნინ და მას ესევდი, ხოლო მაღლი იგი ნათლისღებისაჲ მიიღო,
ოღეს მან ბრძანოს, აწ უკუე წარვედ და მეცა ხვალისა ღლე გა-
მოვიდე წარგზავნად თქუენდა.

მაშინ ბრძანა ნეტარმან ბაგრატ ქმნაჲ ჯვარისაჲ ძელთაგან
საროჲსათა და ხატიცა უფლისა იესუ ქრისტესი, რათა ჰყვეს ერსა
მას ნიში იგი ქრისტეანობისაჲ. და მრქუა მე, მოვედ, შეილო ევა-
გრე, მიიღე კურთხევაჲ ხუცობისაჲ და წარვედ ძმათა ამათ თანა,
რათა ასწავებდეს სიტყვასა ღვთისასა და აღასრულებდეს წმიდასა ჟა-
მის წირვასა და გალობასა საცისკროსა და სამწუხროსა წინაშე სა-
მწყსოჲსა მის ქრისტესისა და ჟამსა ბრძოლისასა არქუ, რათა ჯვა-
რი ქრისტესი და ხატი მისი წინა უვიდოდინ, რამეთუ ესე არიან
საცო ქრისტენნეთა და, უკეთუ დათხევაჲ სისხლისა მრავალი იხი-
ლო, აყენებდი მათ და ეტყოდე, ვითარმედ არა ჯერ არს ქრისტე-
ანეთა დათხევაჲ სისხლისაჲ.

ესე ყოველი რაჲ მიბრძანა, შევედით ეკლესიად და მომცა მე
კურთხევაჲ ხუცობისაჲ. და ხვალისა ღლე განვედით რაჲ ველად,
მოუწოდა მთავარსა ვონიფანტეს და სხვათა მათ ერისთავთა და
ათასის თავთა და წინამძღუართა ერისათა, დამადგინა მე წინაშე
მათსა და თქვა: ამას წარმოვაფლენ თქვენ თანა, შეილნო, რათა
გასწავებდეს სიტყვასა ღვთისასა. ხოლო მათ შეიწყნარეს სიტყვაჲ
ესე სიხარულით.

მაშინ მიბრძანა ნეტარმან ჟამის წირვად წინაშე ერისა, ხო-
ლო მე შიშით და ძრწოლით დავდეგ ჟამის წირვად და ღმერთ შე-
მოსილი იგი თანა მიდგა მე. და აღესრულა რაჲ წმიდაჲ იგი საი-
ღუმლოჲ, ეზიარა იგიცა თავადი ჩემგან უღირსისა ამის და მე მის-
გან მოვიღე წმიდაჲ ჟამის ზიარებაჲ და შიში ღიდი დამეცა მე.

ხოლო ნეტარმან მან მრქუა მე: განძლიერდი, შეილო, სახე-
ლითა უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესითა. და სიტყვასა მას თანა
განემტკიცა გული ჩემი. მერმე ეზიარნეს პირველნი იგი ერისანი,
რომელთაცა ენება. ხოლო შემდგომად წმიდისა მის ჟამის წირვისა,
წარვედით კარვად მთავრისა, მუნ პირი ვიკსენით კელთაგან ნეტა-

რისა ბაგრატიისა. და მეყსეულად დაჰბერეს საყვრსა და ერი იგი აღდგა წარსლვად, ხოლო მთავარმან მოიკითხა ნეტარი იგი და მიიღო მისგან ლოცვა და წარვიდა. ეგრეთვე მე შევეუვრი მას და ამბორს უყავ, ხოლო მან მომიკითხა და ჯვარი ქრისტესი გამოსახა გულსა ჩემსა და პირსა და შთავიდა ზღუამდე, ჯვარი დასწერა ზღვისა მას და ესრეთ შევედით ნავად და წარვემართენით.

ხოლო აწ გზისა მის სიტყვაჲ მცირედ დავიდუმოთ და ვთქვათ, რაჲ იგი ქმნა უღმრთოჲმან ქალაქსა მას შინა ელიდოს ქალაქ პეტრემან, ძემან ურჩულოჲსა მის ავრილიანესმან. ამან ურჩულომან ელიდოს, შემდგომად წარსლვისა ჩვენისა, იწყო ყოვლისავე ბოროტისა საქმედ და აღჰმართა სახლსა თჳსსა კერპი და ხადოდა სახელსა ბოროტისა მის ეშმაკისა სკამანდაროჲსა და ჰბრძოდა ქრისტეანეთა და დღითი ღლე უზორვიდა კერპსა მას.

მრავალსა უკუე ეტყოდა და შეჰრჩულვიდა მას ნეტარი იგი, არამედ ბოროტი გონებაჲ მისი მოუდრეკელ იყო. ხოლო პირველი განსლვისა ჩვენისა ქალაქით, ორნი დანი ქალწულნი, რომელთა ნათელ ელო სიმრავლესა მას თანა ერისასა, რომელთა მშობელნი მომკუდარ იყვნეს, მოუკდეს წმიდასა ბაგრატს, შეუვრდეს მას და ეტყოდეს: გვევდრებით, ღმერთ შემოსილო მამაო, შეგვწყალონ ობოლნი ესე. ჰრქუა მათ წმიდამან: თქუთ, ასულნო, რაჲ არს სათხოელი თქუენი. მიუგეს ქალწულთა მათ და ჰრქუეს: ჩვენ, წმიდაო ღვთისაო, ობოლნი ვართ და მრავალთა წარჩინებულთა ამის ქალაქისათა გუაიძულეს ქორწინებაჲ და ჩვენ არა ვინებეთ უფროჲს, ხოლო აწ ვინაჲთგან ღირს ვიქმნენით წმიდასა ნათლისღებასა, ამისთჳს შეგივრდებით, მონაო ღვთისაო, რათა ღირს მყენე ჩვენ მოწაფე ყოფად და მსახურებად ეკლესიისა დედა დიაკონსა ხრკსეს თანა.

მსე რაჲ ესმა წმიდასა მას, აღიხ-ლნა თუალნი ზეცად და თქვა: გმადლობ შენ, უფალო, რომელი მოსცემ მეცნიერებასა მადლისა შენისასა და გადიდებ შენ, რომელი მოუწოდ ყოველთა მამურალთა და ტვრთ მძიმეთა ტვრთვად სუბუქისა მის უღლისა შენისა. და მოიქცა ქალწულთა მათ მიმართ და ჰრქვა: ჰეშმარიტად, შეიღნო, კეთილი ნაწილი გამოგიჩევიეს და კეთილსა საუნჯესა ეძიებთ. და მეყსეულად მოუწოდა დედა დიაკონსა ვენედიკტას და ჰრქვა: უფალომან ჩვენმან იესჳ ქრისტემან მოყვასნი მოგცნა შენ, მიიყვანენ ესენი შენთანა მკვდრად. და აკუროთხა უხუცესი იგი დე-

და დიაკონად, ხოლო უმრწემესი—მოწესედ და ბრძანა სენაკისა აღ-
შენებად მახლობელად ეკლესიისა, რათა ეამსა გალობისასა მღვო-
მარე იყვნენ.

ხოლო შემდგომად წარსთვისა ჩვენისა, უღმრთოჲ იგი გლი-
დოს იწყო ტრფილებითა საეშმაკოთა უმრწემსისა მის ქალწუ-
ლისა მიმართ და მოუწოდა უხუცესსა მას და ჰრქვა: უწყია, დე-
დაკაცო, რაჲსათჳს გიწოდე შენ, ტრფიალ ვარ დისა შენისა ფრი-
ად, აჲ უკუეთუ არწმუნო მას აღსრულებად ნებისა ჩემისა, ვფუ-
ცავ ღმერთსა სკამანდროს, მრავალი კეთილი გიყო შენ. ხოლო
წმიდამან მან ქალწულმან ყოველი სასოებაჲ თჳსი ღვთისა მიმართ
დადვა და ჰრქვა: ისმინე ჩემი, ქალაქ პეტო, ჩვენ ქრისტე გვსწა-
ვიეს და არა სკამანდრო, ხოლო საქმისა მაგისტჳს უფალსა ჩვენსა
წმიდასა ბაგრატს ვაუწყოთ და, ვითარცა ბრძანოს, ვგრეთცა ვყოთ.

მიუგო გლიდოს და ჰრქვა მას: უკუეთუ ბაგრატს აუწყო, არა
შემინდოს ამის საქმისა აღსრულებად, არამედ ნუ სცნობნ იგი სა-
იდუმლოსა ამას, ვიდრემდის ქორწილი ექმნათ, რამეთუ მეცა მე-
გულების ქრისტიანე ყოფად უფროჲსა, უკუეთუ ვიქორწინო დაჲ
იგი შენი.

ჰრქვა მას ქალწულმან მან: მე უფალ გონებისა მისისა არა
ვარ, მას აქვს კელმწიფებაჲ თავისა თჳსისაჲ და უფროჲსად, რამე-
თუ წმიდა ბაგრატს მიუცემია იგი ვენედიკტა დედა დიაკონისადა,
რათა ასწავებდეს მას.

მიუგო გლიდოს და ჰრქვა მას: ვითარცა გარქვ, წარვედ და
ცხოვრებაჲ შენი და ჰისი იზრუნე, თუ არა, ვფუცავ ღმერთსა სკა-
მანდროს, გენებოს თუ ანუ არა, ნებაჲ ჩემი აღსრულებად არს.
ხოლო ქალწული იგი წმიდა გამოვიდა მიერ და მოვიდა ვენედიკ-
ტა დედა დიაკონისა და პოვა მუნ დაჲ თჳსი და ცრემლით მიუ-
თხრა ესე ყოველი. წარვიდა დედა დიაკონი ვენედიკტა და აუწყა
ესე დიდსა ბაგრატს.

ხოლო მან მოუწოდა ქალწულთა მათ და იწყო სწავლად მათ-
და: შეიღნო ჩემნო, სამწყსონო სარწმუნონო, ქრისტეს ღვთისანო,
ასულნო სიონისანო, ნუ გეშინინ, რამეთუ ქრისტეს თჳს გსურის,
ჯერ არს ბაძვაჲ ვნებათა მისთა, ნუმცა რაჲ უკუე განგვაშორებს
სიყვარულსა მისსა, ნუცა ქირი, ნუცა იწროებაჲ, ნუცა სატანჯვე-
ლნი, ნუცა თუ სიკუდილი, არამედ ისწრაფეთ სანთელსა მას ქალ-
წულებისასა თქვენ უშრეტელად დამარხვად, რათა ღირს იქმნეთ

სასძლოსა ზეცისასა, რომელი განუმზადებდეს ქრისტეს მოყვარეთა მისთადა. მხნე იყვნით, რათა განხრწნადნი ესე კორცნი დაუტევნეთ და უზრწნელსა ღიდეზასა ღვთისასა ღირს იქმნეთ.

მიუგეს ქალწულთა მათ და ჰრქვეს: ჩვენ, წმიდაო მამაო, ქრისტესა შევედრებულ ვართ და მოძღურებასა შენსა შეუდგთ და, ვიდრე სიკვდილადმდე მზა ვართ ქრისტეს თვს მოღუაწებად. ხოლო წმიდამან ბაგრატ ულოცა და წარავლინნა სენაკად თვსა და ევედრებოდეს ღმერთსა განქარვებად ზრახვათა მათ ელიდოჲსთა.

ხოლო ურჩულომან მან ყო პური ღიდი და მოუწოდა რომელნიცა იყვნეს კერპთ მსახურ და ჰურიანიცა მრავალნი მოიყვანნა და მათთანა მუნტანელნი, გრძნებისა მოძღუარნი და, მრავლისა განცხრომისა და სუმისა შემდგომად, იწყო თხრობად მათდა ბოროტმან ელიდოს: უფალნო ჩემნო, ისმინეთ და ძმანო ჩემნო, ქალი შუენიერი დამეწინდა ქორწინებად და აწ ქრისტეანეთა მიიტაცეს იგი ჩემგან. აწ უკუე მნებაეს რათა ერჩდეს თუ ნებასა ჩემსა კეთილ, უკეთუ კულა ურჩ მექმნას, ვფუცავ ღმერთსა სკამანდროს, სიკუდილითა მოვაკუდინო. მიუგო კრებულმან მან ურჩულომან და ჰრქვა: კეთილ არს სიტყვაჲ შენი, ღიდა ქალაქ პეტო. მაშინ ბოროტთა მათ მონტანელთა მოიდეს შორის წიგნი ხატრფიალოჲ და ტრფიალებისა ეშმაკთა ხადოდეს და, აღდგეს რაჲ ტაბლისა მისგან საეშმაკოჲსა, წარიყვანეს იგი თვსაგან და ეშმაკნი იგი ტრფიალებისანი მიუვლინნეს ქალწულსა მას, არამედ სიტყვამან და ძაღმან ღვთისამან ყოვლადვე არა შეუნდო სულთა მათ ბოროტთა მიახლებად მისსა, რამეთუ ანგელოზი უფლისა მოვლინებულ იყო შემწედ მისა, რომელმანცა მახვლითა ცეცხლისათა ეშმაკნი იგი იოტნა.

მიიქცეს იგინი ელიდოჲსსა და ჰრქვეს, რაჲსათვს წარგუაელინენ ესე ვითარსა მას გზასა ძნელსა, ქალაქ პეტო, რამეთუ ყოვლადვე ვერ უძლეთ მიახლებად სენაკსა მას, არამედ ლტოლვლნი მოვედით, ვითარცა სხვანი იგი მოყვასნი ჩვენნი ფალკონ და ღვსონ და სხვანი იგი. აწ უკუე ყავ, ვითარცა გნებაეს.

ხოლო წმიდამან ბაგრატ ცნა სულითა, რამეთუ ბოროტსა მას ელიდოსს არმური ეგულების აღდგინებად და შფოთი ქრისტეანეთა ზედა, მოუწოდა ქსანთიპოსს და ეტჳფანეს და ღამე ყოველ ცრემლით ევედრებოდა ღმერთსა, რათა შემწე ეყოს სამწყსოსა თვსსა და, შუადამეს ოდენ ილოცვიდეს რაჲ, კმ აიყო მათდა მიმართ ზე-

კით: მენე იყავ, ბაგრატ, რამეთუ მე თქვენ თანა ვარ. ესე რაჲ
ესმა მას, მადლი და დიდება მისცეს უფალს, რომელმან ისმინის
ვედრებაჲ მოშიშთა მისთაჲ და თხოვანი მათნი აღასრულნის.

ხოლო განთიად ქსანთიპოს ფილოსოფოსი აკურთხა დიაკო-
ნად, რომლისადა წოდებულ იყო ონისიფორე წმიდისა ემბაზისაგან.
მაშინ უღმრთოჲან ელიდოს კრება ყო: კრებული მეკერპეთა და
ჰურიჲა და მონტანელთაჲ და ზრახვა ყო მათ თანა და თქვა: ისმი-
ნეთ ჩემი, მეგობარნო ჩემნო, ქალაქსა ამას მრავალ წელ ქალაქ
პეტ იყო მამა ჩემი ავრილიანე და ოდეს იგი ღმერთთა ჩვენთა მი-
უწოდეს მას, კუალად ესერა პატივი ესე მამული ჩემდა მოვიდა.
ხოლო მოგვ ესე და გრძნების მოყვარს და მოძლუარი ბაგრატ, არაჲ
უწყი, ვინაჲ მოვიდა და მთავარი ჩვენი აცთუნა და თვისისა სიბო-
როტისა მახეთა შეაგდო და აწ ჩემდა მბრძოლ არს და წინააღმდ-
გომ, ვიდრელა ესეცა მწუხარებაჲ მოაწია ჩემ ზედა, რამეთუ ქალ-
წული შუენიერი შეეიყვარე და მენება მისი ქორწინებაჲ, გარნა
იგიცა თვსითა გრძნებითა მიმილო და თვსსა რჩულსა მიაქცია.

მაშინ კრებულჲან მან ურჩულოებისამან მიუგო და რქვა მას:
უფალო ჩვენო და დიდო ქალაქ პეტო, მოვედინ აწ წინაშე ჩვენ-
სა ქალი იგი და ვყოთ ქორწილი და აღესრულენ ნება გულისა
შენისაჲ. უკუეთუ კულა არა გუერჩდეს იგი, აღიფხუარ ქვეყანი-
საგან ცხოვრება მისი, უფროსლა რომელ ქრისტეანე იქმნა.

სთნდა უკუე სიტყვაჲ იგი ურჩულოსა მას და წარავლინნა
მასვე ეამსა მტარვალნი და შეიპყრეს წმიდა იგი დედა დიაკონი და
დაჲ მისი სერგია, შეკრნეს და ცემით მიიყვანნეს წინაშე სამშჯაფ-
როსსა და წარუდგინნეს საეშმაკოსა მას კრებულსა.

მსე რაჲ ცნეს ვიეთმე მას კერძოსა მყოფთა ქრისტეანეთა,
სრბით მივიდეს და ნეტარსა ბაგრატს აუწყეს. მიუგო წმინდამან მან
და ჰრქვა მათ, დაადგერიტ, შეილნო, აქა და უფალსა ვევედრებო-
დით და ურჩულოჲ იგი იქმოდის, ვითარცა ჰნებაეს, რამეთუ ქალ-
წულთაჲ მათ ვერ ძალ უც ნებასა თვსსა შეგდებად.

ხოლო წმიდანი იგი დედანი მიმავალნი ილოცვიდეს და იტ-
ყოდეს: უფალო იესუ ქრისტე, შენ აღვრ ასხენ ბოროტსა მას ელი-
დოჲს ზრახვასა, რომელი ჩვენთვს იზრახა, რათა იდიდოს ყოვლად
წმიდა სახელი შენი და, მირაჲ იწინეს ურჩულოჲსა მის კრებული-
სა, განჰკნნეს იგინი საკერელთაგან მტარვალთა და წარუდგინნეს
წინაშე ელიდოჲსსა და მისთანა მენიანეთა,

იხილეს რაჲ ბოროტთა მათ სიკეთს ქალწულისაჲ მის, ჰრქუეს ელიდოსს: ღირსად და სამართლად გიზრუნია, ბრწყინვალეო ქალაქ პეტო, განგებამან ღმერთთამან ქალი მსგავსი სიკეთისა შენისაჲ.

მაშინ უკეთურმან მან მიხედნა ქალწულთა მათ თუალითა ამ-პარტავანითა და ჰრქვა: უწყითა, რამეთუ საიდუმლოჲ გულისა ჩემისაჲ გითხარ თქუენ და აწ წინაშე ამათ ყოველთასა გეტყვ შენ, ქალო, რათა ყოველი გულის ზრახვაჲ შენი განავდო და ნებასა გულისა ჩემისასა მერჩდე, წინაშე ამათ წოდებულთასა ვყო ქორწილი და სიხარული და შეგირთო შენ ღღესითგან. ხოლო მნებაჲს პირველად, რათა უვარჰყო ქრისტე და სკამანდროს გუნდრუკი უკუმიო და მერმე კეთილთა ჩემთა ზიარ გყო.

მიუგო წმიდამან ქალწულმან და ჰრქვა მას: ჯ სავესო ზრახვითა ბოროტითა, ნუ იყოფინ ჩემდა უკუნისამდე, რათამცა გერჩდი შენ, არცა აღესრულოს ნება შენი ჩემ ზედა, რამეთუ არათუ ოდენ ზრწნილებასა კორცთასა, არამედ უვარის ყოფასაცა ქრისტესა მაზრახვებ ურჩულოო. კურთხეულ არს უფალი ღმერთი, რომელმან ქმნა ცანი და ქვეყანაჲ, ზღვაჲ და ყოველი, რაჲ არს მას შინა, არა დაუტევო სარწმუნოება, რომელი ვისწავე და ნათელვიდე, რამეთუ იგი არს ქეშმარიტი და წმიდაჲ, არამედ სიკუდილად დაედვა სული ჩემი. ჰრქვეს მას ურჩულოთა მათ მეინაკეთა: და სადა ძალ გიც შენ, უბადრუკო, სატანჯველთა თავსდებად.

მიუგო ქალწულმან: მაქუს ქრისტეს მიერ უფლისა ძალი და არა სადა ვიძლიო თქვენგან, არამედ სასოებითა მისითა მძლე გე-ქმნა და ქალწულებისა ჩემისა სანთელი დაუშრეტელად დავიცვა.

მიუგო ურჩულომან ელიდოსს და ჰრქვა მას: უკუეთუ სიტყვათა ჩემთაჲ ისმინო და ნებაჲ ჩემი აღასრულო, ნეტარ იყო შენ, რამეთუ იხილნე თუ ოდენ საუნჯენი იგი ჩემნი, სიხარულითა აღივსოს გული შენი.

ჰრქვა მას წმიდამან: სიმდიდრს შენი და საუნჯენი შენთანავე იყვნედ წარსაწყმედელად, რამეთუ მე საუნჯეს წარუპარველი მაქვს ცათა შინა და სიმდიდრს წარმავალი არა მიკმს, არცა მნებაჲს შენთანა ყოფაჲ, რამეთუ უფალი ჩემი იესჲ ქრისტე არს სიმდიდრე და ცხოვრებაჲ ჩემი.

ჰრქვეს თანა მეინაკეთა ელიდოსს: განაშორენ ეგენი ერთი ერთისაგან და მათ განყვნეს რაჲ იგინი, მოუწოდა ღედა დიაკონსა მას და ჰრქვა ურჩულომან მან: ისმინე ჩემი, ღედაკაცო, და შეი-

წყალე თავი შენი და დაჲ ეგე შენი და დაარწმუნე მას მორჩილებად ჩემი. ჰრქვა მას წმიდამან მან, დრო მეც თვსაგან სიტყვად მისდა და ბრძანა ესრეთ ყოფად.

მაშინ წარიყვანა თვსაგან დაჲ თვსი, იწყო ტირილად და ეტყოდა: ვილუაწოთ, დოო ჩემო, ვილუაწოთ, რათა მეუფე ქრისტე ვიხილოთ და კეთილთა მისთა მკვდრ ვიქმნეთ. ჰხედავა, რამეთუ ვითარცა აჩრდილი და სიზმარი ესრეთ წარმავალ არს ცხოვრებაჲ ესე კაცობრივი. უწყი, რამეთუ მამად ჩვენი ყოვლადვე არა გიხილავს შენ, ხოლო დედამან ჩვენმან დაგიტევა შენ ოთხისა წლისაჲ და მე ათორმეტისაჲ და მრავალთა გუაიძულეს ქორწინებად სიობლესა ჩვენსა და არა ვინებეთ ხრწნილებასა მიცემად თავთა ჩვენთაჲ. აწ უკუე რომელ იგი წარმართ რად ვიყვნით, არა თავს ვიდევით, ვითარ აწ ვქმნათ, ოდეს ესე უფალი ჩვენი იესუ ქრისტე შეგვმოსიეს. ნუ, დოო ჩემო, ნუმცა იქმნების ესე, არამედ ვიღუაწოთ წარმავალსა ამას ცხოვრებასა უბიწოდ დამარხვად თავთა ჩვენთა, რათა საუკუნოდ დაუსრულებელთა მათ კეთილთა ვიშუებდეთ. აჰა ესერა გეტყვ შენ, დოო ჩემო, ვითარმედ ბოროტთა ამათ ეშმაკისა მუშაკთა მე მომაკუდინონ და შენ დაგმარხონ ნებისა მათისა ყოფად, იხილე, ნუმცა გაცთუნებენ, არამედ გეკსენენ სიტყვანი წმიდისა ბაგრატისანი და აღსასრულამდე ილუაწე სიყვარულისათვს ქრისტესისა.

მსმა რად ესე ყოველი ქალწულსა მას დისა თვსისაგან, სულთ იოტუნა და თქვა: მრწამს უფალი ჩემი იესუ ქრისტე, ჰეშმარიტი ღმერთი, ვითარმედ არცა ტანჯვითა, არცა ქენებითა უძლონ უღმრთოთა ამათ მოდრეკად გონებისა ჩემისა სიყვარულისაგან მისისა, რამეთუ იგი არს სიძლ იგი უკუდავი, უფალი ყოველთა.

მსე ყოველი განიზრახეს რად ტრედთა მათ უმანკოთა ქრისტესთა, მივიდეს კრებულისა მის ჟრჩულოჲსა და ჰრქვა ელიდოსს წმიდამან მან დედა დიაკონმან: უწყოდე, ქალაქ პეტო, მრავლითა სახითა ვისწრაფე და ვერ დავარწმუნე დაჲ ჩემი დატევებად ქრისტესა და შენდა შედგომად, აწ უკუე ყავ, რადცა გნებავს. ესერად ესმა ელიდოსს, ჰრქვა მერინაკეთა მათ: ამან ბოროტმან უყო დასა თვსსა არა სმენად ჩემდა. მიუგეს მათ და ჰრქუეს: გუემე ეგე ძლიერად, რათა იხილოს მან და ძრწოლად შეედვას და სიხარულით გუერჩდეს.

მაშინ განძარცუეს დედა დიაკონი იგი და ჰგუემდეს უწყა-

ლოდ, ხოლო სისხლი მისი მდინარებზე დიოდა და კმაჲ ყოვლადვე არა ისმოდა პირისაგან მისისა. ხოლო მრწემი იგი დაჲ ხედვიდა მოთმინებასა მისსა და სულითა იხარებდა. და ვითარ იგი უზომოდ და უწყალოდ გუემეს, ბრძანა წარყვანებაჲ მისი ქუაბსა რასმე მახლობელად მის ადგილისა და წარკუეთად თავისა. მაშინ მტარვალთა წარიტორიეს იგი ქუაბსა მას და თავი წარჰკუეთეს მას. ხოლო მრწემი იგი დაჲ შეაყენეს საპყრობილესა და აღდგეს ყოველნივე, თაყვანის სცეს კერპთა მათ ბილწთა და დასხდეს ქამად, რამეთუ ელიდოსს ურჩულოსა განემზადა ტაბლაჲ.

და აღასრულოს რაჲ კრება იგი სიბილწისაჲ და სერი საეშმაკოჲ და აღივსნეს მთრვალობითა და სიტყვთა ყოვლისა სიბორჯილისაჲთა, აღდგეს და ბრძანა ელიდოს მოყვანებაჲ ქალწულისა მის წმიდისაჲ. მივიდეს მტარვალნი და პოეს იგი კელ განპყრობით ლოცვასა, გამოიყვანეს და წარადგინეს იგი წინაშე ერისა მის და ჰრქვა მას უღმრთომან ელიდოს: ისმინე ჩემი, ქალო, და უზორე დიდსა ღმერთსა სკამანდროს და ცოლ მეყავ მე. უკუეთუ კულა არა ისმინო ჩემი, გზასა მას დისა შენისასა წარხვდე.

მიუგო ქალწულმან მან და ჰრქვა მას: ისმინე ელიდოს ბილწო და მატურო, მე მრწამს ქრისტეს ღმერთი, რომელი წმიდამან ბაგრატ გვქადაგა, მას ვჰმონებ და მისდა თხოილ ვარ და მისთვის მზა ვარ სიკუდილად, ხოლო კერპთა შენთა არა ვჰმონო უკუენისამდე, არცა ურჩოლოჲ ეგე ნება შენი აღვასრულო, არცა ქადებათა შენთაგან მეშინის, უკეთურო.

რამეთუ გვსწავიეს უფლისა იესუ ქრისტესაგან არა შეშინებად მათგან, რომელნი კორცთა მოაკუდინებენ და სულისა ვერ კელეწიფების ვნებად, არამედ მისა ჯერ არს შიში, რომელსა კელეწიფების სულისა და კორცთა წარწყმედაჲ გეჰენისა შინა, მას თაყვანის ვსცემ და მას მხოლოსა ვჰმონებ.

მსმა რაჲ ესე ურჩულოსა მას, განძნდა, ვითარცა მკეცი ბოროტი, და უბრძანა გუემაჲ მისი და ესოდენ სცეს, ვიდრელა მკუდრად საგონებელ იყო და ესრეთ ბრძანა წარკუეთაჲ თავისა მისისაჲ. და წარიტორიეს იგი ქუაბსა მას, სადა იგი დაჲ მისი მოკლეს და მუნ წარჰკუეთეს ნეტარსა მას თავი. და აღიდებდა იგი მამასა და ძესა და წმიდასა სულსა. ხოლო წმიდამან ბაგრატ შეკრიბნა მორწმუნენი და წარვიდა ქუაბსა მას ლუაწლისა მათისასა და აღი-

ხუნა გუამნი მათნი და გალობითა და სანთლებითა დაჰმარხნა აღგილსა მას, რომელსა ჰრქვან ვარადღეს ზღუდე.

ხოლო უფალმან იესუ ქრისტე, რომელმან აღიღნის მადიდებელნი თჳსნი, მოსცა მადლი სამარხოთა მას წმიდათასა და მრავალნი სასწაულნი და კურნებანი იქმნებოდეს წმიდათა მათ მოწამეთა მიერ.

მაშინ შეკრიბნა ერნი ქრისტიანეთანი წმიდამან ბაგრატ ეკლესიად და აღასრულა წმიდაჲ ჟამის წირვაჲ. და განისმა საქმეც ესე ყოველთა შორის ქრისტიანეთა და შეკრბეს ყოველნი და ზრახვა ყვეს, რათა ქვაჲ დაჰკრიბონ ელიდოსს და თანა მზრახვალთა მისთა ბოროტთა. ხოლო წმიდამან ბაგრატ დააყენნა იგინი და არა შეუნდო ბრძოლისა და სისხლთა დათხევისა ყოფად ქალაქსა მას შინა.

მსმა რაჲ ესე ჰურიათა მათ და მონტანელთა, შიში დაეცა მათ და მოელოდეს აღძრვასა ქრისტიანეთასა მათ ზედა. და მოსრვად მათდა შეკრბეს ყოველნი და აღაგეს ნავები მათი, წარიდეს ყოველი ნაქონები მათი და წარემართნეს სვრაკუსით კერიძო. ცნა ესე წმიდამან ბაგრატ, მოუვლინა მათ ქსანთიპოს ფილაფოსი და მიუმცნო ესრეთ:

ნუ ივლტით, კაცნო, სახლთაგან თქუენთა, ნუცა გეშინის, რამეთუ არა ვარ მე მიმგებელ ბოროტისა, მოედით ჩემდა და მოიქეცით საცთურისა მის თქვენისაგან და ბოროტი არა რაჲ შეგემთხვოს. ხოლო იგინი სიტყვასა ამას არა ერჩდეს და სამგზის მოევლინა მათ მთავარ დიაკონი იგი და არა მოიქცეს, არამედ ერთი ოდენ მათგანი, რომელსაცა იგი წიგნი გრძნებისა აქუნდა, დაუტევა ყოველივე და მოვიდა წმიდისა ბაგრატისსა და ქრისტიანე იქმნა. ხოლო სხვანი იგი მონტანელნი და ჰურიანი არა მოიქცეს, არამედ წარემართნეს სვრაკუსედ და, შერაჲ ვიდეს ზღუად, გრიგალი დიდი ქარისა მძაფრისაჲ მოკდა და ყოველივე იგი დაანთქნა, ვითარცა პირველ მეგვბტელნი, რამეთუ წმიდამან ბაგრატ შეჰრისხნა მათ და ერთიცა მათგანი არა განერა.

იხილა რაჲ ესე ელიდოს ურჩულომან, ძრწოლომან შეიპყრა და იტყოდა: ვითარმედ ამას მოგუსა, რომელმან ერი იგი წარწყმიდა, ძალუც აქაცა აღმოყუანებაჲ ზღვსაჲ და წარწყმედაჲ ჩვენი; და შიში დიდი იყო მის ზედა, რამეთუ ჰგონებდა, თუ მოკლან იგი ერთა მათ მორწმუნეთა და იტყოდა გოდებით: ჰ ქალაქო ტავრომენელთაო, ვითარ განჰშიშულდი წესთა მათგან მამულთა.

მსმა ესე წმიდასა ბაგრატს და მიუმცნო მის, რად იგლოვ ქალაქისა ამისთვს, რომელი ბნელსა შინა იყო და აწ უფალმან განანათლა. უკუეთუ გნებავს, შენცა განგანათლოს, უბადრუკო. ხოლო მან არა ისმინა სიტყვა მისი.

და მიერ დლითგან არღარა მიუმცნო ნეტარმან მან, არამედ შეკრიბნა მორწმუნენი და უბრძანა აღშენებად ეკლესიისა სამარხოსა ზედა წმიდათა მათ ქალწულთა მოწამეთასა და, ვითარცა გამოსახა ადგილი იგი, მესყეულად კელყვეს ყოველთა და დიდთა მოსწრაფებითა აღაშენეს. და აკურთხა იგი წმიდამან მან და დააწესა ქალწულთა მათ, რომელნი ჰმონებდეს უფალსა, მუნ ყოფად და მსახურებად წმიდათა მათ.

ხოლო მოიწია ეამი მოსლვისაჲ ვონიფანტე მთავრისაჲ და მისთანა მკედრებისა. პირველ რავდენისამე დღისა აუწყა ესე წმიდამან ბაგრატ ქრისტეანეთა და ჰრქუა: გიხაროდენ, შვილნო, რამეთუ მთავარი ვონიფანტე და ერი მისი მოვლენ მშვიდობით აქაჲთ ორდღე. და ყოველთა უკვრდა, ვითარ შორიელნი საქმენი ვითარცა წინაშე თულთა მისთა მყოფნი ესრეთ იცოდნა წმიდამან მან.

რამეთუ შემდგომად ორისა დღისა, ვითარცა თქუა, გამოჩნდეს მომავალნი იგი ნაენი და იხილეს რაჲ ერმან ქალაქისამინ, შთავიდეშ ზღუად მიგებებად მთავრისა. შთავიდა ნეტარიცა იგი და ხელთა აქუნდა ჯვარი ქრისტესი და მოვიწიენით რა კიდედ, გამოვიდა ვონიფანტე მთავარი და მე და სხვანი იგი ათასის თავნი და შეეუზრდით ფერკთა მისთა და გვაკურთხნა ყოველნი. ხოლო მთავარსა შეასხა ქებაჲ ერმან წესისაებრ. მოვიდა ელიდოსცა, ქალაქთა პეტი, და თაყვანის სცა მთავარსა. ხოლო მან უბრძანა ნუზლისა მიცემაჲ ერისაჲ მის პური და ღვინოჲ და საცხოვარი, რამეთუ ტყუპ ურიცხვ იყო. და გამოვიდა ერი იგი ქვეყანად და ნაფებსა მის დაჰკრძალეს და ნატყუენავსა შეჰკრებდეს.

ხოლო წმიდა ბაგრატ და მთავარი და სხვანი ათასის თავნი იგი საკედრებითა აღვიდეს ქალაქად, შევიდეს წმიდასა ეკლესიასა, ილოცეს და დასხდეს და ისმენდეს სიტყვათა მის ნეტარისათა.

მიუგო მთავარმან და ჰრქუა მას: მიბრძანე, წმიდაო მამაო, ვითარ არს ქალაქი ესე ანუ ვითარ იქცევის ახალი ესე ქალაქ პეტი.

მაშინ წმიდა იგი აღვისოა ცრემლითა და მიუთხრა საქმს იგი წმიდათა მათ ქალწულთა და ურჩულოებანი ელიდოსისნი და შემწეთა მისთანი და ვითარ ჰურიანი იგი და მონტანელნი ზღუასა

დაანთქნა უფალმან და ვითარ არა ისმინა ელიდოს სწავლაჲ მისი, არამედ აღჰმართნა კერპნი იგი ბოროტნი.

შიუგო მთავარმან და ჰრქვა მას: ვითარცა იგი აქამომდე უფალმან ლოცვითა შენითა უმჯობესი ქმნა, ეგრეთვე ამიერითგან ყოს. აწ უკუე ნუ უღირს იჩინებ განთიად მოსლვად და კურთხევისა მიცემად ერისა, რათა წარვიდენ კაცად კაცადი სახედ თვსად და ყოველივე უფალმან კეთილად განაგოს და ბოროტი იგი ბოროტად წარწყმდეს.

ჲა მეყსეულად უკუე ბრძანა მთავარმან ურჩულოჲსა მის ელიდოჲსი დილეგსა შეყენებაჲ და განთიად მოჰდა მთავარი და მის თანა ათასის თაენი და მიიღეს ლოცვაჲ წმიდისაჲ მის და თანა წარიყვანეს იგი და აღვედით, სადა იგი მკედრობასა მას დაებანაკა და, მირაჲ ვიწიენით, შევიდა ნეტარი იგი კარვად მთავრისა, ხოლო მე და ძმამან ონისიფორე განვჰმზადეთ აღგილი, სადა ეგულეობდა წმიდისა ჟამის წირვისა აღსრულებაჲ და წარდგა ნეტარი იგი და უსისხლოსა მსხუერპლსა შესწირვიდა და მეყსეულად სასწაული იგი, რომელი მრავალ გზის იქმნა, აღესრულებოდა, რათა ურწმუნოთა მათ ტყუეთა იხილონ და ჰრწმენეს უფალი, რამეთუ ღრუბელი იგი ნათლისაჲ ჰფარვიდა წმიდასა მას და ენაჲ იგი ცეცხლისაჲ პირით მისით იხილვებოდა ვიდრე აღმაღლებამდე პურისა მის წმიდისა, რომელსაჲსა ხედვიდეს ერნი იგი ტყუედ მოყვანებულნი და განკვრევებულნი ურთიერთას იტყოდეს: ეჰა რომელთამე ღმერთთა ჰმონებენ ესენი, რომელ ესე ვითარნი საკვრველებანი აღესრულებიან.

ჲა აღესრულა რაჲ წმიდაჲ ჟამის წირვაჲ და მორწმუნენი ეზიარნეს კორცსა და სისხლსა ქრისტესსა და წარვედით კარვად ვონიფანტე მთავრისასა და, ვითარცა დაჰდა ნეტარი იგი და მისთანა მთავარი, ხოლო გვბრძანა ჩუენ დაჰდომაჲ მე ერთ კერძო და ნეტარი ონისიფორე დიაკონი ერთ კერძო. ხოლო ნეტარად სახელესდევ მას, რამეთუ მრავალნი საკვრველებანი მის მიერ ქმნნა მადლმან სულისა წმიდისამან, რომელ იგი უკეთუ ვინებო ყოვლად აღწერად თითოეულად, წიგნი სხვა სრული აღიწეროს, გარნა ესე აწ დავიდუმოთ.

ვითარ უკუე დავსხედით, ტაბლაჲ საესს სანოაგითა დაგვგო მთავარმან, ხოლო ნეტარი იგი პურსა ოდენ და წყალსა და მხალსა უმგბარსა ჰამდა.

ჭკითხა უკუე ნეტარმან მან მთავარსა და ჰრქვა: მითხარ, შეი-
ლო, რომლისა ნათესავეისანი არიან კაცი ესე ტყუედ მოყვანე-
ბულნი?

მიუგო მთავარმან და ჰრქუა: ყოველნი ჯგე, წმიდაო მამაო,
ნათესავეთაგან ავართაჲსა არიან, წარმართნი ბოროტნი, მკვდრნი
შინაგან კერძოთა დორაკისათა.

ჰრქუა მას წმიდამან ბაგრატ: ვაუწყოთ, შეილო ჩემო, მათცა
სიტყვაჲ ესე სახარებისაჲ, უკეთუ შეიწყნარონ მადლითა უფლი-
სათა.

სთნდა სიტყუა ესე მთავარსაცა და უბრძანა ყოველთა ათასის
თავთა და სპაჲ პეტთა მოყვანებად კაცად კაცადსა ჰყრობილნი იგი
და მეყსეულად შემოკრბეს ერი მრავალი.

მაშინ მთავარმან ჰრქვა მათ პირითა თარგმნისაჲთა, ჩვენ ყო-
ველნი ქრისტიანენი ვართ, აწ უკუეთუ თქვენცა გნებავს სწავლად
ენასა ჩვენსა, ჰრომაელებრ და ბერძნულებრ, და ქრისტიანე ყო-
ფად, აზნაურებით იყოფებოდით ჩუენ თანა.

მიუგეს ტყუეთა მათ და ჰრქუეს: უფალო ჩუენო, არაოდეს
გზილავს ესე ვითარი, ვითარ იგი ვიხილეთ ბრძოლასა მას შინა
და აწ ესერა დღესაცა ვხედავთ, რამეთუ ჩვენ ქვეყანასა ჩუენსა
ღვთად ვხადით მსგავსებასა ოთხ ფერკთასა და ქუე წარმავალთასა
და ცეცხლსა და წყალსა და მახვლთა ჩუენთა თაყვანის ვსცემთ და
უზორავთ, ხოლო დღესა მას წყობისასა ვხედვედით საჭურველსა
თქვენსა და მახვილთა თქუენთა, ვითარცა ნათელსა ბრწყინვალესა
კელთა შინა თქუენთა და ამას ზედა განვცვბრდით საკრველებითა.
ესრეთ უკუე ვჰგონებდით, თუ ღმერთნი თქუენნი არიან, რომელ
იგი ბრწყინვენ, მაშინ წარვაელინეთ ტაძრებსა ღმერთთა ჩუენთასა
და მოვიყვანენით იგინი და აღვჰმართენით პირის პირ თქუენსა,
არამედ მეყსეულად ცეცხლისა მისგან, რომელი წინაშე თქვენსა
ვიდოდა, ვითარცა ცვლნი დადნეს ღმერთნი იგი ჩუენნი.

და აწ ესერა კაცისა მაგისგან, რომელი მსგავს ღვთისა არს,
ცეცხლსა ვხედავთ გამომავალსა პირისა მისისაგან. ამას იტყოდეს
წმიდისა ბაგრატის თჳს. ესერაჲ ესმა ყოველივე ნეტარსა ბაგრატს,
იწყო სიტყვად მათდა და სწავლად ქადაგებასა წმიდისა სახარები-
სასა და, იხილნა რაჲ, ვითარმედ გულისმოდგინედ შეიწყნარეს და
სურვილ იყვნეს ნათლისღებად, ჰრქუა მთავარსა: შეილო, ადრე
ნათელ ვსცეთ მათ, ნუ უკუე წარიტაცოს ვინმე მათგანი სიკვდილ-

მან და იძიოს სული მისი ჩვენგან უფალმან დღესა მას განკითხვისასა.

შიუგო მთავარმან და ჰრქუა მას ცრემლით: ამათ თვს ვითარცა ჰბრძანო, წმიდაო მამაო, ეგრეთ იყავნ. ხოლო გვედრები რა-
ხსათვს მე არა მომცემ მეორედ შობასა მას წყლისა მიერ და სუ-
ლისა, ნუ სადა მეწიოს მე სიკვდილი, ანუ წყობასა შინა ბრძოლა-
თასა, გინა თუ სხვაჲ სადამე და წარწყმდეს სული ჩემი.

ჰრქუა მას ნეტარმან ბაგრატ: შენდობა იყავნ შენდა, შვილო, ამისთვის, რამეთუ არღა მოწევნულ არს ჟამი პატივისა შენისაჲ. ხოლო ძალუც უფალსა წელთა ცხოვრებისა ჩვენისათა შეძინებად-
ცა და მოკლებადცა, რომელმანცა მადლითა თვსითა შესძინოს ჟამთა შენთა ოდენ; ნუმცა ამაღლდების გული შენი. აწ უკუე ამათ წარმართთა ნათელ ვსცეთ და შენ თვს ნუ გამოეძიებ.

შიუგო მთავარმან და ჰრქუა მას: მე თავი ჩემი კელთა შენთა მომიცემიეს და აწ ესე მოკსენებით ოდენ გაუწყე, ხოლო ყოვე-
ლივე ბრძანებისა შენისაებრ იყავნ და, რომელი სათნო არს წინაშე უფლისა, მასცა იქმოდე.

ამისა შემდგომად გალობაჲ სამწუხროჲ აღვასრულეთ და წა-
რვიდა კაცად კაცადი სავეანედ თვსად. ხოლო განთიად შემოკრბნეს ერნი იგი ტყუედ მოყვანებულნი და კუალად ასწავა მათ ნეტარ-
მან საიდუმლოჲ ქრისტეანობისაჲ და ნათელ სცა მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა ერსა მრავალსა. ხოლო საკვრველი დიდი იხილვებოდა, რამეთუ აღი ცეცხლისაჲ შორის ნათელდებულთა მათ აღეტყინებოდა და ყოველთა განანა-
თლებდა და სულნელებაჲ ცნობათა უაღრესი იხილვებოდა და იყნოსებოდა.

ამისა შემდგომად განუყო მთავარმან ყოველი იგი ნატყუნა-
ვი ოქროჲ და ვეცხლო და სიმდიდრჲ ფრიადი ერსა მას, ხოლო კაცთა მათ, ახალ ნათელ ღებულთა, უბრძანა წარყვანებაჲ კაცად კაცადსა თვსი პურობილი და მიცემად მათდა სავეანს და რათა არ-
ღარა მონად, არამედ ძმად ჰყვენ იგინი ისლლითა ქრისტესითა.

ხოლო წმიდამან ბაგრატ მოიყვანნა კაცნი ღვთის-მოშიშნი და განსწავლულნი სიტყვასა ღვთისასა და აკურთხნა ხუცად და დია-
კონად და წარავლინნა სოფლად სოფლად და ესრეთ თანა წარი-
ყვანნეს ყოველთა ხუცესნი იგი და დიაკონნი და წარვიდეს კაცად კაცადი სოფლად თვსად. ხოლო გვბრძანა მე და დიაკონსა ეზაუ-

როდიტეს აღწერად წესსა ჟამის წირვისასა და წმიდასა სახარებასა და მივეციტ ხუცესთა მათ სოფლებისათა.

წარმავლინა მეცა უფალმან ჩემმან ბაგრატ და მიმოვილოდე სოფლებსა მას და გამოუსახე ყოველთა მათ სოფელთა ეკლესიათა აღშენებად და წესი საეკლესიოჲ განუწესე მათ და ყოველნი იხარებდეს და აღორძნდებოდა და ქადაგებოდა იგი სახარებისაჲ მადლითა ქრისტესითა.

და ვითარცა აღვასრულე ჩემი მსახურებაჲ ყოველივე, მოვიქეცნეტარისა მის და ვპოვე იგი წურთასა საღმრთოსა წერილთასა, თაყვანის ვიც და მოვიღე მისგან კურთხევაჲ. და მრქეა მე, ვითარ წარემართებთან, შეილო, მღღელნი და ერი იგი მორწმუნს. მიუგე და ვარქუ მას: ყოველნივე, წმიდაო მამაო, ლოცვითა შენითა კეთილად წარმართებულ არიან და უფალსა მოსწრაფებით ჰმონებენ.

მსე რაჲ ესმა, აღიხილნა თუალნი თჳსნი ზეცად და თქვა: გმადლობ შენ, უფალო იესუ ქრისტე, ძეო მზოლოდ შობილო კაცო მზუჯარის მის მამისაო, რომელმან მოავლინე მადლი ყოველად წმიდისა სულისა გულისა ერისა შენისასა და იქსენ იგინი საცთურისა მისგან კერპთაჲსა, რომლისა თანა დიდებულ ხარ სულით წმიდითურთ უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ხოლო შემდგომად რავდენთამე დღეთა, კრებაჲ ყო ვინიფანტე მთავარმან სასპარეზოსა მას ტავეროჲსსა და აღჰმართეს მუნ საყდარი იგი მთავრობისა ტავეროჲსი, ყოველითურთ ოქროჲსაჲ შემკობილი თვალთაგან მრავალ ფასისათა და შეიმოსა სამკაული იგი სამთავროჲ და დაჯდა მასზედა, ხოლო ყოველნი წარჩინებულნი ქალაქისანი შეკრბეს მის წინაშე.

მეშინ მთავარმან კუერთხი იგი ოქრო ქანდაკებული განუყარა ერსა მას და თქვა მათდა მიმართ: ოდეს იგი ბილწთა მათ კერპთა ვჰმონებდით და შეილთა ჩვენთა დაუკლევდით და სხვასა ყოველსავე ბოროტსა ვიქმოდეთ, ვიყვენიტ სამართლად სავსე ყოველითავე ურჩულოებითა, ხოლო აწ ვინაჲთგან ქრისტე შევიმოსეთ, ვიცანტ ქეშმარიტი იგი ღმერთი მონისა მისისა ბაგრატის მიერ, რადლა სავსე არს ქალაქი ჩვენი კაცის კლვითა და სხვსა ბოროტისა საქმითა, ანუ რაჲსათჳს ჩემსა მას წყობად წარსლევასა კრებაჲ ჰურიათა და მონტანელთაჲ ჰქმენით და ქალწულნი იგი წმიდანი მოიკლნეს.

მთუგეს ყოველთა და ჰრქუეს: არავინ არს, უფალო, ბრალე-
ული ჩუენი საქმესა ამას, გარნა ელიდოს ქალაქ პეტრი და ვინებეთ
ჩუენ ქრისტეანეთა მოკლვაჲ მისი, არამედ მონამან ღვთისამან ბაგ-
რატ არა შეგვნდო ამისა ყოფად.

მაშინ ბრძანა მოყვანებაჲ ელიდოჲსი საპყრობილოჲთ და მე-
ყსეულად ორთა ქაბუკთა მოიყვანეს იგი თრეგით თმითა თავისა მი-
სისაჲთა. ხოლო მთავარმან იხილა რაჲ იგი, კმა ყო: ჯ ბოროტისა
ძირისა ბოროტო მოარჩო, რაჲსა თჳს გულის თქმითა ურჩულოვები-
სა და სიბილწისაჲთა მოსწყუდენ წმიდანი იგი ქალწულნი, არა გრი-
დო შენ, უკეთურო. მე დაგადგინე შენ ქალაქ პეტად და ესე ვი-
თარნი ურჩულოებანი ჰქმნენი და ტყარსა ჩემსა ჰურიანი და მონ-
ტანელნი შემოჰკრიბენ, რომელ იგი არცა თუ ოდეს კერპთა მსა-
ხურებასა შინა ვიყვენით, ვქმნენით სადამე და აწ, ოდეს ნათელი
ქრისტესი ჩუენ ზედა გამობრწყინდა და ბნელი განქარდა, აწლა
იქმ შენ გრძნებათა და სიხლვათა.

მთუგო ელიდოს და ჰრქუა მას: ვიხილენ რაჲ ღმერთნი იგი
მამულნი რამეთუ წარწყმდეს და ყოველი წესი ჩუენი უჩინო იქმნა
პირველი, შურითა აღვივსე და ვქმენ ესე საქმს და ქალწულნი იგი,
რამეთუ ღმერთთა ჰგმობდეს, ამისთჳს მოვკლენ. ხოლო მე არაო-
დეს უფარ ვჰყოფ ღმერთთა ჩემთა, არცა წესთა მამულთა. ჰრქუა
მას მთავარმან: და არა მოიქცევია ქრისტეს მონებად, რამეთუ სახი-
ერი არს და შეგინდოს შენ ურჩულოებაჲ.

მთუგო ელიდოს და ჰრქუა: ნუ იყოფინ ჩემდა დატევებაჲ მა-
მულსა მას შჯულოსა, მომკალთ უკუე წინაშე სკამანდრო ღვთისა
ჩემისა.

მაშინ მთავარმან და ყოველთა ათასის თავთა და აზნაურთა
და ერმან მის ქალაქისამან დასაჯეს იგი სიკვდილად. მოიღო უკუე
წყალი მთავარმან და კელნი დაიბანნა და შეასხა პირსა მისსა და
თქუა, უბრალო ვართ ჩვენ ყოველნი, სისხლი შენი თავსა ზედა
შენსა და ესრეთ ბრძანა წარკუეთაჲ თავისა მისისაჲ. ხოლო მკე-
დართა წარიყვანეს იგი შორს ქალაქსა და წარჰკუეთეს თავი მისი
ბოროტი და აღიფხურა ყოველი ძკრი ქალაქისა. მისგან და ყოველ-
ნი გულის მოდგინედ ჰმსახურებდეს უფალსა ჩვენსა იესუ ქრისტესა.

ხოლო მთავარმან ყო სერი დიდი და ყოველნივე წარჩინებუ-
ლნი წარიყვანნა სერსა მას და ნიქნი დიდნი უძღუანნა ერსა მას,
რომელ იგი სარწმუნოებით ჰმონებენ უფალსა და რამეთუ შური

კეთილი იძიეს ყოველთა და ლუარძლი იგი აღმოფხურეს მათგან, ამისთვისცა უფალმან წყალობაჲ და მშვიდობაჲ მოსცა მორწმუნეთა მათ და ქალაქსა მათსა.

ხოლო შემდგომად ორისა წლისა, მოვიდეს ხუცესნი იგი, რომელნი წარველინნეს წმიდასა ბაგრატს გარემო სოფლებსა, რამეთუ აღესრულა შენებაჲ ეკლესიათა და ევედრებოდეს ნეტარსა მას მისლვად და კურთხევად მათდა. ხოლო მან წარავლინნა იგინი, რათა მთავარი აკურთხონ ტაძარსა მისსა და, მირაჲ ვიდეს, ყოველნი ზეწრებითა შემოსილნი ვითარცა იხილნა იგინი მთავარმან, განჰკრთა, რამეთუ იტყოდა, ვითარმედ ესრეთ მიჩნდეს ვითარცა ანგელოზნი ხილვთა, ხოლო მათ აკურთხეს იგი ყოვლითა კურთხევითა და წარვიდეს კაცად კაცადი სოფლად თვსად.

ღა შემდგომად სამისა დღისა თანა წარიყვანნა ნეტარმან ბაგრატ ვონიფანტე და სხუანი მრავალნი კელმწიფენი და მე და ონისიფორე დიაკონი და ეპიტანე მენავეთ მოძღუარი და განვედით, მიმოვჰლიდით სოფლებსა და აკურთხევდა წმიდაჲ იგი ღვთისაჲ ეკლესიათა და უბრძანებდა ხუცესთა მათ შეწირვად უსისხლოჲსა მსხუერპლისა და ყოვლისავე საეკლესიოჲსა წესისა აღსრულებად წინაშე მისა და ესრეთცა იქმოდეს.

ღა ყოველთა ეკლესიათა განუწესა საზღვარი ქუეყანისაჲ, რათა აქუნდეს იგი მსახურთა ეკლესიისათა. მაშინ კელმწიფენი იგი წარჩინებულნი ყოველნი შურითა საღმრთოჲთა აღივსნეს და ყოველი მონაგები მათი სამ ნაწილად განყვეს, ოქროჲ და ვეცხლი და სხვაჲ ყოველი ნაქონები და მოიღეს ერთი იგი ნაწილი და დადვეს წინაშე წმიდისა ბაგრატისა და ჰრქუეს: ერთი იგი ნაწილი იყავნ ჩუენდა და მეორჲ შვილთა ჩუენთა და მესამჲ ესე მიეცინ ეკლესიათა საკსრად ცოდვათა ჩუენთა და ესრეთ შეამკუნეს ეკლესიანი ოქროჲთა და ვეცხლითა და სტავრაებითა, რომელ იგი წმიდამან ბაგრატ გუჯართა აღწერა და თითოეულისა ეკლესიისა მნეთა მიუთუალა.

ხოლო ერთსა სოფელსა გვეგულებოდა რაჲ წარსლვაჲ, მწუხრი დასნეულდა დიაკონი, სახელით ნეოფიტე, კაცი შუენიერი, კაბუკი ჰასაკითა და გონებითა მოხუცებული. მოუწოდა წმიდასა ბაგრატს და ჰრქუა: მომეხალე მე, წმიდაო მამაო, რამეთუ აჰა ესერა წარვალ და არღარა ვარ სოფელსა ამას. ხოლო წმიდა ბაგრატ შეწუხნა და სხვანი ყოველნივე შეკრბეს უკუე მის ზედა და, იხილ-

ნა რაჲ იგინი, ჰრქვა მათ: აჰა ესერა, მამანო ჩემო: წარვალ უფლისა, მილოცეთ წმიდისა ამის მამისა თანა, რათა ვბოო წყალობა დღესა მას სასჯელისასა. ესერაჲ ესმოდა, ყოველნი ცრემლოოდეს, ხოლო წმიდამან ბაგრატ თქვა: უფალმან მოგუცა, უფალმან მიგვიღო; ვითარცა უფალსა ენება, ეგრეცა ყო და ღამე ყოველ ჯღა მისთანა. ხოლო ჟამსა ცისკრისასა ბრძანა წმიდამან წარსლოჲა ეკლესიად. ჰრქუა მას ნეოფიტე დიაკონმან: წარმიტანეთ მეცა თქვენთანა, მამაო. აღიღეს იგი ცხედრითა და მოიყვანეს ეკლესიად და, ვგალობდით რაჲ, იგიცა ჩუენთანა გალობდა და, ჟამსა წიგნის კითხვისასა, მოითხოვა წიგნი და წარიკითხა ებისტოლეთაგან მოცქეულისა პავლსთა, ვიდრელა ვტყუდეთ ჩუენ, ვითარმედ არა რაჲ ელმის. და განთენა რაჲ, ჰრქვა ბაგრატს: მამაო, ჟამი მოწვეწულ არს, ლოცვა შენი თანა მავალ მეყავნ.

მაშინ წმიდამან უბრძანა ხუცესთა შემოსად და ჟამის წირვად, მოითხოვა ნეოფიტეცა კვართი თჳსი საღიაკონოჲ და შეიმოსა. შეიმოსა წმიდაჲ ბაგრატცა და აღასრულა წმიდაჲ ჟამის წირვაჲ და გარდამოიყვანა დიდებული იგი საიდუმლოჲ ზიარებად ნეოფიტესსა და, მირაჲ ეახლა ცხედარსა მას, იხილნა კაცნი დიდებულნი ცხედარსა მას თანა. ხოლო ნეტარი იგი ყოვლადვე განუკრთომელად მოუკდა და აზიარა მას წმიდაჲ იგი კორცი და სისხლი ქრისტესი და ყოველთავე ამბორს უყვეს მას. მაშინ წმიდაჲ იგი სული მისი, ვითარცა ტრედი ოქროჲსაჲ, გამოვიდა და დიდებულთა მათ კაცთა განჰმარტნეს კეღნი და შეიწყნარეს იგი და მეყსეულად სართული აღედო და წარიყვანეს ზეცად. ესე არაჲინ იხილა, გარნა ხოლო წმიდამან ბაგრატ.

მაშინ აღასრულა წმიდაჲ ჟამის წირვაჲ და იწყო გალობად გუამსა ზედა მის ნეტარისასა და პატივითა დიდითა დაჰმარხეს იგი და იტყოდა: შეიღო ნეოფიტე, უფალმან მოგუცა, უფალმან მიგვღო, იყავნ სახელი უფლისაჲ კურთხეულ უკუნისამდე.

და მას დღესა უზმათა გარდავლეთ და ხვალისა დღე წარემართა იგი მწუხარებით და მოვიქცეთ ქალაქად და არღარა მოვლნა სხვანი სოფელნი მწუხარებისა მისგან. ამის თჳსცა დაშთეს მრავალნი ეკლესიანი უკურთხეველნი, რომელთაჲ არღარა კელ ეწიფა დაჰყოზად ტავრომენელთა ეკლესიასა.

ხოლო შემდგომად სამისა დღისა, ჟამსა ოდენ მეშვდესა, აღასრულებდა ნეტარი იგი ლოცვათა და აჰა ესერა კმაჲ ესმა ზეცით,

რომელი ეტყოდა: ბაგრატ, ბაგრატ, აკურთხე ონისიფორე დიაკონი ხუცად და წარავლინე იგი კერძოთა მათ ღორაკინისათა. ესე სამგზის იქმნა კმაჲ ზეცით. მაშინ მოუწოდა ონისიფორეს და აუწყა მას ბრძანებაჲ იგი საღმრთოჲ და აკურთხა იგი ხუცად, ულოცა მას და წარგზავნა მსახურებასა მის საღმრთოსა. ხოლო მან მორჩილებით შეიწყნარა სიტყვაჲ იგი, აღჰკაზმა ჯორი თვისი და დაჯდა მას ზედა და წარემართა. და ვითარცა ელო სამისა დღისა ოდენ გზაჲ, მიიწია ადგილსა რასმე სოროვანსა. მაშინ ჯორი იგი დადგა სლოვისაგან და არღარა ვიდოდა. გარდაჰკდა ონისიფორე, უპყრა ავშარასა და ზიდვიდა მას სლვად, ხოლო იგი ყოვლადვე არა შეუდგა. მაშინ ნეტარმან მან ცნა, ვითარმედ მას ადგილსა ჯერ არს ყოფაჲ მისი. დაადგრა ადგილსა მას, დაჯდა ლოდსა ზედა ერთსა და წმიდა სახარებასა იკითხვდა.

ხოლო იყო უფალ ადგილთა მათ კაცი ვინმე, მელაფორ სახელით, და ვითარ იგი ჯდა ნეტარი ონისიფორე ლოდსა მას ზედა, დედაკაცი ვინმე წარჰვლოდა, რომლისა ქმარი მკიდა ყანასა სხვათა თანა მრავალთა მომკალთა და დედაკაცი იგი პურსა და გბოლოვლისა და ღვნოსა მიართუმიდა მომკალთა მათ კარაულითა.

ხოლო წარაჲჲ ჰელიდა ადგილსა მას, იხილა მღდელი იგი, დადგა სლვსა თვისისაგან და განიკდიდა მას. ჰრქუა მას ნეტარმან მან, რასა განმიცდი მე, დედაკაცო, და არა ხუალ გზასა შენსა. მიუგო დედაკაცმან მან და ჰრქვა: ვხედავ, უფალო, წინაშე შენსა, რაჲ იგი არა სადა მიხილავს, რამეთუ ხედვიდა წმიდასა ჯვარსა და სახარებასა. ჰრქუა მას ონისიფორე: ამას რომელსა ხედავ, სასწაულნი არიან ღვთისა მის ძლიერისანი, რომელმან ქმნა ცანი და ქვეყანაჲ, ზღვაჲ და ყოველი, რაჲ არს მათ შინა. მიუგო დედაკაცმან მან: შენ უკუე ღმერთი ხარ ანუ კაცი? ჰრქვა მას ონისიფორე: მე, დედაკაცო, კაცი ვარ, მსგავსი თქვენ ყოველთაჲ, მოკუდავი და მიწისაგანი, ხოლო ვჰადაგებ ღმერთსა ქეშმარიტსა.

ჰრქვა მას დედაკაცმან მან: უკეთუ გნებავს რათა გულ სავეს ვიქმნა, ვითარმედ კაცი ხარ, მიილე ამისგან, რომელ ესე მაქუს, და ქამე. და მისცა მას ქამადი და სასუმელი, ხოლო მან მიიღო და ქაჲ, რამეთუ დამაშურალ იყო და ორ დღე ყოვლადვე არაჲ ეკაჲ. მერმე ჰრქვა მას დედაკაცმან მან ახალმან სომანიტელმან: იყავ აქა, კაცო ღვთისაო, და მე მივიდე და მიუთხრა შენ თვს ქმარსა

ჩემსა და მან წარგიყვანოს სახედ ჩვენდა, რამეთუ ყოველი რაჲ გუაქუს ჩვენ და იზარდებოდი ჩვენ თანა.

ხოლო ნეტარმან მან ულოცა მას და წარვიდა დედაკაცი იგი. ხოლო მირაჲ იწია, აბრალეზდა მას ქმარი თვისი დაყოვნებისა თვს. ჰრქვა მას დედაკაცმან მან: ნუ მაბრალობ, უფალო ჩემო, რამეთუ ვიხილე გზასა ზედა ხილვაჲ საშინელი და ამის თვს დამეყოვნა. ვიხილე კაცი დიდებული, მჯდომარს სოროსა მას მელაფორისსა და წინაშე მისსა აღმართებულ არს სუეტი ცეცხლისაჲ და წიაღთა მისთა აქვს ცეცხლი და ცეცხლისა მისგან სიტყვათა აღმოიტყვს. ესე რაჲ ესმა კაცსა მას, დაუგო პური მომკალთა და დაუტევა ცოლი თვისი და მონანი ღწოლად მათდა და იგი წარვიდა ადგილსა მას, სადა იყოფოდა ონისიფორე, ხოლო მირაჲ ეახლა, ვითარ ქვის სატყორც ოდენ,

იხილა დიდებაჲ ღვთისაჲ, რომელი აგრილობდა მას და დავარდა პირსა ზედა. მაშინ მიხედნა ნეტარმან ონისიფორე და ჰრქვა: მოვედ, მომეახლე მე, კაცო. ესმა რაჲ მას კმაჲ მისი, შიშით აღდგა და მიეახლა მას. და კუალად თაყვანის სცა და თქვა: ვინ ხარ, კაცო შეუენიერო, რამეთუ არა სადა მიხილავს, ვითარ ესე ხილვაჲ შენი. მითხარ, უკუეთუ ღმერთი ხარ ანუ კაცი ანუ თუ ღმერთთა ჩვენთაგანი ხარ და ინებე გამოჩინებად სიგლახაკისა ჩემისა.

მიუგო ონისიფორე და ჰრქუა მას: ისმინე, კაცო, მე კაცი ვარ მიწისაგანი და ვჰადაგებ იესუ ქრისტეს, ძესა ღვთისასა. ესმა რაჲ კაცსა მას სახელი იესუ ქრისტესი, განელო გონება მისი და თქვა: ჰე, მასმიეს ქრისტესთვს, ვითარმედ იშვა ქალწულისაგან სიტყვთა ანგელოზისაჲთა და ქალწული, შემდგომად შობისა ქალწულადვე ეგო და სასწაულნი მრავალნი ქმნნაო. ხოლო ჰურიათა ჯვარს აცუეს იგი და საფლავსა დადვეს, არამედ იტყვან, თუ აღდა და ამალღდა ზეცად და მოწათენი თვსნი წარავლინა ყოველსა სოფელსა ჰადაგებად სახელსა მისსა და გუესმა, თუ ერთი მათგანი მოვიდა სვრაკუსეს და ამას ყოველსა ჰადაგებს. გარნა ვერ უძლე აქამომდე ხილვად მისდა. ხოლო შენ უკეთუ ერთი მათგანი ხარ, მითხარ სიტყვაჲ ესე და გუესმას.

მაშინ ონისიფორე იწყო წმიდათა წერილთაგან და აუწყა ქრისტს მას. ხოლო მან ჰრწმენა და ჰრქვა: გვედრები მე, ნათელ მეც, მოციქულო ქრისტესო. მიუგო ონისიფორე და ჰრქვა: წაჩვედ, ახალი სამოსელი მოიღე და ხათელ გცე. წარვიდა და მსწრაფლ

მოიღო სამოსელი ახალი საქორწინე და შთაიყვანა იგი ონისიფორე კეფსა მას, სადა იყო წყალი და აღჰმართა ჯვარი და ხატი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი. ხოლო ჯვარი იგი მე, ევაგრეს, შემეჭმნა ძეღისაგან საროხსა, რომელსა ზედა გამოქანდაკებით გამო მესახა ჯვარცმაჲ ქრისტესი, იგი აღჰმართა წყალსა მას ზედა და აღასრულა ყოველივე წესი წყალსა მას ზედა და ნათელ სცა კაცსა მას. ხოლო აღმორაჲ ვიდოდა ემბაზისაგან, იტყოდა, ესერა ცეცხლი გარე მომეხვია მე და კითხა, მითხარ მე, წმიდაო მამაო, ვისი არს ხატი ესე. ჰრქვა მას ონისიფორე: უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი არს.

მიუგო კაცმან მან: შთავედ რაჲ წყალსა შინა, ვიხილე, რამეთუ მოყო კელი და დამდეა თავსა ზედა და მიყსეულად ცეცხლი გარე მომეხვა. ესრეთ სრულ იქმნა რაჲ კაცი იგი და შეიმოსა სანათლოჲ იგი სამოსელი, ითხოვა ლოცვა მღდელისაგან წარსლვაჲ მომკალთა მათ მიმართ და, ვითარცა წარვიდა კაცი იგი, აღვიდა ონისიფორე და დაჯდა ლოდსა მას ზედა.

ხოლო კაცი იგი მირაჲ იწია მომკალთა მათ მიმართ, იხილეს მათ იგი, ვითარმედ ცეცხლი ემოსა და იელტოდეს. ხოლო იგი სდევდა მათ და ეტყოდა: მე ვარ, ძმანო, ნუგეშინინ, და იგინი უფროსლა იელტოდეს და კუალად იგი კმობდა: ძმანო, მე ვარ, რად მეველთით. იცნა კმა მისი ცოლმან მისმან და ეტყოდა კაცთა მათ: ქმარი ჩემი არს, ნუ იელთით, დადგით, ვიხილოთ, რაჲ არს საქმე ესე. მაშინ ძლით დადგეს კაცი იგი და ჰრქუეს მას: მითხარ ჩუენ, რაჲ ხარ, რამეთუ კმასა შენსა ვიცნობთ და ხილვაჲ შენი დამაკვრევს. მიუგო კაცმან მან და ჰრქუა მათ: ისმინეთ, ძმანო, კაცი ვინმე საკვრველი ვპოე სოროსა მას მეღაფორისასა, რომელი ცეცხლებრ ელვიდა და შიშისაგან დავეარდი პირსა ზედა. ხოლო მან მრქუა მე: აღდეგ, კაცო, მომეახლე მე უშიშად, რამეთუ მეცა კაცი ვარ მიწისაგანი. ესე რაჲ მესმა, მივეახლე მას და მახარა ქრისტეჲ და მე მრწმენა და ნათელ ვიდე.

ხოლო შთავედ რაჲ წყლად, ვიხილე, რამეთუ ცეცხლი გარე მომეხვა მე და წყალსა მას ზედა დგა სუეტი ცეცხლისა და ხატი, რომლისა ელვა განანათლებდა პირსა ჩემსა, რომელმანცა მოყო კელი და შემახო თავსა ჩემსა და განმანათლა მე. ხოლო ხატი იგი, ვითარცა მან კაცმან მაუწყა, იესუ ქრისტესი იყო და სუეტი იგი ცეცხლისაჲ ჯვარი მისი წმიდა, რომელსა ზედა ცხოვრებისათჳს

კაცთაჲსა დამოეკიდა და სხუაჲცა წიგნი ცეცხლისაჲ აქეს მას, რომელსა შინა წერილ არს ყოველი საქმე მისი, რომელ არს იესუ ქრისტე. ესე მესმა და ვიხილე, მრწმენა და განვნათლდი და ამიერიითგან არღარა ვჰმონებ ეშმაკთა, არამედ მრწამს მამაჲ და ძე და სული წმიდა, რომლისა მიერ განვნათლდი.

მსე რაჲ ესმა კაცთა ზათ, მეყსეულად დაუტევეს მანგლგზი მათი და სრბით მივიდეს სოროსა მას. და იხილეს რაჲ ნეტარი ონისიფორე, დაცვეს პირსა ზედა. ხოლო მან ჰრქვა: აღდგით, შეილნო, ნუ გეშინინ, რამეთუ მეცა კაცი ვარ ცოდვილი და აღრაჲ დგეს იგინი, ვერ ეძლო მიხედვად პირსა მისსა, რამეთუ იყო იგი განბრწყინვებულ სულისა მიერ წმიდისა და ხედვიდეს ხატსა და ჯვარსა ქრისტესსა და წმიდასა მას სახარებასა, ვითარცა ელვასა ცეცხლისასა წინაშე მისა და ძრწოდეს. ხოლო ნეტარმან მან ილოცა, რათა აღეღოს შიში მათგან და ესრეთ შიშით და სიხარულით მივიდეს და თაყვანის სცეს მას. ხოლო მან სასწაული ჯვარისა გამოსახა მათ ზედა და უბრძანა დაჯდომამა. მიუგეს კაცთა მათ და ჰრქვეს: კაცო დიდებულო, ვინაჲ მოხუედ აქა, რამეთუ ხილვაჲ შენი საშინელ არს. მაშინ იწყო მღდელმან მან და ყოველივე აუწყა სიტყვა სახარებისაჲ და ვითარ იყო იგიცა კერპთ მსახურ და წმიდისა ბაგრატის მიერ ისწავა კერპთ მსახურებისაგან განყენებაჲ და ცნობად ქრისტე ღმერთი დამბაღებელი ყოველთაჲ და ვითარმედ იგი არს ღმერთი ჭეშმარიტი და ყოველივე კერპთა სახე, ეშმაკთა ხატები არს საცთური კაცთა.

მსრეთ ჰრწმენა კაცთა მათ ქრისტე და ევედრებოდეს ნათლის ცეზად მათდა. ხოლო ნეტარმან მან იწყო თავილგან უწყებად ქრისტესა და დღე ყოველ ასწავლიდა მათ და უკითხავდა წმიდასა სახარებასა. ხოლო იგინი ცრემლით თაყვანის სცემდეს ქრისტესა და ჰმადლობდეს მას ყოველისა მის თვს და იხარებდეს სწავლათა მათ ზედა და ამას ესე ვითარსა სწავლასა შინა შემწუხრდა დღე იგი. მაშინ ნეტარმან მან აღასრულნა ლოცვანი სამწუხრონი და დაყუდნა და კაცნი იგი ერთ კერძო, რამეთუ განთიად ეგულებოდა ნათელ ცემაჲ მათი.

ხოლო მეორესა ოდენ ჟამსა ღამისასა მოვიდა ეშმაკი და მისთანა სულთა არა წმიდათა სიმრაველს სახითა ჰინდოთაჲთა და იგი უმაღლეს ყოველთა სხვათა ჰასაკითა დაუშავეს ფერთა და დადგა ვითარ ქვის სატყორც ოდენ და კმა ყო: ჯ კირი ბაგრატისი და

შენი, ონისიფორე, რად მავნებთ და მონათა ჩემთა მიმიღებთ და ქრისტეს შეაწყნარებთ ნაზარეველსა. ტაძარნი ჩემნი, რომელნი იყვნეს ქალაქსა ტავრომენიასასა, დააქცინა მან და შენ, რომელი ოდესმე ჩემი მწიგნობართა მთავარი იყავ, მოხუედ აქა და თაყუანის მცემელთა ჩემთა მიმიხუამ და სერტყებსა ჩემსა და ბომონებსა რწრაფი დარღუევად. ვაჟმე, რამეთუ არა მაქუს შემწე. ტავრომენიას ბაგრატი ტყუე მყო, და სვრა კუსეს მარკიანე ბერმან და აქა აწ მკვდრი ესე მოლონისაჲ ქსანთიბოს, რომელი მრავალთა შესაწირავთა ოდესმე მომართუმიდა, ონისიფორედ წოდებულ არს და ამათ აღგილთაგანცა მღვწის. ამას იტყოდა და კაცთა მათ მიმართ კბილთა იღრქენდა.

ხოლო ნეტარმან ონისიფორე გამოსახა სახც ჯვარისაჲ და დაწყევა ბოროტი იგი ეშმაკი და ჰრქვა კაცთა მათ: უწყითა, შეილნო, ვითარმედ ქრისტემან გიწოდნა თქვენ სასუფეველსა მისსა და ამის თვს ეშმაკსა შურს ცხოვრებაჲ თქვენი და იღრქენს კბილთა ამოდ. ხოლო თქვენ, შეილნო, შეჰწერწყუეთ მას და არქუთ, ვიჯმნით შენგან, ეშმაკო, და გჰმონებთ იესუ ქრისტეს, ძესა ღვთისასა. და აღადგინნა იგინი, ყო ლოცვაჲ და ჯვარი დასწერა შუბლთა მათთა და მიაქცინა იგინი დასავალით კერძო, ვინაჲ იგი ჩნდა ეშმაკი და ეტყოდა მათ: იჯმენითა ეშმაკისაგან? ხოლო იგინი, ვითარცა ერთისა პირითა, მოუგებდეს: ვიჯმნით, ვიჯმნით.

მიუგო და ჰრქვა მათ, შეჰწერწყუეთ მას და შეჰწერწყუეს.

მერმე მოაქცინა აღმოსავალით და მეყსეულად მახული ცეცხლისა გამოჩნდა აღმოსავალით და უჩინო ყო ეშმაკი იგი და მისთანანი იგი სულნი ბოროტნი. ხოლო მღვდელმან დაადგინნა კაცნი იგი აღმოსავალით და თქვა: აღუთქუათა ქრისტესა? მიუგეს: ჰე, აღგვთქუამს. ჰრქუა მათ ნეტარმან: თაყვანის ეცით მას და აღჰმართა ხატი ქრისტესი და თაყვანის სცეს მას.

ხოლო განთიად მოვიდა კაცთა იგი პირველ ნათელღებული ცოლით და შეილითურთ თვისით და თაყვანის სცეს ნეტარსა მას. მიუგო მან და ჰრქვა მას: კეთილად მოხუედ, მონაო ქრისტესო, კეთილო და სარწმუნოო, აწ უკუე მსახურებაჲ შენი აღასრულე და მოიღე სამოსლები ახალი რიცხვსა ებრ ამათ კაცთაჲსა, რათა ნათელ იღოს კაცთა ამათ. ჰრქუა მას: ყოველივე მზა არს, უფალო, და მსწრაფლ წარვიდა და მოიღო. მაშინ შთავიდა მღვდელი იგი უფლისაჲ წყალსა მას და ყოველივე წესი აღასრულა და ნათელს

სცა კაცთა მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმი-
დისაჲთა და ნათელსცა ცოლსა მის კაცისასა და სამთა შვილთა
მისთა და დაიყენნა კაცნი იგი რვა დღე მის თანა და ასწავა ყო-
ველი წესი ქრისტეანობისაჲ.

ხოლო დედაკაცმან მან სახიერმან ჰრქეა ქმარსა თჳსსა: უფა-
ლო ჩემო, უშენოთ კაცსა ამაჲს წმიდასა საფანე მახლობელად სახ-
ლისა ჩუენისა, რათა იყოს საყოფელი მისი ჩუენ თანა. და ყვეს
ეგრეთ.

ხოლო მერვესა დღესა ჰრქეა ონისიფორე კაცთა მათ: მოვე-
დით, შვილნო, მიიღეთ სახპ ჯვარისა და განვედით გარემო სოფ-
ლებსა და ქადაგებდით სიტყუასა ღვთისასა და, სადაცა იპოვნენ
ბრმანი, მკელობელნი, განრლუეულნი და ყოველნივე ცისად ცისად
გუმელნი, დასხენით მას ზედა კელნი და ბეჭედი ქრისტესი გა-
მოსახეთ და ყოველნი განიკურნენ სახელითა ქრისტესითა. და უქმნა
ონისიფორე კაცად კაცადსა ჯვარი ნაძვსა და მისცა მათ და წარა-
ვლინნა იგინი კურთხევით.

ხოლო მათ მიიღეს სახპ იგი ჯვარისაჲ და განვიდეს გარემო
სოფლებსა და დაბნებსა და ქადაგებდეს ქრისტესა. ხოლო ეშმაკნი
ვერ მოითმენდეს ძალსა მას ჯვარისასა, არამედ ივლტოდეს და
იტყოდეს ვაგებით: ჰ ჩვენდა იესუ ქრისტესგან ნაზარეველისა, რამე-
თუ მახვლი. მისი აქაცა გუეწია და ვერ დაუდგამთ ძალსა მისსა.
ხოლო მკვდრნი იგი სოფლებისანი, რომელნი კაცთა მათ იცნობ-
დეს, განკვრევით ეტყოდეს: ვინაჲ მოგეცა თქვენ კელმწიფებაჲ
ეშმაკთა ზედა ანუ რომლითა ძალითა განასხამთ სენთა.

მიუგეს მათ და ჰრქეს, ვითარმედ აწლა მოიხილა ჩვენ ზედა
ღმერთმან მაცხოვარმან ჩუენმან და გვჩუენა გზაჲ ცხოვრებისაჲ იე-
სუ ქრისტე, ღმერთმან ქეშმარიტმან.

დაუტევეთ უკუე თქუენცა საცთური იგი კერპთაჲ და მოიქე-
ცით მისა და მან მოგცეს თქუენ ესე ვითარივე კელმწიფებაჲ. მო-
იყვანებდეს უკუე სნეულთა და ეშმაკეულთა და, ოდენ კელნი და-
სხნან მათ და თქვან: სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა
განიკურნენით, და მეყსეულად განიკურნებოდეს. და განკდა ჰამბა-
ვი მათ კაცთა ყოველსა მას დაბნებსა მელაფოროჲთ ვიდრე პეტ-
რონიკემდე და ყოველსა მას სერტყოვანსა. პალატამო მდინარისასა
და ყოველნი მოიყუანებდეს უძლორთა და შეპყრობილთა ყოველთა-
ვე სენთა და განჰკურნებდეს მათ სახელითა ქრისტესითა კაცნი იგი.

მაშინ შეკრბა ერი მრავალი და ეტყოდეს მათ: გვთხარტ ჩუენ, ძმანო, რაჲ არს სიტყვა ესე მოძღურებისა თქუენისაჲ, ანუ ვინაჲ მოგეცა ძალი ესე ვითარი კურნებისაჲ. მიუგეს კაცთა მათ და ჰრქუეს: უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, ძღ ღვთისაჲ, იგი ჰკურნებს ყოველსა სენსა. აწ უკუეთუ გნებავს, მოვედით ჩვენთანა და იხილეთ მოწაფე მისი და მან გიჩუენოს თქუენ გზაჲ ცხოვრებისაჲ და მოგეცეს მადლი კურნებათაჲ.

მსე რაჲ ესმა ერთა მათ, შეუდგეს სიმრავლღ მამათა და დედათაჲ და მოვიდეს ნეტარისა ონისიფორესსა. ხოლო იხილნა რაჲ იგინი, აღიესო სიხარულითა, აღდგა და იწყო სწავლად მათდა დღე ყოველ და ხვალისა დღე კუალად ასწავლიდა. და უბრძანა კაცად კაცადსა განწმედად სამ დღე თავი თვისი და სამოსლისა სანათლოჲსა მოღებად. და ესრეთ მესამესა დღესა შთავიდა კეცსა მას და ნათელს სცა ერსა მრავალსა სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა და ერი იგი დაადგრა მუნ, მრავალ დღე ისმენდეს სწავლასა მისსა და ეზიარებოდეს დღითი დღე კორცსა და სისხლსა ქრისტესსა, რამეთუ საკვრეველებასა მრავალსა ხედვიდეს, ვითარ შესწირავნ რაჲ უსისხლოსა მას მსხუერპლსა მღღელი იგი ონისიფორე, ოდესმე ცეცხლი გარემო ეხვიოს მას და ოდესმე ღრუბელი ნათლისაჲ აგრილობნ მას.

მაშინ ესმა ესე ყოველი მთავართა მათ კერძოთასა და მოვიდოდეს დღითი დღე და ნათელ იღებდეს და ჰრწმენა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე. ხოლო მელაფორ უფალი მის აღგილისაჲ არა იყო მაშინ მუნ, რამეთუ ქალაკსა მელიტეს წარსრულ იყო, არამედ იგიცა მორაჲ ვიდა და ესმა ქადაგებაჲ ესე და იხილა ნეტარი ონისიფორე, ჰრწმენა ქრისტღ და ნათელ იღო. მაშინ ნეტარმან ონისიფორე მოუწოდა ერსა მას მორწმუნესა, ასწავლიდა მათ და ეტყოდა: ძმანო ჩემნო და შეილნო ქრისტეს მიერ! ღმერთმან, რომელმან ქმნა ცაჲ და ქვეყანაჲ, ზღვანი, მან დამბადნა ჩვენ და გვიწოდნა წოდებითა ამით წმიდითა, რამეთუ ჩვენ ვართ ერნი მისნი და ცხოვარნი სამწყსოჲსა მისისანი.

აწ უკუე ვითარცა მის მიერ კსნილნი სატურისაგან მტერი-სა და სყიდულნი პატოხსნითა სისხლითა მისითა, ვყვენთ თავნი ჩუენნი ტაძარ მადლისა მისისა და ხილულიცა ტაძარი უშენოთ, რათა დღითი დღე შესწირვიდეთ უსისხლოსა მას მსხუერპლსა და ერსა ნათელ ვსცემდეთ. ხოლო მათ თქუეს: ყოველივე, მამაო წმი-

დაო, ვყოთ, რაჟცა მიბრძანო. მაშინ აღასრულეს წმიდა ჟამის წირვაჲ, აზიარა მათ, წარგზავნა სახედ თვსად და ეტყოდა მათ: წარვედით, შეიღწო, მშვიდობით და უცნებათაგან მტერისათა ნუგეშინინ, არამედ სასწაულითა ჯვარისათა შეიჭურენით თავნი თქუენნი და იგი მოუძღურდეს თქუენ წინაშე მადლითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა.

ხოლო სხდეთ რაჲ ქამად ჰურისა, სახესა ჯვარისასა გამოსახევდით საქმელსა მას ზედა და პირთა თქვენთა და იტყოდეთ: უფალო ჩუენო იესუ ქრისტე, აკურთხე საქმელი ჩუენი და სასუმელი და ესრეთ იწყეთ ქამად. და რაჟამს გზასა გახვდოდით, ილოცევდით და იტყოდეთ „მამაო ჩვენო“ და „უფალო იესუ ქრისტე, თანა მავალ მეყავ ჩუენ“. ექუსსა დღესა მსგეფისასა იქმოდეთ საქმეთა თქუენთა და შაბათსა შუადღითგან შემოკრებოდეთ აქა, რათა გესმას კმა გალობისა დავით წინასწარმეტყველისაჲ და სიტყვანი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესნი და შეიწყნაროთ გულთა თქუენთა მარგალიტი იგი უსასყიდლოჲ—კორცი და სისხლი ქრისტესი, რათა მიიქცეთ რაჲ სახლად თქვენდა, განანათლნეთ იგინი, რომელნიცა დარჩომილ იყვნენ შინა.

რამეთუ ესე ჯერ არს, რათა უკუეთუ მღდელნი არა გეახლნენ, არა უდებ იქმნეთ ოცდა ათ უტევანცა წარსლვად მღდელთა მიმართ უფლისათა, რათა, იხილოს რაჲ ეშმაკმან მოსწრაფებაჲ თქვენი, იძლიოს თქუენ მიერ და ღმერთი მშვიდობისაჲ იყავნ, ძმანო, თქუენთანა. ამინ.

მსრეთ განუტევა ერი იგი და წარვიდეს ყოველნი, განემზადნეს და მოვიდეს და აღაშენეს ეკლესიაჲ, ვითარ გამოსახა ნეტარმან მან და ყოველთა კვირიაკეთა შემოკრებოდეს მუნ და აღასრულებდეს გალობასა საცისკროსა და ეზიარებოდეს საიდუმლოთა ქრისტესთა.

მთიწია სიტყვა ესე ნეტარისა მარკიანესსაჲ საქმეთა თვს ონისიფორესთა და ვითარმედ წმიდისა ბაგრატისგან მივლინებულ იყო ნათლისცემად ერისა სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა.

მსე რაჲ ესმა წმიდასა მარკიანეს, ცნა ვითარმედ არა იქმოდა წმიდა ბაგრატ თვნიერ საღმრთოჲსა უწყებისა, რათამცა კერძოთა მის ქალაქისათა მიავლინა თვსი ხუცესი, ამის თვს წიგნიცა მიუწერა ესე ვითარი:

ღმერთ შემოსილსა თანა შემწესა და ჩვენ თანა მღდელსა ბაგ-

რატს, ეპისკოპოსსა ტაფრომენისასა, მარკიანე ეპისკოპოსი სვრაკუსისაჲ უფლისა მიერ გიკითხავ.

მესმის წარმატებაჲ შენი ქადაგებასა მას სახარებისასა და ვითარ იგი ეშმაკნი იოტენ ქალაქისა მაგისგან და ერნი მრავალნი შეაწყნარენ უფალსა ჩვენსა იესუ ქრისტესა და სიხარულითა აღვსებულ ვარ. ხოლო აწ ესერა კუალად მესმა, ვითარმედ ძმაჲ ონისიფორე კერძოთა ამათ ქალაქისა ჩვენისათა მოგივლენია და დამიკვირდა, მნებაჲს უკუე ცნობად შენ მიერ, უკეთუ ხილვითა საღმრთოჲთა იქმნა ესე, ანუ. სხვთა რაითმე სახითა, რამეთუ, ვითარცა თვთ უწყი, წმიდათა მოციქულთა ესრეთ დაგვიწესეს, რათა თითოეულსა ეკლესიასა ავსი სამრემლოჲ აქუნდეს. ყოველსავე უკუე ამისთვის გუაუწყე ვითარცა გნებაჲს და მშვიდობა უფლისა იყავნ მარადის ჩვენ შორის, ძმაო საყუარელო, ცოცხლებით იყოფებოდე მადლითა ქრისტესითა.

მსე ვითარი ებისტოლე მოიღო წმიდისა ბაგრატისსა ძმამან, ვინმე დიაკონმან, რომელი იგი იხილა რაჲ წმიდამან ბაგრატ და ესმა ცოცხლებით ყოფაჲ წმიდისა მარკიანესი და ქადაგებაჲ სახარებისაჲ მის მიერ აღსრულებული, სიხარულითა აღივსო და რომელი იგი ცნა, ვითარ მადლი უფლისა შეეწია ძმასა ონისიფორეს, მაშინ დაწერა ებისტოლე ნეტარისა მარკიანესსა და წარმავლინა მე მოკითხვად მისა. ხოლო ესე ვითარი წესი იყო ებისტოლისა მის.

მარკიანეს, ყოვლად წმიდასა ეპისკოპოსსა სვრაკუსე ქალაქისასა, მამასა ჩემსა სულიერსა და ჩემთანა მსახურსა უფლისასა ბაგრატ, ეპისკოპოსი ტაფრომენია ქალაქისაჲ, უფლისა მიერ გიკითხავ.

წიგნი სიწმიდისა შენისაჲ წარვიკითხე და სიხარულითა აღვვსე, რამეთუ ცოცხლებით ხარ და ერი ურიცხვი განგინათლებიეს ქადაგებითა ქრისტეს სახარებისაჲთა. უფალ მან უმეტესადცა წარგიმართენ მსახურებასა მისსა. ხოლო რაჲ იგი გებრძანა, რათა გაუწყო მიზეზი მოვლენისა ძმისა ონისიფორესი, ყოველივე მიგითხრა, მამაო წმიდაო. ეგე კაცი ფილასოფოსი იყო ყოველისა ამის ქალაქისაჲ და ყოველი წიგნი სიბრძნისაჲ და სამკურნალოჲსაჲ მის თანა მოაპოვებოდა. ხოლო მორაჲვედ მე აქა, მოაქცია ეგე უფალმან თვისისა სარწმუნოებისა მომართ და ყო შემწედ ჩემდა ყოველსავე ზედა, რამეთუ დასაბამი ქადაგებისა ჩუენისა ეგე იქმნა. და ვიხილე რაჲ, რამეთუ მადლი უფლისა იყო მის ზედა, ვაკურთხე ეგე დია-

კონად და შემდგომად დღეთა რავედენტამე მესმა კმა ზეგარდამოჲ, რომელი მეტყოდა: ბაგრატ, ბაგრატ! ონისიფორე დიაკონი აკურთხე ხუცად და წარავლინე კერძოთა დორაკინისათა. ესე კმაჲ სამგზის მესმა, მამაო სანატრელო და მერმე, ვითარცა მიბრძანა, ვაკურთხე იგი ხუცად და წარავლინე და არა ნებითა ჩემითა. აწ უკუე, წმიდაო მამაო, შენი არს მოწაფს ეგეცა და შენი სამრემლოჲ, რამეთუ ესე ამისთვის ყო უფალმან, რათა შენსაცა სიწმიდესა ჰმსახუროს ძმამან მაგან. ილოცვედ უკუე ჩვენ თვსცა, რათა უფალმან წარგვიმართოს ნებასა მისსა.

მსე ებისტოლე აღვიღე მე, ევაგრე და დიაკონმან მან, მოვლინებულმან წმიდისა მარკიანესგან და წარვედ სვრაკუსედ და ვპოეთ იგი გარეშე ქალაქისა. ხოლო ეუწყა რაჲ ჩემ თვს, მყის გამოვიდა და მომიკითხა და მრქვა მე: უფალმან დაგიცვენი შენ, შვილო. და შევედით რაჲ სენაკად მცირედ, სადა იგი მკვდრ იყო, მივეც ებისტოლე წმიდისა ბაგრატიისი. ხოლო მან მრქვა მე: ვითარ შეეწევის უფალი ძმასა ჩუენსა ბაგრატს. მიუგე და ვარქუ მას: კეთილად ლოცვითა შენითა, წმიდაო მამაო. და ესერაჲ ესმა, აღიხილნა ზეცად და მადლი შესწირა ღვთისა. ხოლო წარიკითხა რაჲ ებისტოლე იგი და მრქუა მე: გრწმენინ, შვილო ჩემო, შემდგომად მოწერისა ებისტოლისა მის და წარმოვლენისა ძმისა ამის მეუწყა უფლისა მიერ ყოველივე საქმს ძმისა ონისიფორესი. და წარვაე-ლინე მოწაფე ჩემი განძლიერებად მისდა, რათა შეისწრაფოს აღშენებაჲ ეკლესიისაჲ, რაჲაჲ ვაკურთხო იგი.

ხოლო მე, შვილო ევაგრე, მრავალი ჭირი მაჩუენეს ჰურიათა და მონტანელთა, რამეთუ გრძნებითა თვსითა აუცნებდეს ერსა ამას ქალაქისა. და ლეგვონი ეშმაკთაჲ შეეკრიბა ქუაბსა ამას მახლობელსა. ხოლო მორაჲ ვედით, უფალმან ჩუენმან იესვ ქრისტემან უჩინო ყვნა იგინი და სასწაულნი მრავალნი და დიდნი უჩუენნა ერსა ამას. ამის თვსცა ჰრწმენა ყოველთა და ნათელს იღეს სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა და იქმნენ ერთ სამწყსო მწყემსთ მთავრისა ქრისტეს ღვთისა ჩუენისა. ხოლო ეშმაკი შევიდა გულისა ჰურიათა და მონტანელთასა და არაჲ დასცხრეს ბრძოლად ჩუენდა, არამედ უფალმან არცხნა მათ ყოველსავე ზედა და ყოველნი საგრძნებელნი მათნი განაქარვნა.

მსე ვითარი რაჲ მრავალი მითხრა, აღვასრულეთ ლოცვაჲ და ჰირი ვიკსენით. და ხვალისა დღე მიბრძანა წარსლვაჲ და ნახვა

ძმისა ონისიფორესი. მოიყუანეს უკუე საკედარი და ერთი ძმათაგანი ჩემთანა მავალად მოაფლინა. და წარვემართენით რაჲ, განთიად მიმწუხრამდე მივიწიენით ადგილსა მას და ვპოვთ ნეტარი ონისიფორე გალობასა შინა სამწუხროსა და, აღვასრულეთ რაჲ ლოცვაჲ იგი, მოვიკითხეთ ურთიერთას სიხარულითა და ცრემლითა და, დავსხედით რაჲ, მითხრა ყოველი მოწერილი. დავყვენ მისთანა რვა ოდენ ღღე და ვიხილენ სასწაულნი, რომელთა იქმოდა უფალი მის მიერ და ეკლესიაჲ, რომელსა აშენებდა, რომელსაცა უწოდა სახლ მშვიდობისა. ამისა შემდგომად მოვიკითხე იგი და მოვიქეც ნეტარისა მარკიანესსა და დავყავ მის თანა სამ ღღე.

მაშინ ინება ნეტარმან წარსლვად ჩემთანა და ხილვად წმიდისა ბაგრატისი და აღვედით ნავად და წარვემართენით მიმწუხრი და ნიავეთა წულილითაჲ მივიწიენით ხვალისა ღღე ზღვს პირსა ფალკონისსა. ხოლო ნეტარმან ბაგრატ ცნა სულითა მოსლვაჲ ჩუენი, აღდგა და აღიღო საცეცხური, დაასხა საკუმეველი და მოვიდა მოგებებად წმიდისა მარკიანესსა და წინაშე მისსა კერეონი აღნთებული ეპყრა ერთსა მოწათფთავანსა.

იხილა რაჲ იგი შორით მომავალი წმიდამან მარკიანე და სული სურნელებისაჲ იყნოსა, მრქვა მე: ვინ არს, შეილო, მომავალი იგი. მიუგე და ვარქუ, ვითარმედ ვჰგონებ უფალი ჩემი ბაგრატ არს და მოგებებად სიწმიდისა შენისა მოვალს. ხოლო შემეტხვენეს რაჲ ურთიერთას, დავარდეს ქუეყანასა ზედა და აწუგედეს ერთი ერთსა ლოცვისა აღსრულებად.

მაშინ თქუა დიდმან მარკიანე: კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა, და მოიკითხეს ურთიერთას ამბორის ყოფითა მოწლითა და ესრეთ შევედით ქალაქად და მივედით ეკლესიად და კუალად აიძულებდეს ურთიერთას ლოცვსა წართქუმად.

მაშინ აღვდა წმიდაჲ მარკიანე საკურთხეველსა და ყო ლოცვაჲ ზეგარდამოჲ და გარდამოკდა და მოიკითხნა ძმანი და დასხდეს ზოგად და იწყეს სიტყვად სიტყვათა საღმრთოთა.

ჰრქუა წმიდამან ბაგრატ: რაჲსათვს მოშუერ, მამაო ღმერთ შემოსილო, ცოდვილისა ამის. მიუგო წმიდამან მარკიანე: უძლურნი მარადის მკურნალისა მივლენ პოენად კურნებისა.

ჰრქუა მას წმიდამან ბაგრატ: ჰე თუმცა, მამაო წმიდაო, გუაქენდეს ჩუენ შენნი უძლურებანნი, რომელნი ესე კეშმარიტად უძლურნი ვართ და ვერ შემძლებელ ვართ ვნებათა ბრძოლასა წინა-

აღმდგომად. ესე ვითარი მრავალი სიტყვაჲ ურთიერთას მოუთხრეს, მერმე იწყო კაცად კაცადმან თხრობად, ვითარ აღასრულა ქადაგებაჲ თჳსი და ვითარ წარუმართა მადლმან უფლისამან პირად პირადითა ნიშებითა და სასწაულებითა.

მსმა მთავარსა ვონიფანტეს და მისთანათა მოსლვა წმიდისა მარკიანესი და მოვიდეს მიღებად კურთხევისა მისისა და მოიკითხეს იგი, რამეთუ იყვნეს ორნივე იგი წმიდანი მამანი ვითარცა ქეშმარიტად მოსე და აჰრონ და უფროსლა ვითარცა ანგელოზნი ღვთისანი და ყოველნი იხარებდეს ხილვითა მათითა. ეტყოდეს უკუე ერსა მას სიტყვათა ნუგეშინის ცემისათა და აკურთხნეს იგინი და წარავლინნეს სახედ თჳსად და მარადღე შეკრებოდეს ეკლესიად და მოიღებდეს კურთხევისა წმიდათა მათ მიერ მამათასა.

რამეთუ ღღესა კვირიაკესა წმიდამან მარკიანე აღასრულა საიდუმლოჲ იგი წმიდისა ჟამის წირვისაჲ და წმიდა ბაგრატ შეიმოსა მისთანა და მეცა მიბრძანა მათ თანა შემოსად, დავიწყეთ გალობასა წმიდისა ჟამის წირვისასა და, მორაჲ იწია ჟამი წმიდა არსისაჲ, აჰა ესერა ცეცხლი ზეცით მოვიდა და გარე მოადგა წმიდასა საკურთხეველსა, ვიდრელა ვერვინ იკადრებდა თუალთა შედგმად.

ხოლო აღესრულა რაჲ წესი იგი საიდუმლოთაჲ და ეზიარნეს ღმერთ შემოსილნი იგი მამანი და გარდამოიყუანეს წმიდაჲ იგი საიდუმლოჲ ზიარებად ერისა და ვერვინ იკადრებდა მიახლებად, რამეთუ ვითარცა ცეცხლსა ხედვიდეს მას. ცნა მიზეზი იგი შიშისაჲ მის ნეტარმან ბაგრატ და ჰრქუა ერსა: მოვედით, შვილნო, მიიღეთ ნათელი და პირთა თქუენთა არა ჰრცხუენეს.

რამეთუ ესე სახც საწინასწარმეტყუელოთა სიტყვათა შინა მოსწავებულ არს, რომელმან შექმნა ანგელოზნი მისნი სულად და მსახურნი მისნი აღად ცეცხლისა, ესე არს მოხილვაჲ სულისა წმიდისაჲ, რომელი იდიდების მამისათანა და ძისა. ესე რაჲ თქუა მან, მივიდეს და შეუფრდეს ძმანი და ეზიარნეს კელთაგან წმიდისა მარკიანესთა და აღასრულეს წმიდაჲ საიდუმლოჲ და განუტევეს ერი იგი, რომელნი აღიდებდეს უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა, რომელი განკორციელდა წმიდისა ქალწულისაგან სულისა მიერ წმიდისა.

დაყო უკუე წმიდამან მარკიანე ნეტარსა ბაგრატის თანა ათხუთმეტი ღღეჲ და მარადღე ზრახვიდეს სიტყვათა საღმრთოთა და გამოეძიებდეს წესთა მათ დადებულითა წმიდათა მოციქულთა მიერ და ყოველივე ერთბამად დაამტკიცეს, რათა ერთი წესი და კანონი

აქუნდეს მათ. და წარკდეს რაჲ დღენი იგი, ჰრქუა დიდმან მარკიანე წმიდასა ბაგრატს: მოშუერ, ძმაო, ჩემთანა სვრაკუსედ, რათა იხილნე შეილნი იგი შენნი და დაამტკიცნე.

მიუგო წმიდამან ბაგრატ და ჰრქუა მას: უკეთუ შენ ესრეთ არა უღირს იჩინე მოშრომად სიგლახაკისა ჩემისა, რავდენმე უფროჲს თანა მაც შედგომად სიწმიდისა შენისა. მაშინ მოუწოდა ჭნეთა ეკლესიისათა, უბრძანა მოსწრაფებით აღსრულებად კანონისა ყოვლისავე და ეპიტანე დაუტევა მათ ზედა-მდგომელად. და ესრეთ შთავედით ზღუად და მთავარი ვონიფანტე ჩუენ თანა და სხვანი მრავალნი, რომელნი იგი მოვიკითხენით და აღვედით ნავად და მიმწუხრამდი ქართა ჰაერ კეთილითა მივიწიენით სვრაკუსედ და აღვედით სენაკად დიდისა მარკიანესსა.

მსმა რაჲ მოწაფეთა მისთა, სრბით გამოვიდეს და ტირილით ამბორს უყოფდეს მას. ჰრქუა მათ წმიდამან მარკიანე: რაჲდ სტირთ, შეილნო? მიუგეს მათ და რქვეს: რამეთუ არღარა მოველოდეთ ხილვასა შენსა, მამაო წმიდაო, რამეთუ ეშმაკნი არა წმიდანი ღამით უცნებათა იქმოდეს მრავალთა და გუეტყოდეს ჩუენ: განვედით საყოფელთაგან ჩუენთა, განგუეშორენით ჩუენ, რამეთუ ჩუენ მოძღვარი თქუენი მარკიანე ზღუასა დავანთქით. ჰრქუა მათ წმიდამან მარკიანე: და რაჲ ზომ მოგეახლებოდეს თქვენ? მიუგეს მათ: ვითარ ქვის სატყორც ოდენ. ჰრქუა მათ ნეტარმან მან: ნუ უკუე უძლესა თქუენგანისა ვნებად ვისსამე ანუ მოახლებად, ამისთვის ნუ სადა მშიშვით უცნებათა მათთაგან.

შევედით უკუე, აღვასრულეთ ლოცვაჲ და დავსხედით. ესმა მოსლვაჲ ჩვენი გორდიოს და სელევკოსს მთავართა და მოვიდეს ერთთა მრავლითა და კერეონებითა, რათა იკურთხნენ წმიდისა ბაგრატისაგან. ხოლო წმიდანი იგი აღვიდეს ადგილსა მალალსა და აკურთხეს ერი იგი და აღახუნეს პირნი მათნი და ასწავლიდეს მათ სარწმუნოებისა თვს და სასუფეველისა თვს ცათაჲსა, ადგომისა თვს მკუდართასა და მოსლვისა თვს. მეორედ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა. და იყო საკვრველი, ვითარ ორთა პირთაგან ერთი სიტყვაჲ გამოვიდოდა, ვითართა ორთა სანთელთაგან ერთი ნათელი და ორთა წყაროთაგან ერთი წყალი, რამეთუ დადაცათუ ორნი იყვნეს იგინი, არამედ სული წმიდა, რომელი მოსცემდა მათ სიტყვასა, ერთ არს განუყოფელ.

და დასცხრეს რაჲ სიტყვად, უბრძანა დიდმან მარკიანე მთა-

ვართა და ერსა მას, რათა შეუვრდენ ნეტარსა ბაგრატს და იკურთხნენ მის მიერ. და ესე რაჲ ქმნეს, აკურთხნა წმიდამან ბაგრატ იგინი და უმრავლესთა ამბორისყოფით მოიკითხვიდა. და ესრეთ წარვიდეს ერნი იგი და იტყოდეს: დიდება შენდა იესუ ქრისტე, ნათელიო ქეშმარიტო, რომელმან განგვანათლენ წმიდათა მოციქულთა შენთა მიერ მარკიანესა და ბაგრატისსა. და შემდგომად სამისა დღისა თქუა დიდმან მარკიანე: უკეთუ გნებავს, მამაო წმიდაო, წარვაგლინოთ ძმისა ონისიფორესთჳს, რათა მოვიდეს და მიიღოს ლოცვაჲ შენი.

ხოლო ესე ნეტარსა ბაგრატს და მეყსეულად წარავლინეს ძმაჲ ერთი და აუწყეს მოსლვაჲ წმიდისა ბაგრატისი სვრაკუსედ ნეტარისა მარკიანეს თანა. და აღივსო სიხარულითა ღირსი ონისიფორე და მეყსეულად წარმოემართა და სხვანიცა წარჩინებულნი კაცნი მათ კერძოთანი. და მოიწინეს სვრაკუსედ და, იხილნა რაჲ წმიდანი იგი მამანი ბაგრატ და მარკიანე, შეუვრდა ფერკთა მათთა. ხოლო მათ აღადგინეს იგი და ამბორს უყვეს და ჰრქუეს: კეთილად მოხუედ, მკედარო ქრისტესო. რაჲ მიგავგოთ შენ შრომისა მისთჳს, რომელ თავს იღევ სახელისა თჳს ქრისტესისა. მან თავადმან მოგეცინ სასყიდელი შენი უხუებით დღესა მას, ოდეს მიაგებდეს კაცად კაცადსა საქმეთა მათთაებრ. მოვიდეს კაცნიცა იგი, რომელნი იყვნეს ონისიფორეს თანა, და იკურთხნეს წმიდათა მათ მამათაგან და აქუნდა ძლუენი თათლი შუენიერი, ცკლი და ხილი თითო სახე.

ხოლო ღირსმან ონისიფორე ჰრქვა ნეტართა მამათა: უფალნო ჩემნო, აჰა ესერა შენებაჲ ეკლესიისაჲ ლოცვთა თქუენითა აღსრულებულ არს, გვედრები, რათა მოხვიდეთ, აკურთხოთ იგი და დაგვამტკიცნეთ ჩვენ. ესე რაჲ ესმა ნეტარსა მარკიანეს, ჰრქუა წმიდასა ბაგრატს: ყავ სიყვარული, წარვიდეთ ზოგად ძმისა ამის თანა. მიუგო წმიდამან ბაგრატ და ჰრქუა: შემინდევ, მამაო, მივისწრაფი ქალაქად ჩემდა, ნუ უკუე მცირს იგი სამწყსო შეარყიოს მტერმან, ვითარცა იგი მოწაფენი შენნი გვთხოვდეს, ვითარმედ არა ყოფასა მას შენსა განსაცდელნი მოაწინა მათ ზედა. აწ უკუე ლოცვითა შენითა მე წარვიდე და ეკლესიაი იგი ამის ძმისა მიერ აღშენებული შენმან სიწმიდემან დაამტკიცოს. და მოიღო ქარტაი და დაწერა წესისა ებრ წმიდათა მოციქულთასა, რათა აქუნდეს კელმწიფებაი წმიდასა მარკიანეს, სანახებსა სადაცა ქადაგა ღირსმან

ონისიფორე და იგიცა თვით ონისიფორე მისსა კელმწიფებასა ქუე-
შე იყოს.

ესე ყოველი განავეს წმიდათა მათ მამათა და, შემდგომად შვი-
ლისა დღისა, მოიკითხეს ურთიერთას და 'შევედით ნავად და წარვე-
მართენით ტავრომენით კერძო. ხოლო ვიდრელა სვრაკუსს ვიყვე-
ნით, გამოეცხადა ნეტარსა ბაგრატს აკკლიანეს თჳს მეფისა, ქუე-
ყანისა მის კალაფრისა, რომელი იყო ტომისაგან პირველისა მის
აკკლიანესა, რომელსა ეწოდებოდა ანთემი, ვითარმედ შეუკრებიეს
ერი ვითარ ექვსასი ათასი და მოვალს ბრძოლად ქალაქისა ტავრო-
მენისა. და ესე ჩვენება რაი იხილა, არავის გამოუცხადა, გარნა
ხოლო დიდსა მარკიანეს, რათა იგიცა ლოცვითა თანა შემწე ეყოს,
ამისთვისცა შეისწრაფა შექცევად ქალაქად თჳსად.

ხოლო მორაი ვიწინით ტავრომენიას, ვონიფანტე მთავარი
და მისთანანი მოგუეგებნეს და სიხარულით შეგვიწყნარეს და შე-
ვედით ეკლესიად და აღვასრულეთ სამწუხროი გალობაი და ხვა-
ლისა დღე შემოკრბა ყოველი იგი ერი. ხოლო წმიდამან ბაგრატ
აღასრულა ქრისტეს საიდუმლოი და აზიარა ერსა მას კორცი და
სისხლი ქრისტესი, უფლისა და მაცხოვრისა ჩუენისა.

და ვითარცა განიყარა ერი იგი, მოუწოდა მთავარსა თჳსსაგან
და ჰრქუა მას: რომელსა ეგე გეტყჳ, შვილო, ეამისად ნუ ვის აუ-
წყებ, ნუ უკუე შეშინდეს ერი ესე, რამეთუ ეშმაკსა განუმზადებია
განსაცდელი ქალაქსა ამას ზედა, არამედ უფალმან განაქარვნეს
ზრახვანი მისნი, რამეთუ შესრულ არს გულისა აკკლიანესსა, რათა
ყოს ბრძოლაჲ თქუენდა მომართ ძიებად სისხლისა პირველისა მის
აკკლიანესსა, რომელი იგი მოკლა ტავრო, რომელი იგი წერილ
არს წიგნსა შინა მატიანეთასა ქალაქისა ამის, რომელ ოდესმე ამო-
მიკითხე და, უკეთუ გნებავს, კუალად წარვიკითხოთ იგი, რათა
სცნა, თუ რომლისა მიზეზისა თჳს ახალი ესე აკკლიანე განიზრა-
ხავს ბრძოლად თქვენდა.

მაშინ ბრძანა მთავარმან მოღებაჲ მისი მეგანძურთა უხუცესსა
და წარკითხვად წიგნი იგი მატიანეთაჲ, რომელსა შინა ეწერნეს
საქმენი პირველთა ნათესავთანი და, მორაჲ იღეს იგი, ვძებნეთ და
ვპოეთ ტავროჲს და მენიაჲს და რემინდოჲს თჳს და აკკლიანე მე-
ფისა კალაფრისა და მიბრძანა მე დიდმან ბაგრატ კითხვად, რამეთუ
ვიყვენით მე ხოლო და მთავარი ნეტარისა მის თანა და აღმოვი-
კითხე, სადა იგი წერილ იყო ესრეთ:

რემინდოს და აკვლიანე მეფენი იყენეს მახლობელ ურთიერთას და აქუნდა რემინდოს ზღვიდგან აღრიახსაჲთ და ვითარცა შთავალს რიგს ქვეყანამდე, რომელსა ეწოდების მთაჲ პელორი და რულოიგი კასტორ და ტროფეკი და წყალი იგი როასკოასაჲ და ზღვის პირამდე სალინოასა. ესე ყოველი აქუნდა რემინდოს. ხოლო აკვლიანეს აქუნდა მასცა ქვეყანა ფრიადი და ერი დიდი და ქალაქნი ძლიერნი მისევე ზღვის პირისაგან სალინოასა ვიდრე მთამდე ხერხოვანთა და ქალაქამდე ტარანტოასა და კონქილე მდინარემდე. ხოლო რემინდოს უმცირეს იყო ძალითა აკვლიანესსა, ვიდრელა ხარკსაცა მისცემდა მას წლითი წლად, არამედ აკვლიანე განიზრახვიდა, რათა სრულიად განიოტოს იგი. და ქუეყანანი მისნი აღიხუნეს და ცოლიცა მისი მენია, რამეთუ იყო იგი ფრიად ქმნულ კეთილ და იყო რემინდოს ნათესავთაგან ჩრდილოასათა მწითურთა, ხოლო მენია მაკედონელ და ზეცისა განგებულებასა ხადოდა, რამეთუ ესე ყოველნი პირველ ქრისტეს ქვეყანად მოსლისა იყვნეს.

იწყყო უკუე აკვლიანე ზედაჲს ზედა ბრძოლისა ყოფად რემინდოჲს მიმართ.

ხოლო თესლ-ტომი ტაფროასი ესრეთ იყო: ესე ტაფრო ძლიერი ძალითა ნათესავით ქანანელი იყო და მასვე ქვეყანასა ქამისსა იშვა. ტომისაგან იყო ნებროთისსა, რომლისა თჳს დაბადებასა შინა წერილ არს, მეათედი ნათესავი იყო ტაფროს ნებროთისგან გმირისა. აღვიდეს უკუე მტერობანი *) ასურეთით და დაიპყრეს ერთი ქალაქთაგან ქამისთა და წარტყუენეს იგი და ტყუპ იგი მოიყვანეს ასურეთად. და იყო ტყუეთა მათ შორის ტაფროსცა დედითურთ თჳსით, ვითარ ათოთხმეტის წლის ოდენ და, იწყეს რა ნატყვენავისა მის განყოფად, იხილა განმყოფელმან მან ნატყვენავისამან ყრმაჲ იგი შუენიერ იყო, დამალა იგი დედითურთ მისით მონათა თჳსთა თანა.

ხოლო მენავეთ მოძღვარი ვინმე ჰრომით იყოფოდა და მაშინ ასურეთს ვაჰრობდა, მისცა ოცდა ათი დრაჰკანი ქანდაკებული კაცსა მას და იყიდა ყრმაჲ იგი და დედაჲ მისი და, შევიდოდა რაჲ ჰრომედ, მოკდა ქარი სამხრით კერძო მძაფრი და არა მიუშუა ჰრომედ მისლვაჲ, არამედ ჰირით რიგისა წიაღსა შევიდა, ცნა რემენ-

*) № 50 სწერია: მტეობარნი.

დოს მისლვაჲ მუნ ესე ვითარისა დიდისა ნავისაჲ და შთავიდა ხი-
ლვად მისა და პოვა ყრმაჲ იგი ტავროს ვილოდა რაჲ ნავისა ფრთე-
სა ზედა და სთნდა მისი იგი სიმკვრცხლს, გამოვდა მენავეთ მო-
ძლუარი და თაყვანისცა მას. ჰკითხა რემინდოს: ვინაჲ მოხუალ
ანუ რაჲ გიტვრთავს. მიუგო მენავეთ მოძლუარმან და ჰრქუა: ასუ-
რეთს აღვაგე ნავი ჩემი თითო ფერითა სავაჰროჲთა და ჰრომედ
შთავალ. ჰკითხა კუალად ყრმისა მისთვის: ვისი არს ყრმაჲ ესე? მი-
უგო მენავეთ მოძლუარმან: უფალო, მე, მონამან შენმან, ვიყიდე
ეგე. მაშინ რემინდოს მისცა სამეოცი დრაჰკანი და იყიდა ყრმაჲ
იგი და დედაჲ მისი და სხვა როკიკი ფრიადი მენავეთ მოძლუარსა
მას უბოძა და ესრეთ წარგზავნა თვსად ქალაქად ჰრომედ.

წარიყუანა უკუე რემინდოს ტავრო და დედაჲ თვსი ქალაქად
მისად სალინოდ. იხილა რაჲ ცოლმან რემილოჲსმან, სთნდა ფრი-
ად სიკეთე ტავროჲსი, იყო მაშინ ცოლი იგი რემინდოჲსი მენია,
ათურამეტისა წლისაჲ, დედაკაცი გონიერი და ბრძენი. იხილა რაჲ
დედაჲ ტავროჲსი, შეშურდა, ნუ უკუე ქმარმან მისმან შეიყვაროს
იგი, მისცა წამალი სასიკუდინეჲ და მოკლა იგი. იხილა რაჲ ტა-
ვროს სიკუდილი დედისა თვსისაჲ, მწუხარებისაგან დასნეულდა იგი,
ვიდრელა იტყოდეს ყოველნი, თუ მოკუდებისო. და შეწუხნა მის-
თვის რემინდოს ფრიად. ხოლო მენია მიაწვინა იგი ცხედარსა ზედა
კეთილად დაგებულსა და ყოვლით კერძო ნუგეშინის სცემდა და
ეტყოდა: ნუ მწუხარე ხარ, ყრმაო, რამეთუ დაღაცათუ დედაჲ შე-
ნი მოკუდა, არამედ მე ვიყო შენდა მის წილ დედად.

მსრეთ მრავალ სახედ შეიტკობდა და ნუგეშინისცემდა მას,
ვიდრემდის დაივიწყა მან დედაჲ თვსი და შეეყო გულითა სიყვა-
რულსა დედოფლისა თვსისასა და ითხოვა ქამადი. ხოლო მენია
თითო ფერთა სანოაგეთა მისცემდა, ვიდრელა განაძლიერა და აღა-
დგინა სნეულებისა მისგან.

იხილა რაჲ რემინდოს სიმხნს ყრმისა მის, მისცა სწავლად
ცხენოსნობისა და ყოვლისავე სამკედროჲსა საქმისა. და წარაჲ-
კდა ხუთი წელი, იქნა ტავროს კაცი გრძელი და ძლიერი ფრიად
და იცოდა თითო სახს წესი ბრძოლისა: მოისრობაჲ და ქვისა
ტყორცებაჲ, ჰოროლი და ლახვარი და ბრძოლაჲ კრმლითა კეთი-
ლად და იტყვნ რემინდოს მარადის, ვითარმედ დიდი გამარჯუებაჲ
იქნა ჩემი მოგებაჲ ამის ყრმისაჲ. ვიდრელა აკვლიანესცა ესმოდა
ახოვნებაჲ ტავროჲსი და უკვრდა.

რამეთუ მშვილდსა მისსა სხვა ვერვინ შემძლებელ იყო გარდაცუმად და ტვირთი, რომელი სხვათა ძლით იტვრთიან ბეჭთა ზედა, მან ერთითა კელითა წარიღის. და იყო გონიერიცა ფრიად, და ღონის მომპოვნებელ, რამეთუ, შერაჲ კრბიან მოყუასნი მისნი სუმად და განცხრომად, ვერცა ვინ ძალითა სწორავენ, ვერცა ვინ იგავთა მისთა უძლის აკსნად განცხრომასა მათსა შინა, იტყოდიან რაჲ ურთიერთას იგავით.

ღა ღღესა ერთსა შინა განსცხრებოდეს რაჲ ზღვს პირსა, შეკრბა მუნ ნახირი ზროხათაჲ, რომელთა შორის იყვნეს კურონი ღიდნი ფიცხელნი, რომელთა ვერვინ იკადრებდა მიახლებად. მაშინ უპყრა ტავროს ერთსა კუროსა, ყოველთა უდიდესსა და უფიცხელესსა, დასცა და შეკრა და დამოიკიდა ერთითა კელითა. ამას ზედა ყოველნი განკვირდენ სიმკნესა ტავროსსა და ამას ყოველსა ზედა არა შეერეოდა ყოვლადვე საქმეთა ბილწთა, არცა საწოლი დედაკაცისაჲ იცოდა, რამეთუ ესმოდა ბრძენთაგან, ვითარმედ სიძვაჲ დამკსნელი არს ძალისაჲ და ახოვნებისა მადნებელ. ხოლო მათ ღღეთა შინა მოვიდა აკვლიანე ერთთა ღიდითა მოოკრებად ქვეყანათა რემინდოხსთა და უფლებად ქალაქთა მისთა და მისაცა შეპყრობად. განვიდა რემინდოსცა წინა განწყობად მისდა ერთთა უმცირესითა და იყო ტავროსცა მისთანა. და იყო რაჲ ბრძოლაჲ ძლიერი, მიუქცია ტავროს ერთ კერძო რემინდოხსა ცემად ვისამე მბრძოლთაგანისა და მოქცევისა მას მისსა მოიკლა რემინდოს. ხოლო მორაჲ იქცა და პოვა უფალი თვსი მოკლულთა და ყოველნი მისთანანი მოკლულნი და ზოგნი მეოტნი, აღიქუა ცხენსა ზედა უფალი თვსი და ივლტოდა იგიცა წარლებად გუამისა მის ქალაქად და, ეწეოდეს რაჲ მდევარნი, იგი მოიქცის და ჰბრძან და მოქცევისა მას შინა მოკლა ვითარ ერგასის კაც ოდენ.

იხილეს რაჲ სხუათა, შეშინდეს იგინი და არღარა დევნა უყვეს. წარვიდა იგი და აუწყა მენიას სიკვდილი ქმრისა მისისაჲ. ხოლო მას ესმა რაჲ, დაიპო სამოსელი თვსი და დაისხა ნაცარი თავსა თვსსა და იგლოვდა იგი ქმრისა თვსისა თვს.

შემდგომად ღღეთა რავდენტაჲე ჰრქეა ტავრო მენიას: ჯ დედოფალო ჩემო, რასა ესრეთ იგლოვ, ნუგეშინის ეც თავსა შენსა, და, ვითარცა იგი ოდესმე მარქვ მე, ვითარმედ მე ვიყო დედისა წილ შენისა და ნუგეშინის მეც, აწ უკეთუ გნებავს და შემეყვარო მე ქმრისა წილ შენისა, რამეთუ მე ქაბუკ ვარ და იგი ბერ იყო,

ვიძიო სისხლი მისი, აწ უკუე მომეც მე სამოსელი იგი მისი ოქრო ქსოილი და ფარი მისი ოქრო ქანდაკებული და მახვილი მისი ოქრო შეჭედილი და წარვიდე. გამოიღო მენია და მისცა მას ყოველივე და ჰრქვა: წარვედ და უკუეთუ იძიო სისხლი ქმრისა ჩემისა, შენ იყო ქმარ ჩემდა. შეიმოსა მან სამკაული იგი და განვიდა და შეკრიბა ვითარ ექვს ათას კაც ოდენ და ჰრქუა მათ: მოვედით, წარვიდეთ ბრძოლად აკვლინესსა. მიუგეს და რქუეს მათ: ვითარ წარვიდეთ ექვსი ათასნი ბრძოლად ოთხმეოცისა ათასისა? ჰრქვა მათ: შემომიდეგით მე, რამეთუ იგინი აწ უზრუნველ ქმნულ არიან, ვინაითგან უფალი ჩუენი მოიკლა და დავესხნეთ მათ და მოვსწყვიდნეთ, უკეთუ მერჩდეთ მე. წარვიდეს კაცნი იგი მისთანა და რქუა მათ ტავროს, განიყვენით სამ ათასნი ერთ კერძო და სამ ათასნი ერთ კერძო და მე საშუალ მხოლოდ წარვიდე მსტოვრად, რათა ვცნა, თუ რასა იქმან იგინი.

წარვიდა ტავროდ და პოვნა ექუსნი მცველნი გზისანი, სადა იგი ლაშქარსა მას დაებანაკა, ზედა მიუკდა მათ და სამნი იგი მოკლნა და სამნი შეკრნა და მოიყუანნა სხუათა მათ მოყვასთა მობართ. ამას ზედა იგინიცა ნუგეშინის ცემულ იქმნეს და ცნეს კაცთა მათგან, ვთარმედ ყოველნი მთვრალნი არიან და არა ჰქონან სხვანი გზათა მცველნი, გარნა ჩვენ ხოლო. მაშინ სამთა მათ კაცთა თავები წარჰკუეთეს და წარვიდეს სამ ათასნი მარცხულ და სამ ათასნი მარჯულ და შორის მათსა ტავროს და ესხნეს მათ ზედა და კმა ყო ტავროს, ვითარცა ლომი რაჲ იზახინ, და განჰკრთა ერი იგი. მაშინ დაესხნეს ექვს ათასნი იგი და მოსწყვიდეს ორმეოცი ათასი მბრძოლთაგან აკვილინესთა. ხოლო აკვლინე იელტოდა სხვათა მათ თანა და შევიდა მელოდონ ქალაქად. მოიქცა ტავროდ და მისთანანი სიხარულით და ყოველნი შეასხმიდეს ტავროს და იტყოდეს: ღირს არს ესე მთავრად ჩუენ ზედა. მივიდეს მენიაჲსა და ჰრქვეს: დედოფალო, ჩუენ ყოველნი მონანი ვართ ტავროჲსნი, რომელმან წარგვძლვა წყობასა ამას და განჰარჯვებამი ესე ღიდი ქმნა. აწ უკუე შენცა ცოლ ეყავ მას და იყოს იგი, ვითარცა რემინდო, უფალ ჩუენდა.

მაშინ შეკრბა ერი იგი და ყვეს ქორწილი და მისცეს ტავროს მენია ცოლად და ყოველი სიმდიდრე მისი, და მაშინდა იცნა ტავრო საწოლი დედაკაცისაი და კმა ეყო მას მენია და არა ინება სხვისა დედაკაცისა მიახლებად.

მსრგეთ იქმნა ტავროს და მენიას შეყოფაი და დაივიწყა რემინდოს მენია.

მაშინ აღიღო ტავროს ერი თვსი და ყოველი მონაგები და ცოლი თვსი მენია და განვიდა სიკილიად, რამეთუ იყო ქუეყანა იგი კეთილ და პოვა ადგილი ესე და აღაშენა ქალაქი ესე, რომელსაცა უწოდა ტავრო მენია სახელსა ზედა თვსსა და ცოლისა თვსისასა და ყოველი იგი ქუეყანა სიკილიისაჲ დაიმორჩილა.

ხოლო მენიას ჰყვა მისანი კელოვანი, რომელმან უპოვა მას კელოვნებაჲ ოქროსს გამოდნობისაჲ, რომელსა ეწოდების ქიზიაჲ და ქმნა ოქროჲ ფრიადი და ვეცხლი და რვალი რკინაჲ და კალაჲ და ბრპენი ურიცხვი და ესრეთ განამდიდრეს ქალაქი მათი და ყოველი ერი თვსი.

მსმოდა ესე ყოველი აკკლიანეს, ვითარმედ ტავრო ქალაქი დიდი და ძლიერი აღაშენა და სიმდიდრს ფრიადი მოიგო და კელოვნებაჲ ქიზიასაჲ მოიპოვა.

იწყლა გული მისი და ერისა კრებაჲ ყო, ვითარ ექვსასი ათასი მბრძოლი და წიაღელო სიკილიად და დაფარნა ველნი სიმრავლემან ერისა მისისამან და დაიზახნეს ერთბამად ყოველთა კმითა სასტიკითა. ესმა რაჲ ერსა ტავროსსა, განჰკრთა გული მათი ზახილისა მისგან. შეკრიბნა ტავრო ყოველნივე და ეტყოდა: ნუგეშინინ, რამეთუ ვერაჲ გუაენოს ჩუენ აკკლიანე. და მეყსეულად აღვდა ადგილსა მალაღსა და დაიზახნა, ვითარცა კმა ერისა მრავლისაჲ: აქა ვარ მე, ტავროს, და არა მეშინის მე შენგან, აკკლიანე. ხოლო ერი იგი ტავროსსა მტირედ იყო; ვითარ სამეოცდა ათი ათასი ოდენ და იტყოდეს ურთიერთას, ვითარ ვჰბრძოდით ჩუენ ესოდენსა ერსა და მოვსწყდეთ ვითარცა რემინდოსს ზე: მოვედით და მოგვკლათ ტავრო და მივსცეთ მენია და ქალაქი ესე აკკლიანეს და იყოს ერთი სამეფო კალაფრიაჲ და სიკილიაჲ.

ცნა ტავროს ზრახვაჲ მათი, მიხედა მათ თუალითა მკსინვართა და ჰრქუა: რაი ეგე განიზრახეთ, კაცო უგულონო და ორგულონო, მოვედით წინა განვეწყვნეთ მათ და მე პირველ შევიდე ბრძოლად. უკეთუ ვიძლიო, მერმე ქმენით, რაი ეგე განიზრახეთ. უარ ყვეს მათ სიტყვა ესე და ჰრქუეს: შენთანა მოვსწყდეთ ჩუენ.

და განეწყვნეს რაი ორნივე იგი ბანაკნი, მიუვლინა ტავრო აკკლიანეს: შენ ხარ აკკლიანე, სახელოვანი ახოვნებითა და მე ვარ ტავრო, ყრმაი შეურაცხი და ერი ესე ჩემი წადიერ არს მონებად

შენდა და ყოვლისა სიმდიდრისა ჩემისა მოცემად. აწ რად საკმარ არს შენდა ბრძოლად და მოწყვედად ერისა, განმზადებულისა მონებად შენდა. გამოვიდ და მებრძოლე დიდი ვგე აკვლიანე მცირესა ამას ტავროს ველსა ზედა და მომკალ მე და მიტრითგან შენი არს ყოველივე და მენიაცა, ცოლი ჩემი.

მსმა ესე აკვლიანეს და მიუგო მან ესრეთ: ტავროს, მონაო რემინდოხსაო, მოხარკისა მის ჩემისაო, სათნო არს ჩემდა სიტყუაი შენი, განვიდეთ ველად და, უკეთუ მძლე მექმნა მე, შენდა იყავნ ყოველი სამეფო ჩემი.

ხოლო განრახ ვიდეს შემთხუვეად ურთიერთას, მოდრკა ტავროს ეტლისაგან და აღიღო ქვაჲ, რომლისა სიმძიმე იყო ოცდა ოთხი ლიტრა, განსტყორცა იგი და სცა მკერდსა აკვლიანესსა და შემუსრა იგი და მირბიოდა, უპყრა მას და წარჰკუეთა თავი. ესე რახ იხილეს ერთა აკვლინესთა, ზარი დაეცათ.

მაშინ დაიზახნა ტავრო და ჰრქუა ერსა თვსსა: მოსწყვდენით კაცნი ვგე მოსისხლენი, რამეთუ დღეს ზეგარდამო განგებამან ბედი კეთილი მოგვცა ჩვენ. შეერინეს სჟეოცდათი იგი ათასი ტავროჲსი და მოსწყვიდნეს ხუთას ერგასისი ათასი. რომელნიმე მახვილითა მოსწყვიდნეს, სხვანი ზღვასა შთაცვივეს, სხვანი მთასა ეტნისსა აღვიდეს და სოფლიოთაგან მოისრნეს.

ღა ეუფლა ტავრო ყოველთა და ქება ყოველთა შეასხეს და ჰორფირი და გვრგვნი აკვლიანესი შეჰმოსეს მას. ხოლო მან წიაღვლო და ქალაქნი აკვლიანესნი წარმოტყუენნა და სიმდიდრე მისი წარიღო და იქმნა მეფე ყოვლისა მის ქვეყანისა, მსგავსებისა ებრნებროთისა, რამეთუ იყო ხილვით საშინელ, ჰასაკითა გრძელ, მკლავითა ძლიერ, ვითარცა ლომი, ფერკითა მალე, ვითარცა ქურციკი, მშვლდი მისი არს ვიდრე მოაქამდე და ვერ ვინ სადა გარდააცუა და ჰოროლი მისი, ვითარცა ღირე სახლისა დიდისაჲ და ფარი მისი ოთხ მხარ და სარტყელსა მისსა ვერვის ეძლო ზე აღებად. და იქმნა იგი მხნე ბრძოლასა, რომელ ვერ სადა წინააღუდგებოდა მას ნათესავ ანუ მეუფებაჲ, ვიდრეცა მიიწია და ქალაქნი ძლიერნი აღაშენნა. ხოლო მენია უქმნა მას საყდარი ოქროჲსაჲ, თვლითა ანთრაკითა და ზამარლდითა შემკული და ყოველნი გარემო ქვეყანანი ხარკსა მისცემდეს მას. აქამდინ არს სიტყვაჲ ტავროჲსთვს.

მსე ყოველი რახ ესმა ნეტარსა ბაგრატს, ჰრქვა ვონიფანტეს:

აწ, შეიღო ჩემო, ამის ბრძოლისა, რომელი მაშინ იქმნა, და სი-
სხლისა მის ძაებად განმზადებულ არს ახალი აკვლიანე, რომელი
ესე ზომთა ჟამთა შემდგომად, აღდგომილ არს თესლისაგან მისისა,
არამედ აწ უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან არცხვნოს მას, რა-
მეთუ ესე ყოველი ღონე არს ეშაჰისაჲ.

მაშინ შეკრიბა აკვლიანე ექვსასი ათასი, ვითარცა პირველმან
მან აკვლინე და წიაღვლო ბრძოლად ტავრომენისა. და აჰა ესერა
აღივსნეს ველნი იგი ერთთა. ხოლო იპოა მაშინ ქალაქსა მას შინა
მკედარი ვითარ ორმეოცი ათასი და დაეცა მათ შიში სიმრავლისა
მისთვის ერისა მის. ესმა რაჲ ესე ნეტარსა ბაგრატს, განვიდა და
იხილა სიმრავლე ერისა მის, ილოცვიდა და იტყოდა: უფალო იესუ
ქრისტე, ღმერთო ჭეშმარიტ, იკსენ ერი შენი მბრძოლთა ამათგან
და განარინე სამწყსოჲ შენი, რომელი მოიყიდე პატიოსნითა სი-
ხლითა შენითა.

და ხვალისა დღე გარე მოადგა ერი იგი ქალაქსა და იწყეს
ბრძოლად თითო ფერითა სახითა ბრძოლითა და შეაიწრეს ერი
იგი ქალაქისაჲ, ვიდრელა სრულიად სასოებაი წარჰკუეთეს და სი-
ტყუათა დრტვინვისათა წმიდისა ბაგრატისთვის და ვონიფანტისთვის
მთავრისა იტყოდეს. ხოლო მთავარი ეტყოდა მათ: ნუ სულ-მოკლე
იქმნებით, ძმანო, ესერა მცირედ დღე შეკრბენ გარემო სოფლები-
სა მხედარნი ჩვენნი და წინა განვეწყვნეთ. მივიდა წმიდისა ბაგრა-
ტისაცა და ჰრქვა: მამაო წმიდაო, ლოცუთა შეგვეწიე ჩუენ, რამე-
თუ ერი ესე მოუძღურებულ არს.

მიუგო წმიდამან ბაგრატ და ჰრქუა მას: ესე ამისთვის იქმნა,
შვილო, რათა არა სთქუან, თუ ძალითა და მკლავითა ჩუენითა
ვიოტენით მტერნი ჩუენნი. აწ უკუე წარვედ და ესრეთ არქე ერ-
სა, ესრეთ იტყვის ბაგრატ: შვილნო ჩემნო და მონანო ქრისტეს-
ნო, ნუგეშინინ მტერთაგან, რამეთუ მკედარნი ხართ დიდისა მე-
უფისანი და რამეთუ დამაშვრალ ხართ, წარვედინ კაცად კაცადი
საყოფელად თვისად და განისვენენ და თქვენ წილ ებრძოლოს
მტერთა თქვენთა მეუფს, ქრისტე ღმერთი ჩუენი, ნუცა ვინ უკუტ
ქვასა სტყორცებს, ნუცა მშვლდსა გარდაცუამს, ნუცა ლახვარსა
აღიღებს, ნუცა მახვლსა გამოიღებს.

წარვიდა და მიუთხრა მთავარმან სიტყვა ესე ერსა მას და იტ-
ყოდეს იგი, ბრძოლასა შინა ვართ დიდსა და ესერა ერსა ზღუდე-
თაგან ვერ გარდავასხამთ და ვითარ მეტყუჱ შენ, თუ წარვედით, გა-

ნისუენეთ, ნუ უკუე გნებავს შენცა და მასცა, რათა მბრძოლთა მიეცეს ქალაქი ესე. ძლით უკუე დაარწმუნა ერსა მას და წარავლინა სახედ თვსად და არაჲინ დაშთა ზღუდეთა ზედა. და მოვიდა და ჰრქუა ნეტარსა ბაგრატს: ესერა სიტყუსა ებრ შენისა, მამაო, განვასხენ ყოველნი ზღუდეთაგან და მბრძოლნი ძრიელად ებრძვიან შემოსლვად. აწ უკუე, რაჲცა გეგულები, იქმოდე.

მაშინ ნეტარი იგი შეიმოსა სამღდელოაჲთა სამოსლითა და მიიღო კელთა პატიოსანი ჯვარი და მე მომცა ხატი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი და დიაკონსა ტატიანეს ხატი წმიდისა მოციქულისა პეტრესი და თქუა: წარვიდეთ წინა განწყობად მტერთა. წარვედით უკუე და აღვედით გოდოლსა მაღალსა, სადა იგი დაებანაკა მბრძოლთა მათ და შეზღუდა ჯვართა ქალაქი იგი ნეტარმან მან აღმოსავალით, დასავალით, ჩრდილოაჲთ და სამხრით და აღიპყრა ჯვარი აღმოსავალით და თქუა: აღადგინე ძალი შენი და მოვედ ცხოვრებად ჩვენდა, უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო და ნუ დაივიწყებ კმასა მლოცველთასა, მეუფეო ყოველთაო, სიტყუაო ღვთისაო და ძეო მხოლოდ შობილო მამისაო, ნათელო ნათლისაგან, ღმერთო ქეშმარიტ, ღვთისაგან ქეშმარიტისა შობილო და არა ქმნულო, გვედრები, რომელმან იხსნი გლახაკი ხელთაგან ძლიერისათა, ნუმცა წარიტაცებს ქალაქსა ამას წინააღმდეგომ, ნუცა შეუნდობ წარტყუენვად ამას ეშმაკისა მიერ, არამედ აღიღე ჭური და ფარი და აღსდევ მწედ, აღიღე მახული შენი მდევართა ჩუენთა თვს და დააყენენ იგინი ჩუენგან, უჩუენე მათ, უფალო, დიდება შენი და ძალი იგი უძლეველი ცხოველს მყოფელისა ჯვარისა შენისა მიერ და პატიოსნისა ხატისა მიერ, რომელნი მოგვცენ ჩუენ საჭურველად და ყავ მშვიდობა სამწყსოსა ამას შენსა და განსდევნე მათგან ყოველი უფულისხმოებაჲ და დაჰწერგე შენი მეცნიერებაჲ, რამეთუ დიდებულ ხარ უკუენითი უკუენისამდე. ამინ.

ღა აღასრულა რაჲ ლოცვაჲ იგი, აღიპყრა მაღლად წმიდა იგი ჯვარი და ჩუენ გვიბრძანა ამადღებაჲ ხატთა მათ პატიოსანთაჲ, რამეთუ ვდევ მე მარჯუენით მისსა და დიაკონი ტატიანე მარცხენით მისსა. მეყსეულად მიეფინა წინააღმდეგომთა მათ ბნელი და იწყეს ურთიერთას ბრძოლად და მოწყვედად. და იხილა რაჲ წმიდამან ბაგრატ, რამეთუ ურთიერთას მოსწყვედდეს, მოიდრიკნა მუკლონი და იტყოდა: უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო, განახუენ გულნი მათნი, რათა ცნან, ვითარმედ კელი შენი არს ესე და ესე

რაჲ ილოცა, ცნეს მტერთა მათ, ვითარმედ ურთი ერთას მოსწყუ-
ედდეს და ივლტოდეს გოდებით ქალაქისაგან. და ესმა ამბოხება იგი
ქალაქისათა და ჰგონებდეს, თუ მბრძოლნი იგი შემოვიდეს ქალა-
ქად, აღვიდეს ზღუდეთა და იხილეს, ვითარ იგი ხოცდეს ურთი-
ერთას, განცკბრდეს საკვრუელებითა და აღიდებდეს ქრისტესა. გა-
ნიყვნეს ურთიერთას ერისა მისგან მბრძოლთაჲსა ვითარ ოთხასი
ოდენ კაცი, დაყარეს საქურველი თჳსი, მოვიდეს ბჭეთა თანა ქა-
ლაქისათა, კმობდეს: შეგვწყალებით ჩუენ, კაცნო, მონანო ღიღისა
ღეთისანო.

ბრძანა ნეტარმან ბაგრატ განღებაჲ ბჭეთა და შეწყნარებად
მათდა. და, შემოვიდეს რაჲ, შეუერდეს წმიდასა ბაგრატს და ეტ-
ყოდეს: შეგვიწყალებ დიდო ღმერთო ტავრო მენელთაო. ჰრქუა
მათ წმიდამან ბაგრატ: მე, შეილნო, არა ვარ ღმერთი, არამედ
მონაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი და მისსა სახელსა ვქადა-
გებ. და იწყო სწავლად მათდა წმიდათა წერილთაგან და ყვნა ქრი-
სტეანე და ნათელ სცა სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სული-
სა წმიდისაჲთა და სხვანი იგი ყოველნივე, რომელნი ურთიერთას
მახვილითა მოსწყდეს და მკირედნი დაშთეს და განიბნინეს თჳსთა-
ვე ქვეყანათა, რამეთუ იტყოდეს კაცნი იგი, ვითარმედ სამთა მზე-
თა ვხედდვდით ზღუდეთა ზედა, რომელთა ხილვითა დავბრმით და
ვიწყეთ ურთიერთას ცემად და ბრძოლად.

მაშინ წმიდამან ბაგრატ უჩვენა წმიდა იგი ჯვარი და ხატნი
პატიოსანნი და ჰრქუა მათ: ესე არიან, შეილნო, სამნი იგი მზენი,
რომელთა ხედევდით თქვენ. მაშინ ყოველნი განკვრებულნი აღი-
დებდეს ღმერთსა და ასწავა მათ ყოველი წესი ქრისტეანობისაჲ და
წარავლინნა მშჳდობით ქუეყანად თჳსად. ხოლო აკურთხნა ხუცეს-
ნი და წარავლინნა კალაფრიას და ქადაგებდეს სახელსა ქრისტესსა.
და იქმნა ნეტარი იგი მიერთგან მოძღვარ კალაფრიისაცა, ვიდრე-
მდის წმიდა მოციქული პეტრე წარვლიდა რაშენს; და აკურთხა მან
სტეფანე ეპისკოპოსად და წარავლინა რიგს კალაფრიისასა.

მსე ყოველი რაჲ იქმნა მადლითა ღეთისათა, წარმავლინა მე
ნეტარმან ბაგრატ სვრაკუსად წმიდისა მარკიანესსა, რათა ვაუწყო
ყოველი იგი, რომელი ქმნა მადლმან ქრისტესმან. და მივედი რაჲ
და მიუთხარ ყოველივე დიდსა მარკიანესს, აღიპყრნა კელნი და მა-
დლობდა უფალსა უფროსად, რომელ იგი კალაფრიისცა წარავლი-
ნნა ხუცესნი წმიდამან ბაგრატ. და მიიხრა მე დიდმან მარკიანე

ნეტარისა ონისიფორესთვისცა, ვითარმედ კეთილად წარუმართა მას ღმერთმან და ვაკურთხე ეკლესიაჲ მის მიერ აღშენებული და ხუცესნი ათორმეტნი და იგი არს მას ყოველსა ზედა მოძღუარ. ესე ყოველი მაუწყა და ლოცვით წარმგზავნა. ხოლო მირაჲვედ და უთხარ ნეტარსა ბაგრატს ყოველნი სიტყვანი წმიდისა მარკიანესნი, აღიპყრნა კელნი და მადლი შესწირა უფლისა იესუ ქრისტესა.

ხოლო ნეტარსა მაქსიმინოსს, რომელი იგი ებისკოპოს იყო ქუეყანისა მის, ვინაჲ იგი გამოვიდა წმიდა ბაგრატ, რომელსა მიუთვალნა მოციქულმან პეტრე ყოველნი სახლეულნი ბაგრატისნი და ყოველი მონაგები და ეკლესიაჲ, რომელი სახლსა მისსა აღაშენა. ესმნეს ყოველნი იგი საკვრველებანი, რომელნი ქმნა მის მიერ ღმერთმან, აღაგნა ორნი ნაენი ზეთითა წმიდიითა და საკუმველითა სურნელითა. და მონათგან ბაგრატისთა მღდელობისა ღირს ქმნულნი კაცნი საღმრთონი წარმოაფლინნა სიკილიად მოკითხვად წმიდისა მის და, მორაჲ ვიდეს, იხილეს იგი და სავსენი ცრემლითა და სიხარულითა მოეხვნეს ფერკთა მისთა. ხოლო მან აღადგინნა იგინი და მოწოდებ მოიკითხნა და მრავალ დღე განუსვენა მათ და კვალად აღაგნა ნაენი მათნი ყოვლითა კეთილითა და წარავლინნა ნეტარისა მაქსიმინესსა და მიუწერა მოკითხვად და ყოველივე, რადენი ქმნა მისთანა უფალმან და ვითარ განულო კარი ქადაგებისაჲ, აუწყა მას. წარვიდეს მივლინებულნი იგი და ყოველივე ესე მიუთხრეს მაქსიმინეს ებისკოპოსსა და სხუათა მათ მოყვასთა თჳსთა უფლისა მათისა ბაგრატის თჳს და ყოველნი აღივსნეს სიხარულითა და ჰმადლობდეს უფალსა, რომელმან ესრეთ წარუმართა მას. ესე არიან საქმენი და სასწაულნი ნეტარისა ბაგრატისნი.

ხოლო აწ მოწვევულ არს ჟამი, საყვარელნო, მითხრობად აღსრულებასაცა მისსა, ვითარ იქმნა და ვითარ მიიცვალა საწუთროჲსა ამისგან ცხოვრებად საუკუნოდ. დღესა ერთსა შევედით ეკლესიად და ყო ლოცვაჲ და დავსხედით. მაშინ იწყო სიტყვად ჩემდა მომართ და რქვა მე: შვილო ევაგრე, უწყი პირველითგან ზრდილობაჲ ჩემი, ვინაჲთგან მშობელნი ჩემნი აღესრულნეს და ვიყოფოდე გოდოლსა მას. და მერმე მოვიდა წმიდაჲ მოციქული პეტრე და შეუდევ მას და წარმოაფლინა ქალაქსა ამას ქადაგებად სიტყუასა ღვთისასა. და აჰა ესერა უფალმან ჩემმან იესუ ქრისტემან ყოველსა ზედა წარმიმართა მე და თჳსითა სახიერებითა ესოდენნი ბევრეულნი ეშმაკისაგან იქსნნა და უწყი სახლისა მისგან მამულისა

ჩემისა შენ მხოლოდ გამოგიყვანე და აწ მადლითა ქრისტესითა იქმენ მამაკაც სრულ და ყოველი წერილი ისწავე და კურთხევაჲ ხუცობისაჲ კელთა ჩემთაგან მიიღე და ყოველი წესი ეკლესიისაჲ და კანონი იცი.

აწ უკუე მნებაეს, რათა შემდგომად აღსრულებისა ჩემისა მიიღო შენ საყდარი ებისკოპოსობისაჲ და გამცნებ წინაშე ღვთისა, რომელი ყოველსავე ხედავს, რომლისა წინაშე ყოველი წარდგომად ვართ, რათა ყოველივე წესი, რომელი მიგიღებდეს ჩემგან, დაიმაჩხო: შიშითა უფლისათა იყოფებოდე მარადის, შუებასა და განსუენებასა ნუ სადა ეძიებ, ეკლესიისა ზრუნვაჲ ფრიადი გაქენდინ, ნუ ვის მიაგებ ბოროტსა ბოროტისა წილ, არამედ ტკილ იყავ ყოველთა მიმართ და სახიერ და წყალობაჲ უფლისაჲ იყოს შენ თანა.

ხოლო შემდგომად აღსრულებისა ჩემისა წარიყვანე ვონიფანტე და სხვანი ღვთის მოშიშნი კაცნი და წარვედ ჰრომედ წმიდისა მოციქულისა პეტრეს წინაშე და მან მოგცეს კურთხევაჲ ებისკოპოსობისა, ვითარცა მე მომცა, რამეთუ, ვითარცა მესმა, წარუვლია ასიაჲ ქადაგებითა სიტყვისა ღვთისათა და მისრულ არს ჰრომედ. და მორაჲ იქცე მიერ, ნათელ ეც ვონიფანტეს და ყოველსა ზედა საკმარ შენდა იქმნას იგი. და, მო თუ იწიოს სადა შენ ზედა განსაცდელი, ნუგეშინინ, არამედ ვევედრე ღმერთსა და მყის შეგეწიოს იგი.

მსერა, შეიღო ჩემო, წინაშე ღვთისა ყოველივე უმჯობესი მომითხრობდეს შენდა, შენ უკუე კეთილად დაიმაჩნენ სიტყუანი ჩემნი, რათა გვრგვნოსან იქმნე ღვთისა მას საშინელსა ქრისტეს მიერ უფლისა ჩუენისა. ერსა ასწავებდი შეკრებად ეკლესიად და წმიდათა საიდუმლოჲთა შიშით და ძრწოლითმცა ეზიარებიან და კსენებასა წმიდათაჲ აღასრულებდით. ესე ყოველი დაიცევ, რათა იქმნე კეთილი ქრისტეს სამწყსოსაჲ და მაღლი მისი და მშვედობაჲ იყავნ შენთანა. ამინ.

ესე ყოველი მესმა რაჲ, აღვივსე ცრემლითა და მოვეხვიე ფერკთა მისთა და გული ჩემი მელმოდა ძლიერად. ხოლო მან მრქუა მე: აღსდგე აწ, წარვედ საქმესა საღმრთოსა. და კუალად, ოდეს უფალსა ენებოს, გრქუა შენ, რაჲ ჯერ იყოს, რამეთუ მის რომლისამე სანახებისა ხუცესი აღსრულებულ არს და აწ არს ჟამი მრავალი, ვინაითგან არა აღსრულებულ არს მუნ უსისხლოი იგი

მსხუერპლი. წარიყვანე უკუე შენთანა დიაკონი ტატიანე და აღასრულე წმიდა ჟამის წირვაი. ხოლო ჩვენ მივიღეთ ლოცვაი მისი და წარვედით გზასა მას, ვითარცა გვიბრძანა. და მათვე დღეთა შინა წარვიდა ვონიფანტე მთავარიცა გარეშეთა ქუეყანათა საქმისა რაჲსათჳსმე.

ხოლო ვაჲმე, საყვარელნო, ვითარმე უცრემლოდ მიგიტხრა მოწვევული განსაცდელი. იყო კაცი ვინმე უკეთური პრეტორსა მთავრისასა, სახელით არტაგარ, ქანანელი ნათესავით, ძმაჲ ავრილიანე ქალაქ პეტისაჲ და მამის ძმაჲ ურჩულოჲსა სელიდოსი. ამან ბოროტმან არტაგარ, მეორემან იუდა, მოკლა წმიდა მამა ჩუენი ბაგრატ, რამეთუ, წარვედით რაჲ ჩუენ გარეშე რაჲ სოფლებსა მას და ვონიფანტე მთავარიცა არა იყო ქალაქსა შინა და იყო ურჩულოჲ იგი არტაგარ, მნე პრეტორისაჲ, განიზრახა სხვათა თანა მსგავსთა მისთა და ჰრქუა მათ: მოვედით მოვკლათ ბაგრატ, რომლისა მიერ ღმერთნი ჩუენნი შეურაცხ იქმნეს და წესნი იგი მამულნი განქარდეს, რამეთუ გრძნებითა თჳსითა მთავარი ჩუენი ქრისტენე ყო და ყოველი ესე ქალაქი წარწყმიდა და აწ გვპოვნის ჟამი, რამეთუ არცა მთავარი არს შინა, არცა ევაგრე ხუცესი, მოვკლათ იგი და დავადლოთ აღგიღსა ფარულსა, რათა ყოველადვე ვერ ვინ ცნას. ესე განიზრახა ურჩულომან მან, შვილმან ეშმაკისამან, მსგავსთა მისთა თანა.

ხოლო ნეტარი ბაგრატ აღასრულებდა რაჲ ეკლესიასა შინა გალობასა ცხრაჲ ჟამისასა, მოვიდა მისსა კმა, რომელი ეტყოდა: ბაგრატ, ბაგრატ! და თქვა მან: აქა ვარ, უფალო. და კუალად ეტყოდა მას კმაჲ იგი: მოვედ, მონაო ბრძენო და სარწმუნოო, მიიღე განსუენებაჲ საუკუნეთა მათ კეთილთაჲ, რომელნი განმზადებულ არიან შენდა. ესე კმა ესმა ყრმასაცა მუნ მყოფსა, რომელი ჰმსახურებდა მას, რომელმანცა ესე ჩუენ გვაუწყა. ხოლო კრებულმან მან ეშმაკისამან წარავლინეს ერთი მათგანი მოყვანებად წმიდისა მის პრეტორად, რომელი იგი მივიდა და ჰრქუა მას: არტაგარ, მნე პრეტორისაჲ მოგიმცნებს, გვევდრები, თავს იღევ აქამდი მოშრომად, რამეთუ სნებითა ფიცხელითა შეპყრობილ ვარ და მნებაჲს ხილვაჲ შენი. ესე რაჲ ესმა მას, შევიდა ეკლესიად და მყუეჲარ ჟამ ილოცა და ეზიარა კორცსა და სისხლსა ქრისტესსა და კუართი თჳსი აღიძარცუა. ხოლო ზეწარი ოდენ შეიმოსა და წარვიდა პრეტორად, რომელ არს ტაძარი იგი მთავრისაჲ და პოა არა

წმიდა იგი კრებული სუმასა შინა და სიმღერასა, დაჯდა იგი კიდე და ჰრქუა მათ: ნუ ესრეთ, შეიღწო, ნუ იმღერით და ჰროკავთ, რამეთუ ესე საქმე საეშმაკოა არს. ხოლო იგინი უმეტესად იმღერდეს და კერპი ზცირე სკამანდრო მათისა მის ღვთისა მოიღეს საშუალ და იმღერდეს და თაყუანის სცემდეს მას.

ჰრქუა მათ წმიდამან: რასა იქმთ, უბადრუკნო, რად თაყუანის სცემთ ეშმაკსა მაგას. ხოლო იგინი შეურაცხ ჰყოფდეს მას. მაშინ ნეტარმან დასწერა ჯვარი და დაეცა კერპი იგი და შეიმუსრა წულილად. ესე რაჲ იხილეს ბილწთა მათ, დააკუთეს წმიდა იგი ქუეყანასა და იწყეს ცემად მისსა და თრევად; რომელნიმე არგნებითა სცემდეს და რომელნიმე მახვილითა და რომელნიმე ქვითა და ესრეთ მრავლითა გუემითა მოკლეს კაცი იგი ღვთისა, ბაგრატ სანატრელი.

ხოლო მან კმა ყო და თქუა: უფალო იესუ ქრისტე, კელთა შენთა შეგვგედრებ სულსა ჩემსა. და ესრეთ აღესრულა და მათ თქუეს: ვიხილოთ, თუ მოვიდეს ქრისტე და შეგგწიოს.

ამისა შემდგომად წარითრიეს წმიდა გუამი მისი და შთაადგეს ნაპრაღსა ერთსა კლდისასა შორს პრეტორისა მისგან. იხილა ესე ყრმამან ვინმე მორწმუნემან და კმა ყო: ჯ რაჲ ესე ჟუყვს ურჩულოთა წმიდასა ბაგრატს, ისმინეთ ყოველთა, ისმინეთ, წმიდაჲ ბაგრატ მოკლეს.

ხოლო მას ჟამსა არავინ იპოა მას კერძოსა. ესა უკეთურთა კმაჲ მისი და დევნა უყვეს, რათა მოკლან იგი და სივლტოლასა მისსა იპოა კლდე ერთი და შთაიგდო ყრმამან მან თავი თჳსი კლდესა მას. ხოლო უფალმან იესუ ქრისტემან მოავლინა ანგელოზი თჳსი და ზე იტვრთა იგი, რათა არა რაჲ ევნოს, რამეთუ მახლობელ არს უფალი მათდა, რომელნი ხადიან მას ქეშმარიტებით. წარვიდა ყრმაჲ იგი ზღვთ კერძო და დაიმაღლა.

იყო ჟამი მეხუთე დღისაჲ, ოდეს ნეტარი ბაგრატ მოკლეს და მეათესა ოდენ ჟამსა მოვიწიენით ჩუენ, ვინაჲ იგი წარვევლინენით ჩუენ და ვჰკითხეთ ყრმასა მას, რომელი ჰმსახურებდა, სადა არს უფალი ჩუენი. მომიგო და მრქუა ჩუენ: არტაგარ, მნემან მან მთავრისამან, მოავლინა, რათა აღვიდეს მისსა, რამეთუ სნეულად არს და არღა მოსრულ არს. ხოლო მე ვჰგონებდი, თუ მორაჲ ვიდოდა მიერ, მიუქცია ადგილსა სადამე ფარულსა ლოცვად, რამეთუ მრავალ გზის ქმნის ესე. და ვითარცა შემწუხრდა, მოვიდა ვონი-

ფანტაზი მთავარიცა გზისა მისგან, ვინაჲ იგი წასრულ იყო და მო-
ავლინა ერთი მხედართაგანი წოდებად წმიდისა მის, რათა აღვიდეს
და აკურთხოს იგი და ერი მისი. ხოლო მე ვარქუ მხედარსა მას:
არა უწყი, ძმაო, მეცა აწ ოდენ მოვედ გზით და ვერ ვპოე იგი,
არამედ იტყვიან, თუ პრეტორად აღვიდა. გარნა მკირედ სულ-
გრძელ იქმნას მთავარი და, მორაჲ ვიდეს, ვარქუა მას აღმოსლვად
მისსა. წარვიდა კაცი იგი და უთხრა ესე მთავარსა და ჯდა იგი
მოლოდებად ნეტარისა მის. ხოლო მე მიმოვიდოდე ადგილთა მათ,
სადა იგი ჩუიულ იყო ლოცვად და ვერ ვპოე. შევიდა დიაკონი
ტატიანე და პოა კუართი მისი და მრქუა მე: მოვედ და იხილე
კუართი მისი, ოდეს სადა წარვიდის იგი ლოცვად თვნიერ კუარ-
თისა. ესე რაჲ ვიხილე, მიწყო გულმან ჩქუფეფებად და კუალად
განვედ, მიმოვიდოდე და ვეძიებდი. ხოლო სლვასა მას ჩემსა ვიხი-
ლე ადგილსა მას, სადა იდეა წმიდა გუამი მისი, ნათელი, ვითარ-
ცა ელვავ ბრწყინვალე და ვთქუ: რაჲმე არს ნათელი იგი. არა
უდებ ვიქმენ, არამედ შევიტურე თავი ჩემი ჯვართა, წარვედ და
შთაფხედენ რაჲ ნაპრაღსა მას კლდისასა, ვიხილე მუნ მდებარე
გუამი უფლისა ჩემისა ბაგრატიონი, შებლაღუდო სისხლითა და კელ-
ნი განემარტნეს. ესე რაჲ ვიხილე, ვიკრჩხილე გოდებითა მწართა
და ნაცარი დავისხ თავსა ჩემსა. ესმა ესე ვიეთმე და აუწყეს დია-
კონსა ტატიანეს და ეტყვანეს და მორბიოდეს იგინი სხვათა მრავ-
ალთა თანა და აღმოვიქვთ მიერ გუამი მისი. მაშინ მოვეხვე მას
და ტირილითა მწართა ვეტყოდე: ვაჲ მე, უფალო ჩემო ბაგრატი,
რაჲ ესე შეგემთხვია შენ, ვინმე ყო საქმე ესე ურჩულოჲ, ვინ მო-
კლა უფალი ჩემი. ვაჲმე, უფალო ჩემო, ოდეს ღამესა მას ტკბი-
ლი იგი კმა შენი, ოდესღა მრქუა შენ: შვილო ევაგრე. ვაჲმე, მა-
მაო ღმერთ შემოსილო, ესე უწყოდე და ამის თვს წარმგზავნე მე,
რათა არა ვიპოო აქა. უმჯობეს იყო ჩემდა შენთანა სიკვდილი,
ვიდრეღა ამის განსაცდელისა ხილვაჲ. ესე ვითარსა მრავალსა ვგო-
დებდი მე და სხუანი იგი ძმანი.

ესმა ესე მთავარსა და მყის ლამპრებითა მოიწია მუნ, იხილა
საქმე იგი და იწყო უმეტესად-ღა ტირილად და დაიპო სამოსელი
იგი სამთავროჲ და მიწაჲ გარდაისხა.

ხოლო ყოველივე ქალაქი შეიძრა, ესმა რაჲ ესე და ყოველ-
ნი გოდებდეს: მაშინ შევმურეთ ძლით მრავლისა მისგან გოდებისა

გუამი მისი, ვითარცა იყო შებღალული სისხლითა და დაუხუენეთ ერისა საღაპონოსა.

ხოლო დედა ღიაკონი პავლინა მოვიდა და უმწარეს ყოველთასა გოდებდა და სხუანი იგი წმიდანი ქალწულნი მის თანა.

მაშინ მთავარმან ბრძანა ქმნად ლესკუმაჲ ოქროჲსაჲ და მას შინა შთავდგოით წმიდა გუამი ნეტარისა მის.

ხოლო ყრმაჲ იგი, რომელმან იხილა მოკლვაჲ წმიდისა ბაგრატის, ლამით მოვიდა და განთიად მივიდა მთავრისა, შეუვრდა მას და ეტყოდა: უფალო ჩემო, წმიდა ბაგრატ არტაგარ ქანანელმან მოყვასთა მისთა თანა მოკლეს. და მიუთხრა ყოველი ესე, რაჲ იგი იხილა.

მსე რაჲ ესა მთავარსა, ბრძანა შეპყრობაჲ მონათა მათ და დავჰკრძალეთ წმიდა გუამი მისი; მიიქცა პრეტორად და ბრძანა განშიშულებაჲ მათი და წარმოუდგინა ოთხ-ოთხი მტარვალნი გუემად და, ვითარცა ძლიერად ჰგუემდეს მათ, შეიწამეს მათ ყოველივე და უმერესად ჰგუემდა. მაშინ მე ვარქუ მას: უკეთუ ჰნებავს მაგათ სინანული, ნათელ ვსცდეთ მათ, რათა არა წარწყმდენ.

ხოლო მთავარი იგი აღივსო გულის წყრომითა და მრქუა მე: ჯ ევაგრე, ვითარ დაიტია პირმან ზენმან სიტყუაჲ ეგე, უკეთუ გარდაიქცეს ვეშაპი კრავად და იგენიცა იქმნენ ქრისტენე და უფროსლა არტაგარ უკეთური! ცხოველ არს უფალი, თჳსითა კელითა მოესწყვიდნე იგენი. და ბრძანა უფიცხესად გუემაჲ მათი, ვიდრელა ძვალნი მათნი გამოჩნდეს. მაშინ ვონიფანტე იწვადა მახვილი და თჳსითა კელითა წარჰკუეთა მათ თავებში, რომელნიცა ეზიარნეს მოკლვასა წმიდისა ბაგრატიისა. და შური იძია, ვითარცა ფინეზ, და შეერაცხა მას სიმატლედ. ხოლო საძაგელნი იგი გვაშნი მათნი იქმნეს, ვითარცა ძაღლთა და ვეშაპთანი და ბრძანა, პარეხსა ერისა შთაყრაჲ მათი.

ხოლო შემდგომად შჳდისა დღისა, ვიყავ რაჲ ეკლესიასა შინა, მოვიდა ჩემზედა განკვირვებაჲ და მიმერულა და ვიხილენ ათორმეტნი კაცნი, სპეტაკითა მოსილნი, და ბაგრატ შორის მათსა და გარემო მათსა სხუანი მრავალნი ელვარენი და მრქუა მე წმიდამან ბაგრატ, მომეახლე მე, შეილო. და, მირაჲ ვეახლე, მრქუა მე: რად არა დაჰმარხე, შეილო, გუამი ჩემი წესისაებრ ქვეყანასა, არამედ ოქროსა შინა შთამდევ მე, ოდეს გეხილვე ოქროჲთა გინა ვეცხლითა შემოსილი? ნუ ესრეთ, შეილო, არამედ აღმოიღე გუამი ჩე-

მი მიერ და მიეც მიწა მიწასვე. ესე რაჲ ვიხილე, შიში დამეცა მე და ვაუწყე ყოველივე მთავარსა და ვთხარეთ საფლავი და ვქმენით სამარხოჲ ერთ კერძო ეკლესიისა და მის ზედა მცირე ეკუთერი და აღვადეთ ლუსკუმასა მას აღმოღებად გუამისა მის და ვიხილეთ ხილვაჲ საშინელი: ბრწყინვიდა პირი მისი ვითარცა მზე, ყოვლითურთ მრთელ და არა იპოვებოდა მისთანა ბრძვლი წყლოლისაჲ, არცა წუეთი სისხლისაჲ, ვითარცა იტყვის წინასწარმეტყუელი. იცვნის უფალმან ყოველნი ძუალნი მათნი, ერთიცა მათგანი არაჲ შეიმუხროს. იხილა იგი ვონიჲნტე და ტიროდა მწარედ და უკვირდა, ვითარ ესოდნთა მათ წყლოულებათაგან არცა ერთი იპოვებოდა, არამედ იყო იგი მრთელ მადლითა უფლისათა.

მაშინ აღმოვიყვანეთ იგი ლუსკუმისაგან და დაუსუენეთ ცხე-დარსა ზედა. და აღიესო ადგილი იგი სურნელებითა მიუთხრობელითა, ვიდრელა შორს მყოფნი, ვითარ უტევანით ერთით ოდენ, იყნოსდეს მას, და შემოკრბა ყოველი ერთ ქალაქისაჲ მის, ურიცხვ სიმრავლე მამათაჲ და დედათაჲ და ყრმათაჲ და ყოველნი ამბორს უყოფდეს მას და აღიღებდეს ქრისტესა, ღმერთსა ჩუენსა, და დღე ყოელ ემთხუეოდა ერი იგი. ხოლო დამესა მას ყოველსა ეგრეთვე ვგალობდით წმიდასა მას გუამსა ზედა და განთიად დაუსუენეთ იგი სამარხოსა მას და დავჰკრძალეთ იგი კეთილად. ხოლო ზედა ლოდ-სა მას სამარხოჲსასა დავწერე მე სიტყუანი ესე ვითარნი:

ესე სამარხოჲ არს ბაგრატ, მოციქულთა სწორისაჲ, რომელმან განანათლა ქუეყანაჲ ესე და ოთხმეოცისა წლისა წამებით აღესრულა თუესა ივლისსა ცხრასა და ლუსკუმაჲ იგი ოქროჲსაჲ ვქმენით სამკაულ ეკლესიისა.

ხოლო შემდგომად ორმეოცისა დღისა აღსრულებისა მისისა, ვარქუ მთავარსა ვონიჲნტეს, რაჲ იგი მამცნო უფალმან ჩემმან: ცოცხალდა იყო, მივითხრა შენ. მომიგო და მრქუა მე: ყოველივე ბრძანებაჲ მისი მაუწყე მე, ვითარცა შვილსა ერთგულსა და აღვასრულ.ა. ხოლო მე ვარქვ მას: ესრეთ მრქვა მე, ვითარმედ შემდგომად აღსრულებისა ჩემისა, წარიყვანე ვონიჲნტე მთავარი და სხვანი კაცნი ღვთის მოშიშნი და წარვედით ჰრომს მოციქულისა პეტრესსა და მან დაგიდგინოს თქუენ ებისკოპოსი.

მომიგო კვალად მთავარმან და მრქუა მე: ყოველივე, რაჲდენი უბრძანებდეს, ვქმნეთ სიხარულით. და მეყსეულად აღაგნა ნაენი

და გამოვარჩინეთ კაცნი საღმრთონი და წარვემართენით და შეწევნითა უფლისაჲთა კეთილად მივიწიენით ჰრომედ.

ხოლო წმიდამან მოციქულმან პეტრე პირველვე იცოდა ყოველივე და აუწყა მის თანათა მათ აღსრულებაჲ ბაგრატისი და ჩუენი მუნ მისლვაჲ და გამოვიდა გარე სხვათა თანა ძმათა მოგებებად ჩუენდა. ხოლო მე ვიხილე რაჲ იგი, შეუვრდი ფერხთა მისთა და აღმადგინა მე, მომიკითხა და მრქუა: კეთილად მოხუედ, შვილო შვილისა მის ჩემისაო? მიუგე და ვარქუ მას: კეთილად გპოე, მოწაფეო ქრისტესო, მოძღუარო წარმართთაო, მნათობო სოფლისაო.

ხოლო ვიწყეთ რაჲ სიტყვად ყოველივე, რავდენი მეგულებოდა მე უწყებად მისდა, მან პირველად მითხრა მე და მოიკითხნა კაცნიცა იგი, რომელნი იყუნეს ჩემთანა და კეთილად განგვსუენა.

ამისა შემდგომად მომცა მე კურთხევაჲ ებისკოპოსობისაჲ ქალაქისა მის ჩუენისაჲ და მრქუა მე: წარვედ, შვილო, და რაჲ იგი გიხილავს მოძღუარისა შენისა ბაგრატის თანა, მას იქმოდე, ნუცა შეჰმატებ, ნუცა დააკლებ.

ღა შემდგომად ორმეოცისა დღისა, მოვიღეთ ლოცვაჲ მისი და მოვიქეცით მშვიდობით ქალაქად ჩუენდა. მაშინ ვარქუ მთავარსა ვონიფანტეს: აწ ეამი არს, შვილო, ნათლის ღებისა შენისა. ხოლო იგი აღივსო სიხარულითა, მოვიდა სარწმუნოებითა მტკიცითა და ნათელ იღო სახელითა მაშისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა. და მიერითგან არა განეშორა ეკლესიასა, არამედ მოუწოდა კაცსა მორწმუნესა, ღვთის მოშიშსა და ახოვანსა-ბრძოლათა შინა, ყო იგი მთავარ ქალაქსა მას ზედა და მან აღიკუეცა თმაჲ თავისა თვისისაჲ და იყოფოდა მარადის ჩუენ თანა ლოცვით და გალობით.

ხოლო განვიზრახეთ აღშენებად ტაძარი სახელსა ზედა წმიდისა ბაგრატისა დიდებად უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა. მაშინ ღირსმან მან ვონიფანტე მოიღო ოქროჲ ხუთი კენტინარი, რომელ არს ლიტრაჲ ხუთასი, მომცა მე და მრქუა: მიიღე ესე, მამაო, და აღაშენე ტაძარი ესე კეთილად.

ხოლო მე მოუწოდე კელოანთა ქვის ხუროთა და მივეც საფასე ჯერისაებრ და ვარქუ მათ: შვილნო, მამა თქუენი ბაგრატი გიწესს, რათა უშენოთ მას ტაძარი. ხოლო მათ სიხარულით შეიწყნარეს სიტყვა იგი. და ვთხარეთ საფუძველი გარემოის სამარხოსა

მისსა, რათა იყოს იგი შორის ეკლესიისა, ვყავთ ლოცვაჲ და იწყეს შენებად. და მცირედსა ჟამსა სრულ იქმნა ტაძარი იგი მადლითა ქრისტესითა. და შემდგომად წელიწადისა ერთისა, შევაშვე ტაძარი იგი გამოხატვითა ყოველსავე საქმესა ძველისა მის შჯულისასა ერთ კერძო და ახლისა შჯულისასა ერთ კერძო და ხატიცა უფლისა ჩემისა ბაგრატიის გამოვსახე, ვითარცა იყო შეუცვალეზლად და, მივხედნი რაჲ ხატსა მისსა, ვგრეთ ვჰგონებდ, თუ კორცითა ვხედვედ მას.

მსე ყოველი რაჲ აღესრულა მეოხებითა წმიდა ბაგრატიისთა, ვაკურთხე ტაძარი იგი წმიდა მე, ვევაგრე და განვაწესენ მას შინა მგალობელნი და მნათენი. ტატიანე ვაკურთხე ხუცად და ეპიტანე დიაკონად, რომელნი იგი განვაწესენ მსახურებად სამარხოთა წმიდისა ბაგრატიისა და განვაგე, რათა სამარხოთა მას ერის კაცი ანუ დედაკაცი არა შევიდეს, არამედ მღვდელნი და მოწესენი უკამლოთა ფერკითა. და ყოველთა წარჩინებულთა ქალაქისათა მოიღვეს შესაწირავი ტაძარსა მას ოქროჲ და ვეცხლი და სტავრაჲ, სოფლები და აგარაკები და ყოველივე სამკაული ეკლესიისაჲ სრულ იქმნა და ყოველი აღწერილი დავდევით საქურქლესა შინა.

ზოლო ვანიფანტე დაუტევა ყოველი ზრუნვაჲ ქუეყანისაჲ, ვითარცა ვთქუ და თმაჲ თავისა თვისსაჲ აღიკუეცა და ყოველნი ღვინი ცხოვრებისა მისისანი დაყვნა მოღვაწეებით ტაძარსა შინა წმიდისა ბაგრატიისა და ესრეთ კეთილსა შინა მოქალაქობასა საღმრთოსა აღესრულა.

ზოლო სამარხოთა წმიდისა და ღმერთ შემოსილისა ბაგრატიისა მრავალნი სასწაულნი და საკვრველებანი იქმნებიან და თითო სახენი სენნი განიკურნებიან და ეშმაკნი იღვენებიან მადლითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, ქეშმარიტისა მის ღვთისა, რომელი იგი თითოეულად აღწერაჲ შეუძლებელ არს, არამედ ესე მცირედი აღვიწერიეს სადიდებელად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აჴ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

წმიდანო ღვთისანო, ვინ აღმოიკითხვიდეთ სახარულეგანსა ამას წიგნსა და სავესესა ღვთისა მადლითა, ლოცვასა წმიდასა მოიხსენეთ წმიდა მამაჲ ეფთჳმე, რომელმან თარგმნა (ცხოვრება ესე წმიდისა

და ღმერთ შემოსილისა ბაგრატ, მოციქულთა სწორისა და საკვირ-
ველთ მოქმედისა.

ღა მამა გრიგოლ, რომელმან დიდითა მოსწრაფებითა დააწე-
რია, ქრისტემან აკმარენ დღეთა მრავალთა.

წმიდანო ღმერთ შემოსილნო და ნეტარნო მამანო ბაგრატ,
მარკიანე, მაქსიმინე, სტეფანე, ონისიფორე და შენცა, სანატრელო
ევაგრე, მეოხ ეყვენით მამასა გრიგოლს და სულიერთა შეილთა მის-
თა წინაშე სამებისა წმიდისა დღესა მას დიდსა საშჯელისასა.

ზოლო დაიწერა გლაზაკისა ისაკის ხელითა.

შინცა ვინ ესე წიგნი წმიდა მაკარის ეპისტოლენი და ბაგრა-
ტი და წმიდათა აკეთესიმაეთ წამება ამას წმიდასა ეკლესიასა მთა წმი-
დისასა გამოაბუას, შემცა აჩუენებს სამება წმიდა და მოსაჯულიმცა
არს სულისა მისისა წმიდა ღვთის მშობელი დღესა მას სასჯელი-
სასა.

№ 54. წ. პაკარის სწავლანი სრულად რომ კათავდები-
ან—იმის ბოლოს არის წარწერა შემდეგი:

ფ-ჟან ირახე:

ჟარისტე, აღიდე წმიდა მამა ეფთჳმე, ამის წიგნისა მთარგმნელი
და მამა გრიგოლ, მომგებელი შეილითურთ სულიერით და ვისცა
შრომაჲ თავს უც. ამინ.

ჲ-ღაიწერა მათსა წმიდასა ოლიმპოს საბერძნეთისასა, ქუაბს
საყოფელსა ქართველთასა, ეკლესიასა წმიდისა **ი**ვეთის-მშობელისასა,
ბრძანებითა მამისა გრიგოლისათა, კელითა გლაზაკისა და ფრიად
ცოდვილისა ისაკისითა მნკნელისათა, მეფობასა ჰრომანოსისა, ოდეს
სასარკინოზეთს წარვიდა წარმოტყუენვად, ღმერთმან გაუმარჯუენ.
ქრწიკნი იყო **ხრ**. ამენ იყავენ.

იმერთმან გარწმუნოს, წმიდანო მამანო, პირველად მოიხსე-
ნეთ მამა გრიგოლ წმიდათა ლოცვათა თქუენთა და მე უცბად
ჩხრეკისა თვს შემინდვეთ და შრომისათვს ნუ მწყევთ, ღმერთმან
დაგაჯეროს.

მსრე ვჰგონებ, თუ ეტრათი ცუდად არა წამიგია.



- 21) Г. Халатянцъ. Армян. эпосъ въ Исторіи Арменіи Моисея Хоренскаго. Опытъ критики источниковъ (347+84). М. 1896. 3 р. — »
- 22) Объ искусств. образованіи парныхъ словъ—М. Джафара. М. 1900— » 25 к.
- 23) М. Аттая: а) Практ. рук. для изуч. арабскаго яз. Каз. 1900. 3 » — »
- 24) » б) Арабская хрестоматія. Казань, 1886. . . 1 » 50 »
- 25) » в) «Калила и Димна», пер. съ араб. М. Аттая и М. Рябининой, съ введ., XLIV+285. М. 1889. 2 » 50 »
- 26) А. Крымскій: а) Мусульманство и его будущность. М. 1899. — » 80 »
- 27) » б) Очеркъ развитія суфизма. М. 1895 . . . 1 » — »
- 28) » в) Шаг-наме. Львів. 1896. — » 50 »
- 29) » г) Малор. перев. Popular tales and fictions and their migrations Клоустона. Льв. 1896.— » 60 »
- 30) » д) (и Горетеръ). Изъ исторіи 1001 ночи. М. 1900.— » 50 »
- 31) » е) О бродячемъ сюжетѣ турецкой сказки про удачливаго самозванца—изъ сборника И. Куноша; здѣсь же Вл. Гордлевскаго: Обзоръ турецкихъ сказокъ. М. 1900. 1 » — »
- 32) » ж) Лекціи по Корану. Суры старѣйшаго періода (переводъ съ объясненіями). М. 1902. 2 » — »
- 33) » з) Лекціи по исторіи семитскихъ яз. II. М. 1903. 1 » — »
- 34) » и) Лекціи по исторіи Ирана (Арсакиды, Сасаниды и арабское завоеваніе). М. 1900 . 3 » — »
- 35) » і) (и Б. Миллеръ). Всеумульманскій университетъ при мечети Азхаръ въ Каирѣ, его прошлое, его современная наука, печать и журн. дѣятельность (съ 3 рис.) М. 1903. — » 75 »
- 36) » к) (и В. Минорскій). Очерки изъ исторіи востоконѣдѣнія въ XVI и XVII вв. М. 1903. — » 50 »
- 37) л) Два любопытныхъ арабскихъ документа изъ коллекціи А. Е. Крымскаго Г. Чиркова и изъ области древне-арабской лирической поэзіи С. Олферьева М. 1900. . . . — » 50 »
- 38) Бор. Миллеръ: Изъ области обычнаго права карачаевцевъ. М. 1903. — » 50 »
- 39) Вл. Минорскій: а) У русскихъ подданныхъ султана. Очеркъ исторіи и современнаго быта казаковъ-раскольниковъ въ Малой Азіи. М. 1902. — » 75 »
- 40) » б) Константинопольскія увеселенія. (Карагѣзъ и пр.). Тифлисъ, 1903 — » 25 »
- 41) Вс. Миллеръ: а) Осетинскіе этюды, т. I—III (въ перепл.) 3 » 50 »
- 42) » б) Матеріалы для изуч. евр.-татскаго языка, со словаремъ. Спб. 1892 — » 80 »
- 43) » в) (и Θ. Кнауэръ): Руководство къ изученію санскрита. Спб. 1891. 1 » 50 »
- 44) А. Хахановъ: а) Очерки по исторіи грузинской словесности, вып. I. Народн. эпосъ и апокрифы. М. 1895. 2 » — »
- 45) » б) » II. Древняя лит. до конца XII в. М. 1897. 2 » 40 »
- 46) » в) » III. Литература XIII—XVIII вв. М. 1901. 3 » — »
- 47) » г) Грузинск. отрывокъ Калилы и Димны. М. 1899.— » 60 »
- 48) » д) Номоканонъ Іоанна Постника въ его редакц.: грузинской, греческой и славянской. 2 » — »
- 49) е) Древнѣйшіе предѣлы расселенія грузинъ по М. Азіи Тифлисъ, 1903 г. 1 » — »
- 50) ж) Католикосъ Антоній I, жизнь и дѣятельность. М. 1903 г. — » 50 »
- 51) з) А. Khakhanof: Histoire de Géorgie. Paris. 1900 . . 1 » 50 »
- 52) Фототип. изданіе древне-армянск. Евангелія 887 г. М. 1899. 20 » — »

ТРУДЫ ПО ВОСТОКОВѢДѢНІЮ, **издаваемые Лазаревскимъ Институтомъ Вост. Яз., въ Москвѣ.**

- Выпускъ I:** ԳԻՐԷ ՄԵԱՅՈՐԴԱՅ Ա. Կ. Բ. ըստ Հնագոյն Հայ Թարգմանութեան. գաղաղկն ան ի ըստ ըստ կրկին ձևադիր օրինակաց, հանդերձ Բ. ըստադիր նմանապալութեամբ նոցին՝ Գրէդէր Խւլմէնէն. Մատենա. 1899. in 4^o, դիւր 2 ր. (Книги Паралитоменовъ въ древнѣйшемъ армянскомъ переводѣ. *Editio princeps*, подъ редакціей и съ предисловіемъ Г. Халатъянца).
- Выпускъ II:** Матеріалы по Казак-Киргизскому языку, собранные И. Лаптевымъ. Москва, 1900, in 8^o. Цѣна 1 р.
- Выпускъ III:** Очеркъ фонетики Еврейско-Татскаго нарѣчія. Всев. Миллера. Москва, 1900, in 8^o. Цѣна 50 коп.
- Выпускъ IV:** Очеркъ литер. дѣят. казанскихъ татаръ Н. Ашмарина, подъ редак. А. Крымскаго. Москва, 1901, in 8^o. Цѣна 75 к.
- Выпускъ V:** Семитскіе языки и народы Т. Нельдеке, въ обработкѣ А. Крымскаго. I. О семитскихъ языкахъ вообще. II. Языки еврейскій и арамейскій. Москва. 1903. Цѣна 1 р. 50 к.
- Выпускъ VI:** Грамматика персидскаго языка, сост. Мирзою-Джафаромъ при участіи академика Ө. Корша. М. 1901. Ц. 2 р. 50 к. (сложилъ у О. Гербека, Черныш. п.).
- Выпускъ VII:** Очеркъ морфологіи Еврейско-Татскаго нарѣчія. Всев. Миллера. Москва, 1901. Цѣна 50 к.
- Выпускъ VIII:** Изслѣдованія по исторіи 1001 ночи I. Эструпа, переводъ съ датскаго Т. Ланге (печатается).
- Выпускъ IX:** Балхваръ и Иудасафъ. Грузинскій текстъ по рукопис. XI—XII вв., съ переводомъ и предисловіемъ издалъ А. Хахановъ. М. 1902. Цѣна 60 к.
- Выпускъ X:** Образчики персидской письменности съ X вѣка до нашего времени. Сост. Мирза Абдулла Гаффаровъ. Часть I. Проза. М. 1902. Цѣна 2 р. 50 к.
- Выпускъ XI:** Дигорскія сказанія по записямъ дигорцевъ И. Т. Собіева, К. С. Гарданова и С. А. Туккаева, съ переводомъ и примѣчан. Вс. Миллера. М. 1902. Ц. 1 р.
- Выпускъ XII:** Исторія мусульманства. А. Крымскаго. Часть I и II: а) Мохаммедъ. б) Коранъ и Сонна. в) Система вѣроученія и культъ. г) Исламъ и арабское общество. М. 1903. Цѣна 2 р. 75 к.
- Выпускъ XIII:** Источники для исторіи Мохаммеда и литература о немъ. А. Крымскаго. I. Отъ Орвы до ибнъ-Исхâка съ ибнъ-Хишâмомъ. М. 1902. Ц. 50 к.
- Выпускъ XIV:** Армянскіе Аршакиды въ „Исторіи Арменіи“ Моисея Хоренскаго. Опытъ критики источниковъ. Г. Халатъянца. М. 1903. Цѣна 3 руб.
- Выпускъ XV:** Исторія арабовъ, ихъ халифатъ, ихъ дальнѣйшія судьбы и краткій очеркъ араб. литературы А. Крымскаго. Лекціи (съ 4 хромолит. картами). М. 1903. Цѣна 3 руб.
- Выпускъ XVI:** Исторія Персіи, ея литературы и дервишеской теософіи А. Крымскаго. I—II: Отъ эпохи халифовъ до монгольскаго нашествія. Съ приложеніемъ критико-библіографическаго обзора литературы предмета. Лекціи. М. 1903. Цѣна 2 рубля.
- Выпускъ XVII:** Турецкія народныя пѣсни. Музыкальные тексты съ переводомъ и объясненіями Бор. Миллера и вступительнымъ критико-библіографическимъ обзоромъ литературы предмета А. Крымскаго. М. 1903. Цѣна 1 рубль.
- Выпускъ XVIII:** Исторія мусульманства А. Крымскаго. Часть II^б и вступленіе. М. 1904. Цѣна 75 коп.
- Выпускъ XIX:** Багратъ, епископъ Тавроменійскій, грузинскій текстъ по рукописямъ XI в. издалъ А. Хахановъ М. 1904 г. Цѣна 1 рубль.
- Складъ изданій (кромѣ вып. VI) въ Правленіи Лазар. Инст. В. Яз., въ Москвѣ.**
Цѣна 1 рубль.

